დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ-დასავალი
2023 წლის 8 – 14 მაისი
N22 1486
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## ღარიბაშვილის სიტყვა და სეტყვა შიგ ევროპაში

**ირაკლი ღარიბაშვილი:**

მე ოთხი შვილის მამა გახლავართ და ქართველი მშობლების უდიდეს უმრავლესობასთან ერთად, მსურს, ჩვენი მომავალი თაობები ქრისტიანობაზე დაფუძნებულ უნიკალურ ღირებულებებზე აღიზარდონ!

2






**გიგლა ბარამიძე:**

ბუდაპეშტში ღარიბაშვილის ეპოქალური გამოსვლის შემდეგ ხმალი ქარქაშიდან ამოღებულია და მისი ჩაგება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება!

4

**ლაშა ნადარეიშვილი**

## სხვისი მიწისთვის არ უნდა მოკვდე, რომ დაიბადო სამშობლოს გმირად!



ტალღები რისხვით
აწყდება კბოდეს,
მატარებელი
მიაპობს გვირაბს...
სხვისი მიწისთვის
არ უნდა მოკვდე,
რომ დაიბადო
სამშობლოს გმირად!

ცა წითელია,
როგორც იმ დილით,
ლიანდაგს
მთვარის სისხლი აცხია...
ბრძოლაში
სხვისი დროშით სიკვდილი
საქართველოსთვის
მხოლოდ მარცხია!

ითვლის ეპოქა
ისევ კუბოებს,
გადამთიელის
ტყვიით მოტანილს,
ქვეყანას
ახალ სახელს უგონებს,
რომ ქართველები
დავრჩეთ ცოტანი!

ვის შეეწევა
ხატი მართლისა,
დაიბადება
სხვა თუ იმ გორის...
ქართლის ჭირო და
ბედო ქართლისა,
საით მივყავართ
გზას კუდიგორის?

ტალღები რისხვით
აწყდება კბოდეს,
მატარებელი
მიაპობს გვირაბს...
სხვისი მიწისთვის
არ უნდა მოკვდე,
რომ დაიბადო
სამშობლოს გმირად!

## ველოსიპედის გამნაცებლები

ხელისუფლებამ ახლა მაინც უნდა იაწკინოს ერთ ადგილას და ჰერმაფროდიტი ველოსიპედის მახინჯი ძეგლი თბილისის ცენტრიდან მოაშოროს!

8



როგორი იყო სააკაშვილის გზა **КИМОსტუდიიდან კამოს სტადიამდე,** ამის შესახებ მოთხრობილია ტელე-რადიოკომპანია **„ობიექტივის“ დოკუმენტურ ფილმში,** რომლის საგაზეთო ჩვენებასაც დღევანდელ ნომერში გთავაზობთ.

22

## КИМО სტუდიიდან კამოს სტადიამდე

# ღარიბაშვილის სიტყვა და სეტყვა შიგ ევროპაში

***2023 წლის 4 მაისს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების ყოველწლიური კონფერენცია გაიმართა, რომელზეც სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.***

საქართველოს მთავრობის მეთაურის მიერ ბუდაპეშტში წარმოთქმული შთამბეჭდავი სიტყვის შემდეგ ორი სრულიად ლოგიკური და სამართლიანი მოცემულობა მივიღეთ — **ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობა კმაყოფილი და ნასიამოვნებია იმით, რაც კონსერვატიულ კონფერენციაზე ღარიბაშვილმა ილაპარაკა, ხოლო ქართველი ნაცლიბერალები და მათი უცხოელი მფარველ-მოკავშირენი ისტერიულად აღშფოთებულნი ბრძანდებიან.**

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ **უნგრეთში გამართულ ღონისძიებაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ წარმოთქმული ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ნამდვილი ᲡᲔᲢᲧᲕᲐ იყო მათთვის, ვინც საქართველოში გაშმაგებით ებრძვის ეროვნულ ფასეულობებს, ტრადიციებს, მართლმადიდებლობას, ქართულ ეკლესიას, ოჯახის ინსტიტუტს და ყველაფერ იმას, რისთვისაც ქართველ კაცს საუკუნეების განმავლობაში სიცოცხლეც უღირდა და სიკვდილიც!**

სამაგიეროდ, უნგრეთში გამართულ ღონისძიებაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლა გულსა და გონებაზე მოეფინა ყველას, **ვისთვისაც კატეგორიულად მიუღებელია ლგბტ პროპაგანდა, ერთნაირსქესიანთა ქორწინება, არასრულწლოვანთათვის სქესის შეცვლის უფლების დაკანონება, დედ-მამის ცნების „გენდერულად ნეიტრალური“ ტერმინებით ჩანაცვლება და კიდევ მრავალი ნეოლიბერალური სიბილწე, რომელთა კულტივაციასაც საქართველოში დიდი შემართებით ცდილობენ უცხოეთიდან მსუყედ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური ჯგუფები და მედიასაშუალებები.**

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კონფერენციაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მონაწილეობამ და მისმა **ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲛ,** რომელმაც პოლიტიკური და მორალური ხრწნილების უკანასკნელ ფაზაში შესული ლიბერალიზმი **ᲓᲐᲡᲔᲢᲧᲕᲐ,** არამხოლოდ საქართველოში მოქმედ „მეხუთე კოლონას“ შეუწუხა გული, არამედ ევროპარლამენტის დეპუტატებიც გალახული ფინიებივით ააწკმუტუნა. მაგალითად, **ევროპის სოციალისტების პარტია,** რომელიც **ევროპის სახალხო პარტიის** შემდეგ ევროპარლამენტში ყველაზე დიდ პოლიტიკურ ჯგუფს წარმოადგენს, იმუქრება, რომ „ქართულ ოცნებას“ თავისი რიგებიდან გარიცხავს! საქმე ის არის, რომ **ევროპის სოციალისტების პარტიაში** „ქართულ ოცნებას“ დამკვირვებელი წევრის სტატუსი აქვს ისევე, როგორც ნაცმოძრაობას — **ევროპის სახალხო პარტიაში,** კონსერვატიულ კონფერენციაზე ღარიბაშვილის სიტყვით გამოსვლის შემდეგ კი ევროპის სოციალისტების პარტიის ვიცე-პრეზიდენტმა **ᲙᲐᲢᲘ ᲞᲘᲠᲛᲐ** განაცხადა: **„პრემიერ ღარიბაშვილის ქმედება მიუღებელია და მას ჩვენი პოლიტიკური ოჯახის ღირებულებების მიღმა აყენებს. ევროპელი სოციალისტების პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ხელმძღვანელობის მომავალ სხდომაზე პარტიაში „ქართული ოცნების“ სტატუსის შეფასება მოხდება. ეს ცხადია, აუცილებელი ნაბიჯია ღარიბაშვილის დღევანდელი ინტერვენციის შემდეგ“.**

ევროპის სოციალისტების პარტიის გადაწყვეტილებას, შეწყვიტოს პარტნიორობა „ქართულ ოცნებასთან“, მიესალმება **ევროპარლამენტარი ᲛᲘᲠᲘᲐᲛ ᲚᲔᲥᲡᲛᲐᲜᲘᲪ,** რომელიც **კოლექტიურ კუბილიუსთა** სექტის წარმომადგენელი, ნაცბანდის აქტიური მხარდამჭერი და სისხლის სამართლის დამნაშავე სააკაშვილის თავგადაკლული დამცველია. ბუდაპეშტში გამართულ კონფერენციაზე ღარიბაშვილის გამოსვლით




## საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვით გამოსვლა კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების ყოველწლიურ კონფერენციაზე

**უნგრეთი, ბუდაპეშტი. 2023 წლის 4 მაისი**

**ბატონო პრემიერ-მინისტრო, ძვირფასო სტუმრებო, ქალბატონებო და ბატონებო,**

ჩემთვის დიდი პრივილეგიაა უნგრეთში, ევროპის ნამდვილ გულში და მის ერთ-ერთ უძველეს ქვეყანაში, მის მომხიბვლელ დედაქალაქ ბუდაპეშტში ყოფნა. თქვენთან ერთად ვიზიარებ აღფრთოვანებას მისი მდიდარი ისტორიით, იმ ბრძოლით, რასაც უნგრეთი საუკუნეთა განმავლობაში ეწეოდა ევროპისა და თავისუფალი სამყაროს დასაცავად არაერთი მტრისაგან.

**დღეს ჩვენ შევიკრიბეთ, რათა თანამედროვე, ურთულესი გამოწვევებით აღსავსე ეპოქაში დავადასტუროთ, რომ ერთად ვდგავართ და იმ ფასეულობებზე ვისაუბროთ, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ ერთობას.**

**ქართველებმა კარგად ვიცით მშვიდობის ფასი. ქართველები მცირე, მაგრამ ძლიერი, თავისუფლებისმოყვარე ერია. მაგრამ, როდესაც საჭიროა, ჩვენ თავდადებით ვიბრძვით თავისუფლების, საკუთარი ოჯახებისა და სამშობლოს დასაცავად.**

**იესო ქრისტე ამბობს სახარებაში: ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი, ვინაიდან ისინი ღმრთის ძეებად იწოდებიან.** ამ ურთულეს დროში, მიუხედავად არაერთი პროვოკაციისა და დესტაბილიზაციის მცდელობისა, ჩვენ შევძელით მშვიდობის უზრუნველყოფა ჩვენს ქვეყანაში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ისტორიაში, ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნისას პირველად გვაქვს ხანგრძლივი და უწყვეტი მშვიდობა საქართველოში.

უდავო ფაქტია, რომ დღეს გლობალური წესრიგი იცვლება. მსოფლიო ვეღარ იქნება ისეთი, როგორიც იყო. ამ რთული ვითარებიდან ვერავინ შეძლებს, მარტომ იპოვოს გამოსავალი. საჭიროა ერთიანობა, გლობალური თანამშრომლობა ახალი, **უფრო სამართლიანი წესრიგისათვის.**

მაგრამ რა გვაძლევს ძალას ამ ერთიანობისთვის? **უპირველეს ყოვლისა, ეს არის ის ტრადიციული, უზენაესი, მარადიული, უნივერსალური ფასეულობები, რომელიც განსაზღვრავს მთელ ჩვენს ისტორიასა და კულტურას, ჩვენს ყოველდღიურობას. ეს ფასეულობები მარტივად გამოითქმის — ეს არის რწმენა, თავისუფლება, მშვიდობა, ღირსება, სიმართლე, თანასწორობა, ოჯახის სიწმინდე, მშობლების, წინაპრების, ტრადიციების პატივისცემა, სამშობლოსა და ადამიანების სიყვარული, უკეთესი მომავლის იმედი.** ყველაფერი, რაც შეიძლება შევაჯამოთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ **ᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲘᲡ,** ბრძენი და ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ავტორიტეტული ადამიანის მიერ შემოთავაზებულ პოსტულატებში — **ღმერთი, სამშობლო, ადამიანი.**

საქართველოს მთელი ისტორია სწორედ ამ ფასეულობებს ეფუძნება. არსებითად, ეს ფასეულობები ერთ წიგნში — სახარებაშია თავმოყრილი. **ალბათ, იცით, რომ ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარა. დაახლოებით იმავე დროს, მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში, ქართულად ითარგმნა სახარება; თუმცა, ქრისტიანობის ქადაგება ჩვენთან გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ ქრისტეს პირველმა მოციქულებმა დაიწყეს.** დიახ, ორი ათასი წელია, მთელ ჩვენს ისტორიასა და კულტურას სწორედ სახარების ფასეულობები განსაზღვრავს. ეს ფასეულობები ყოველთვის საფუძვლად ედო ქართულ იდენტობას, აერთიანებდა ჩვენს ხალხს. სწორედ ამის დამსახურებაა, რომ უძველესი, მაგრამ პატარა, რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, **იმპერიებისა და ცივილიზაციების შეჯახების ეპიცენტრში მდებარე ქვეყანა გადაურჩა ისტორიის**

## კვირგვინოსნები



**ვიქტორ ორბანი**
*უნგრეთის პრემიერ-მინისტრი*

**შეგვიძლია, ვისწავლოთ ირაკლი ღარიბაშვილისგან,** როგორ უნდა მოახერხოს პატარა ქვეყანამ რუსეთის ჩრდილში ცხოვრება ისე, რომ **შეინარჩუნოს საკუთარი ქვეყნის ღირებულებები.** „ინტერპრესნიუსი“



**სპარტაკ ქობულია**
*გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი*

**ბებერო ევროპავ!** თქვენზე ბებერი საქართველოს ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრის **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ბუდაპეშტში საოცრად უშუალო, ადვილად გასაგები სიტყვის მოსმენისა და წაკითხვის შემდეგ, **გირჩევთ, ერთსულოვნად შემობრუნდეთ საქართველოსკენ და უარყოთ თქვენი ლიბერასტული ცხოვრების წესი! ᲡᲐᲛᲘᲐᲗᲐᲡᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲛᲐᲡ ᲓᲐᲒᲘᲤᲐᲡᲔᲑᲗ!**



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

კიდევ ერთხელ ხალხმა თქვა თავისი სათქმელი — **პოლიტიკოსებს, ვინც „ეროვნული ინტერესი“ საკუთარი პოლიტიკური ლექსიკონიდან ამოაგდო,** ქართულ პოლიტიკაში გასაქანი არასდროს ექნებათ.

„იმედინიუსი“



**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*

**ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔᲡ** ლიბერალს ეძახდნენ, მაგრამ სწორედ მისი ლოზუნგია **„მამული, ენა, სარწმუნოება“** — ჩვენი პოლიტიკა ამ ლოზუნგის იქით არ წასულა.

„ინტერპრესნიუსი“



**ზუკა პაპუაშვილი**
*მსახიობი*

მეგობრობა არ ნიშნავს იმას, რომ მე შენი **მონა და ვასალი** ვიყო. ჩვენ, მშობლები, ვერ დავინომრებით, **მშობელი №1 და მშობელი №2 არ იქნება და** არ იარსებებს საქართველოში.

„კვირის პალიტრა“

# საქართველომ, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის პირით, მსოფლიო ნეოლიბერალურ ბოროტებას განაჩენი წაუკითხა!

აღშფოთებულმა **ლექსმანმა** „ქართულ ოცნებას“ **„ქართული კოშმარი“** უწოდა და განაცხადა, რომ იგი **„ევროპული ღირებულებებისა და ქართველი ხალხის ევროატლანტიკური მისწრაფებების წინააღმდეგ მუშაობს!“**

გესმით? — ევროპარლამენტართა აზრით, ცენტრალურ ევროპაში გამართულ კონსერვატიულ კონფერენციაზე ღარიბაშვილის გამოსვლა ყოფილა ინტერვენცია ევროპული ღირებულებების წინააღმდეგ!

**და რას წარმოადგენს ის „ევროპული ღირებულებები“, რომლებსაც დღეს უშნოდ გალექსილი ლექსმანი და სხვა კოლექტიური კუბილიუსები ევროპულ ღირებულებებად ასაღებენ?**

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მარტო ერთი ფაქტის დასახელებაც იკმარებს — **სწორედ იმ დროს, როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ევროპის შუაგულში კონსერვატიულ ტრიბუნასთან იდგა და ღმერთსა და სამშობლოზე, ოჯახსა და სარწმუნოებაზე ლაპარაკობდა, ევროპარლამენტის შენობაში მოწყობილი იყო გამოფენა სახელწოდებით — „სექსუალური გეი იესო“.**

ჰოდა, ღარიბაშვილის გამოსვლა ნამდვილად იყო ინტერვენცია **ამგვარი „ევროპული ფასეულობების“ წინააღმდეგ!**

**ღარიბაშვილის სიტყვა ნამდვილად იყო სეტყვა და კოხი ნეოლიბერალებისათვის, რომლებიც ცდილობენ, ღმერთი მოკლან და სამყარო გადამგვარებელ გენდერულ თეორიებში დამარხონ!**



> **მე ოთხი შვილის მამა გახლავართ და ქართველი მშობლების უდიდეს უმრავლესობასთან ერთად, მსურს, ჩვენი მომავალი თაობები ქრისტიანობაზე დაფუძნებულ უნიკალურ ღირებულებებზე აღიზარდონ; ისე, როგორც ჩვენ აღგვზარდეს ჩვენმა მშობლებმა!**

**იმ ქარტეხილებს, რომლებმაც არაერთი დიდი და ძლევამოსილი იმპერია გაანადგურა.**

რასაკვირველია, ტრადიციების ერთგულება არ ნიშნავს, რომ უარი უნდა ვთქვათ განახლებაზე, მაგრამ

**ჩვენ ვიცით, რომ ბოროტება ხშირად სწორედ განახლების სახელით მოდის. ასე იყო ფაშიზმის შემთხვევაშიც და არაერთხელ მთელ ისტორიაში.**

ჩვენმა პატრიარქმა ბრძანა, რომ თავისუფლებას ცრუ თავისუფლების სახელით ებრძვიან. დიახ, ეს ნამდვილად ასეა. **არავინ ებრძვის თავისუფლებას მონობის სახელით, არამედ — ცრუ თავისუფლების; არავინ უპირისპირდება სიმართლეს სიცრუის სახელით, არამედ — ყალბი სიმართლის სახელით;**

როგორ ცდილობენ ძალები, რომლებიც თავისუფლებას, სიმართლეს უპირისპირდებიან, საკუთარ მიზნებს მიაღწიონ? **სწორედ ტრადიციული, ოჯახური ფასეულობების ნგრევით და ყალბი თავისუფლების თავსმოხვევით — ლგბტ პროპაგანდით, არასრულწლოვანი ბავშვებისათვის — მშობლების გვერდის ავლით სქესის შეცვლის დაკანონების მცდელობით, ასეთი ეგრეთწოდებული „სიახლეების“ იძულებით, რომელიც ადამიანს საკუთარ ფესვებს, ოჯახს, საკუთარ ტრადიციას, კულტურას, ისტორიას მოწყვეტს. ასეთი ადამიანის მართვა — ვინც დაივიწყა საკუთარი ისტორია, რწმენა — უფესვებო ადამიანის მართვა ადვილია.**

ამიტომაც, ასეთ რთულ დროში ჩვენი უმთავრესი იარაღი და დასაყრდენი სწორედ ტრადიციული, ქრისტიანული, ოჯახური, კონსერვატიული ფასეულობებია. **დღესაც, დრამატულ განახლებათა — ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების განვითარების, ინდუსტრიული ზრდის, ურბანიზაციის, სოციალურ ცვლილებათა და გლობალიზაციის ეპოქაში, ჩვენ კვლავ, შესაძლოა, უფრო მეტადაც კი გვჭირდება მორალური ორიენტირები, რომელთაც სწორედ ჩვენი ტრადიციები და ფასეულობები გვთავაზობს. სწორედ განახლების, განვითარების, არსებითი წინსვლის სურვილი მოითხოვს, რომ ყველა ახალ დაპირებას მკაფიო, დროში გამოცდილი კრიტერიუმების, ისტორიული ფასეულობების შუქზე შევხედოთ.**

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს ვინმესადმი დაპირისპირებას. ჩვენ ვამბობთ მარტივ რამეს — **არავის ინტერესები არ უნდა შეიზღუდოს სხვათა ინტერესების გამო.**

ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენი თითოეული მოქალაქის უფლებებს და ამას საქმით ვამტკიცებთ.

2014 წელს, ერთი მხრივ, ევროკავშირის ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, მაგრამ ასევე, საკუთარი მოქალაქეების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობით, ჩვენ მივიღეთ ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც განუხრელად იცავს თითოეული მოქალაქის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს.

**მაგრამ ჩვენ ასევე ვიცავთ უმრავლესობის უფლებებს, რომელთათვის ოჯახი ქალსა და მამაკაცს შორის ერთობაა, დედა ქალია, მამა კი — კაცი;** იმ ადამიანების, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის უფლებებს, ვინც მხარი დაუჭირა ჩემს 2014 წლის ინიციატივას, რომლის შედეგადაც ჩვენმა პოლიტიკურმა პარტიამ მოგვიანებით კონსტიტუციაში შეიტანა **ქორ**

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## ლიბერალიზმის ადეპტებისათვის, რომლებიც ცდილობენ, ღმერთი მოკლან და სამყარო გადამგვარებელ გენდერულ თეორიებში დამარხონ!

ბუდაპეშტში გამართულ კონფერენციაზე ღარიბაშვილის გამოსვლამ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მთელი ლიბერალური საჭინკეთი ისტერიკაში რომ ჩააგდო, ეს ერთადერთ რამეზე მეტყველებს — **ღარიბაშვილმა ათიანში გაარტყა!**

ჰო, დღეს, როცა მსოფლიო გლობალიზმის შხამით მოწამლულა და უღმერთობით ამღვრეულა, ერთი პატარა მართლმადიდებელი ქვეყნის ლიდერი ევროპულ ტრიბუნასთან დგას და ღმერთის ერთგულებასა და რწმენის სუპერძალაზე ლაპარაკობს, რაც იმას ნიშნავს, რომ **მრავალი წლის განმავლობაში მრავალი ასეული მილიონი დოლარის დახარჯვის მიუხედავად, ნეოლიბერალიზმის ემისრებს საქართველოს სულიერი, მორალური, ეროვნული და სახელმწიფოებრივი დასამარებისათვის ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ!**

სიმბოლური და ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნეოლიბერალების **დამსეტყვავი სიტყვა** მათი ერთ-ერთი ქურუმის — **ჯორჯ სოროსის სამშობლოში — უნგრეთში წარმოთქვა,** სადაც თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბოროტებისა და ეროვნული თვითმყოფადობის დაუძინებელი მტრის — **სოროსის ფონდად წოდებული ორგანიზაციის** საქმიანობა კანონით არის აკრძალული!

ალბათ, ძალიან ბევრი დაგვეთანხმება, თუ ვიტყვით, რომ

**ღარიბაშვილის მიერ უნგრეთში წარმოთქმული სიტყვის საქმედ გადაქცევის პირველი ნიშანი საქართველოში სოროსის ფონდის საქმიანობის კანონით აკრძალვა იქნება!**

დიახ, საქართველომ, რომელმაც პრემიერ ღარიბაშვილის პირით განაჩენი წაუკითხა და ღიად გამოუცხადა დაუმორჩილებლობა მსოფლიო ნეოლიბერალურ ბოროტებას, მისგან საბოლოო გათავისუფლების ქმედითი პროცესი სწორედ სოროსის ფონდისა და, ზოგადად, **სოროსიზმის სამართლებრივი ალაგმვით უნდა დაიწყოს!**

ნეოლიბერალიზმისა და მისი სოროსული ლეგიონის, მათ შორის, საქართველოში მოქმედი ნაცლიბერალური „მეხუთე კოლონის“ ღრმა პოლიტიკურ და ინტელექტუალურ მარაზმზე მეტყველებს ისიც, რომ ისინი **კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კონფერენციაში პრემიერ ღარიბაშ-**

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## კვირგვინოსნები

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**ნაციონალური მოძრაობა რომ პროდასავლურობაზე დაიწყებს საუბარს, ეს არის ყველაზე დიდი უბედურება.** ამ ორგანიზაციას საერთოდ დემოკრატიულობასთან, პროდასავლურობასთან კავშირი არ გააჩნია. **ეს არის კრიმინალური ორგანიზაცია,** რომელმაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს, თავისი ქმედებებით დაადასტურა და აჩვენა მთელ მსოფლიოს და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, **თუ როგორი არ უნდა იყოს ხელისუფალი.**

„რეზონანსი“

**თეა წულუკიანი**
*კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი*



რომელ პოლიტიკურ პოზიციასაც არ უნდა წარმოადგენდეს ადამიანი, თუ გულწრფელი იქნება, აუცილებლად დაინახავს, რომ **ქვეყნის სტაბილურობის, მშვიდობიანობისა და განვითარების** ერთ-ერთი მთავარი გარანტორი არის **ბიძინა ივანიშვილი.**

„ტვ იმედი“

**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



ჩვენ ვლაპარაკობთ **„ქართული ოცნების“ სახელით** და ისინი ლაპარაკობენ და იმუქრებიან **სხვა ქვეყნის პოლიტიკოსების სახელით.** მაშინ, როდესაც „ქართული ოცნება“ ამბობს, რომ **ქართველი ხალხი გასცემს ამაზე პასუხს,** ისინი ამბობენ, რომ **ამერიკელები, ევროპელები გასცემენ პასუხს.**

„რეზონანსი“

**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*



როდესაც არის მცდელობა, **ხალხი ცალკე წარმოაჩინოს და ხელისუფლება ცალკე,** უნდა შევახსენოთ ქალბატონ **ვიოლა ფონ კრამონს,** რომ ეს ხელისუფლება სწორედ ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილის მიერ არის არჩეული. **როდესაც ის ქართველ ხალხსა და ხელისუფლებას ერთმანეთისგან მიჯნავს, ეს არის სუფთა რუსული ნარატივი.**

„რეზონანსი“

# ირაკლი ღარიბაშვილმა ევროპას ქართველი ერის სათქმელი უთხრა!

*დასაწყისი მე-2 გვერდზე*

**ვილის მონაწილეობას, მეტადრე კი, მის მიერ უნგრეთში წარმოთქმულ სიტყვას, „ანტიდასავლურ პროპაგანდად“ და „რუსულ ნარატივად“ ნათლავენ.** მაშასადამე, თუ პოლიტიკური ლიდერი **მამულს, ენასა და სარწმუნოებას** ღვთაებრივ საუნჯეებად მიიჩნევს, **ოჯახს მამაკაცისა და ქალის ერთობად განიხილავს** და მაღალი ტრიბუნიდან **ღმერთს მოწიწებით ახსენებს,** ეს დასავლური ფასეულობების საწინააღმდეგო რუსული პროპაგანდა ყოფილა... მოდით, ერთი კარგად დავფიქრდეთ, ვინც ამას ამბობს, თვითონ ხომ არ არის ყველაზე დიდი ანტიდასავლელი და რუსეთუმე? თავად ხომ არ არის დაკავებული დასავლეთის დისკრედიტაციითა და რუსეთის განდიდებით? აბა, ქრისტიანული, ეროვნული, ტრადიციული ღირებულებების „ანტიდასავლურ მოვლენად“ შერაცხვა და „რუსულ ფენომენად“ გამოცხადება სხვა რას ემსახურება, თუ არა დასავლეთის დემონიზაციასა და რუსეთის იდეალიზაციას?

თუმცა,

**რა გასაკვირია, ქრისტიანული და კონსერვატიული ფასეულობების დაცვა რუსეთუმეობად ჩაუთვალონ პატარა საქართველოს პრემიერ-მინისტრს,**

**როცა იმავე იარლიყს მსოფლიოს ზესახელმწიფოს – ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტს**

## დონალდ ტრამპსაც კი აკერებენ?

სხვათაშორის, **ტრამპმა** ბუდაპეშტში გამართულ კონსერვატიულ კონფერენციას საგანგებო მიმართვა მიუძღვნა, მის მონაწილეებს თავისუფლებისმოყვარე პატრიოტები უწოდა და განაცხადა — **დღეს საფრთხეში მყოფი დასავლური ცივილიზაციის გადარჩენა მხოლოდ ტრადიციული ღირებულებებით არის შესაძლებელი, ძლიერი და თავისუფალი საზოგადოების ქვაკუთხედი სწორედ ოჯახი და უფლის რწმენა არისო!**

გამოდის, აშშ-ის 45-ე პრეზიდენტიც, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა არ იყოს, მაგარი „რუსეთუმე“ და „პუტინისტია“!

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **2023 წლის 4 მაისს უნგრეთში გამართულ კონსერვატიულ კონფერენციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ევროპას ქართველი ერის სათქმელი უთხრა!**

**ღარიბაშვილის სიტყვა, რომელიც სოროსელ-ლიბერალებისათვის ნამდვილი სეტყვა აღმოჩნდა, მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხის გულიდან იყო ამოსული!**

**მამული, ენა, სარწმუნოება! ღმერთი, სამშობლო ადამიანი!** — ეს არის საქართველო და საქართველომ ეს საკუთარი პრემიერის პირით ევროპას შიგ ევროპაშივე ხმამაღლა უთხრა!

**ევროპამ ეს ნათქვამი უნდა გაიგონოს და შეისმინოს!**

*ჯაბა ხუბუა*



# გიგლა ბარამიძე: ბუდაპეშტში პრემიერ ღარიბაშვილის ეპოქალური გამოსვლის შემდეგ ხმალი ქარქაშიდან ამოღებულია და მისი ჩაგება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება!

**— მე-20 და 21-ე საუკუნეებში საქართველოს არცერთ ხელისუფალს საერთაშორისო ტრიბუნიდან ასეთი ეროვნულ-მართლმადიდებლური პრინციპებით გაჯერებული სიტყვა არ წარმოუთქვამს.** აქედან გამომდინარე, ვიტყოდი, რომ

**პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ბუდაპეშტში ისტორიული მნიშვნელობის გამოსვლა ჰქონდა და ეს ყველა ნორმალური ქართველისათვის,**

*უპარტიო პოლიტიკოსი, დიპლომატი და პროფესორი გიგლა ბარამიძე 2023 წლის 4 მაისს უნგრეთში გამართულ კონსერვატიულ კონფერენციაზე პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლას ეხმიანება:*




## საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვით გამოსვლა კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების ყოველწლიურ კონფერენციაზე

**უნგრეთი, ბუდაპეშტი. 2023 წლის 4 მაისი**

*დასაწყისი მე-2 გვერდზე*

**წინების, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობის დეფინიცია.**

ჩვენი საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა **ტრადიციულ, კონსერვატიულ, ოჯახურ ღირებულებებს** იზიარებს. ეს ფასეულობები მხოლოდ წარსულის მემკვიდრეობა არ არის, იგი ცოცხალი დღევანდელობაა, გარემო, რომელშიც ჩვენ გავიზარდეთ და გვსურს, ჩვენი შვილები აღვზარდოთ. **მე ოთხი შვილის მამა გახლავართ და ქართველი მშობლების უდიდეს უმრავლესობასთან ერთად, მსურს, ჩვენი მომავალი თაობები ქრისტიანობაზე დაფუძნებულ უნიკალურ ღირებულებებზე აღიზარდონ; ისე, როგორც ჩვენ აღგვზარდეს ჩვენმა მშობლებმა.**

ამიტომ, ჩვენ დავიცავთ ყველას უფლებებს, მაგრამ **როგორც არ დავუშვებთ უმცირესობის წარმომადგენლებზე ძალადობას, ისევე არ დავუშვებთ უმცირესობის ძალადობას უმრავლესობაზე.**

**მხარს არ დავუჭერთ უმცირესობის მცდელობას, აგრესიული პროპაგანდით შეცვალოს ფასეულობები, რაც ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას ღმერთის მიერ დადგენილად მიაჩნია, რომელსაც ქართველის იდენტობა, თვითმყოფადობა, მთელი ჩვენი ისტორია ეფუძნება.**

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ისტორიით. ვამაყობთ, რომ ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში საქართველოს მართავდა **თამარ მეფე** — კეთილგონიერებითა და სიბრძნით გამორჩეული ქალი, რომელიც არა დედოფლად, არამედ მეფედ იწოდებოდა. სწორედ მისი მმართველობის დროს გაჩნდა მსოფლიოში პარლამენტის ერთ-ერთი პირველი ჩანასახი.

ამიტომ, **არაფერია გასაკვირი იმაში, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საქართველოს პირველი რესპუბლიკა იყო ის ქვეყანა, რომელმაც თანამედროვე დემოკრატიას ჩაუყარა საფუძველი; 1921 წლის კონსტიტუციამ, იმ დროისათვის ერთ-ერთმა ყველაზე პროგრესულმა სამართლებრივმა დოკუმენტმა, მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა, ხმის უფლება მიანიჭა ქალებს, უზრუნველყო ეროვნული უმცირესობების უფლებები. ასე რომ, თანასწორობა, სხვისი ღირსების პატივისცემა ჩვენი ტრადიციებია.**

ამავე დროს, იმ პერიოდში, როდესაც ყველაფერი ეროვნული იდევნებოდა, **ილია ჭავჭავაძემ** — დიდმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ — თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთმა უმთავრესმა შემოქმედმა, რომელსაც ქართველები ერის მამას ვუწოდებთ, გამოკვეთა თითოეული ქართველისათვის უმთავრესი ფასეულობები — **მამული, ენა, სარწმუნოება.**

ჩვენი დღევანდელი კონსტიტუცია სწორედ ამ მემკვიდრეობას, ამ მონაპოვარს ეფუძნება; იგი იცავს და უზრუნველყოფს თითოეული ინდივიდის უფლებებს და ამავე დროს აღიარებს რა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, მის განვითარებაში, განამტკიცებს უზენაეს და მარადიულ ფასეულობებს.

**ნება მომეცით, მკაფიოდ განვმარტო: დიახ, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მართლმადიდებელი ქრის-**

## კვირგვინოსნები

**ვიოლა ფონ კრამონი**
*ევროპარლამენტარი*



თუ ევროკავშირი საქართველოს **კანდიდატის სტატუსს** მიანიჭებს, ეს მოხდება იმიტომ, რომ **ქართველი ხალხი იმსახურებს** და გეოპოლიტიკური ლოგიკა მოითხოვს ამას.

„ტვიტერი“

**ჯეიმს აპატურაი**
*ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე უსაფრთხოების საკითხებში*



შემიძლია სრულიად ნათლად და დარწმუნებით ვთქვა, **ნატოს დღის წესრიგში საქართველო ძალიან მაღლა დგას.**

„რეზონანსი“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



საქართველოსთვის სტატუსი **„ფარატინა ქაღალდი“** კი არა, პრინციპის და სამართლიანობის აღდგენის საკითხია.

„იმედინიუსი“

**დავით ხურცილავა**
*მსახიობი*



მთელი მიტინგები მოვლილი მაქვს, **„მოლოტოვის კოქტეილი“ კი არა, კენჭი რომ გვესროლა მაგ უსირცხვილოებისთვის, დაგვხოცავდნენ, ტყვიებს გვესროდნენ.** სააკაშვილი ციხეში კი არა, სამოთახიან ლუქსში წევს, და იქაც არ ჩერდება. **ეგეც კაცია და მერაბ კოსტავაც კაცი იყო?!**

„კვირის პალიტრა“

**თემურ ჩალაბაშვილი**
*პუბლიცისტი, პოეტი*



ფაქტია, რისთვისაც ჩამოვიდა **სააკაშვილი** საქართველოში და ამოყო თავი იქ, სადაც ახლა არის. მე ათი წელი ვებრძოდი **სააკაშვილის** რეჟიმს, **მაგრამ სააკაშვილი დღეს ჩემთვის აღარ არსებობს.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

# „ნეოლიბერალ-ფაშისტების სექტა ბოლომდე უნდა გაისრისოს!“

**საქართველოს ყველა პატრიოტი მოქალაქისათვის, განურჩევლად მისი ეთნოსისა და რელიგიური მრწამსისა, მისალოცი მოვლენაა.**

**— უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მაინც რატომ და რით იყო მნიშვნელოვანი პრემიერ ღარიბაშვილის გამოსვლა უნგრეთში გამართულ კონსერვატიულ კონფერენციაზე?**

— იმ ფონზე, როცა მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოში ნეოლიბერალური სექტანტიზმის არნახული მოძალებაა, **ღარიბაშვილის გამოსვლა მოჯადოებული წრის გარღვევის ტოლფასი იყო.** ჩვენ ვიხილეთ სუვერენული ქართული სახელმწიფოს პირველი პირი, როგორც ნამდვილი ხელისუფალი და მამულიშვილი.

გარდა ამისა, ღარიბაშვილის სიტყვა ეპოქალური მნიშვნელობისაა იმითაც, რომ მთელმა მსოფლიომ დაინახა — **ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო დღესაც საზრდოობს დიდი ილია ჭავჭავაძის თეზებითა და იდეალებით, რომლებიც განსხეულებულია სამ სიტყვაში — მამული, ენა, სარწმუნოება!** ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა ევროპის შუაგულში აახმიანა არამხოლოდ წმინდა ილია მართლის, არამედ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სიტყვებიც — **ღმერთი, სამშობლო, ადამიანი!**

**— ბუდაპეშტში გამართულ კონფერენციაზე პრემიერ ღარიბაშვილის გამოსვლას, შეიძლება ითქვას, ნამდვილი ისტერიკა მოჰყვა არამხოლოდ საქართველოში მოქმედი ნაცლიბერალური სექტის, არამედ მისი დასავლელი მოკავშირეების მხრიდანაც, რომლებსაც ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი კოლექტიურ ფოტიგა-კუბილიუსებს უწოდებს! როგორ ფიქრობთ, ნეოლიბერალური ძალები ქართულ სახელმწიფოზე შეტევას მეტი გააფთრებით გააგრძელებენ?**

— საქართველოს პრემიერ-მინისტრის ისტორიულ გამოსვლაზე ჯაშუში ნაცსექტანტების, ლიბერალი ჭინკებისა და მათი უცხოელი მფარველების ისტერიული რეაქცია სრულიად ლოგიკურია, რადგან

**უნგრეთში გამართულ კონფერენციაზე ღარიბაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა უზარმაზარი დარტყმა იყო სწორედ იმ შავბნელი ძალებისადმი, რომლებიც უკვე ათწლეულებია, საქართველოსა და მთელ მსოფლიოში ადამიანებისათვის ტვინების გამორეცხვითა და მათი ზომბირებით არიან დაკავებული.**

ყველანი ვხედავთ, რომ ქართველ ერსა და საქართველოს ხელისუფლებაზე უმძიმესი ზეწოლა ხორციელდება. პირდაპირ სცენარებია დაწერილი, როგორ გადაატრიალონ სახელმწიფო და როგორ გადააქციონ საქართველო ტერიტორიად, სადაც ნეოლიბერალ-ფაშისტები ჭიაკოკონას დაანთებენ, ჯიბეებს გაისქელებენ და ხორციელ ვნებებს დაიკმაყოფილებენ. სწორედ ამიტომ, **საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის მხრიდან ერთი ნაბიჯით უკან დახევაც კი დაუშვებელია! პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, დაუნდობლად უნდა ვუზრახუნოთ თავში ამ ნეოლიბერალ-ფაშისტებს და მათი უბინძურესი სექტა ბოლომდე გავსრისოთ!**

პირდაპირ ვიტყვი: ბუდაპეშტში პრემიერ ღარიბაშვილის ეპოქალური გამოსვლის შემდეგ ხმალი ქარქაშიდან ამოღებულია და მისი ჩაგება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება! ახლა სულ მცირე დათმობაზე წასვლაც კი სამშობლოს, სარწმუნოებისა და ოჯახის დათმობას ნიშნავს!

**— ბუდაპეშტში სიტყვით გამოსვლისას პრემიერმა ღარიბაშვილმა განაცხადა — არავინ იცის, უკრაინაში ომი როდის დამთავრდებაო და მშვიდობის მნიშვნელობაზე ისაუბრა, წინა დღეს კი რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს კადრები, თუ როგორ აფეთქდა კრემლის თავზე ორი უპილოტო საფრენი აპარატი. რუსეთის ხელისუფლება ამას ტერაქტის კვალიფიკაციას აძლევს, უკრაინელების მხრიდან პუტინის ლიკვიდაციის მცდელობაზე საუბრობს და ზელენსკის ლიკვიდაციით იმუქრება! ყოველივე ამის ფონზე, მოვლენების როგორ განვითარებას ელოდებით?**

— ნეოლიბერალები და გლობალისტები ყველაფერს გააკეთებენ, რათა უკრაინაში ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდეს. მსოფლიოს ძლიერ ქვეყნებში არსებობენ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსები და ჯგუფები, რომლებსაც ჰაერივით სჭირდებათ ომი დედამიწის ნებისმიერ წერტილში, რათა ტრილიონები იშოვონ.

რაც შეეხება კრემლის თავზე უკრაინული დრონების ჩამოგდებას, **რუსეთი იძულებული იქნება, ამას მძიმე პასუხი გასცეს და შესაძლოა, მართლაც მოხდეს ის, რასაც საერთაშორისო ექსპერტებივარაუდობენ — უკრაინული სამთავრობო შენობების დაბომბვა და პრეზიდენტ ზელენსკის ლიკვიდაციის მცდელობაც კი!**

ისიც უნდა ვთქვათ, რომ რუსეთის მთავარი პრობლემა არც ამერიკაა და არც — ნატო, მისი მთავარი პრობლემა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, მათ შორის, სამხედრო სისტემაში გამეფებული უზომო კორუფცია გახლავთ. ჩვენთან თუ **ერთი კეზერაშვილი** იყო, რომელმაც ქართული ჯარი გაძარცვა, რუსეთში **ათასობით „კეზერაშვილია“,** რომლებიც სამხედრო ბიუჯეტს ხრავენ. ამის თაობაზე განგაშის ზარებს თვით პუტინის მარჯვენა ხელმა, ყველაზე აქტიური საბრძოლო დანაყოფის — „ვაგნერის“ ხელმძღვანელმა **პრიგოჟინმაც** კი შემოჰკრა.

**— სხვათაშორის, იმავე პრიგოჟინმა განაცხადა, რომ იძულებულია, ბახმუტიდან „ვაგნერის“ ქვედანაყოფები გაიყვანოს, რადგან მათ საბრძოლო მასალა აღარ აქვთ და უაზრო სიკვდილისათვის არიან განწირული! ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ომში უპირატესობა უკრაინის მხარეს გადადის?**

— უკრაინა ძალიან მძიმე ვითარებაშია, რის შესახებაც რამდენიმე დღის წინათ ღიად ისაუბრა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ჯონ კენედის ძმისშვილმა **რობერტ კენედი უმცროსმა,** რომელიც 2024 წელს პრეზიდენტად კენჭისყრას აპირებს. მან „ფოქს ნიუსის“ ეთერში განაცხადა, რომ უკრაინა ძლიერი სახელმწიფოების თამაშში პაიკად არის გამოყენებული, რასაც ასეულათასობით უკრაინელის სიცოცხლე ეწირება, მაგრამ მათი ბედი არავის აინტერესებს. **კენედის თქმით, რასაც ამერიკული მედია უკრაინის ომის შესახებ მსოფლიოს უყვება, დიდი ტყუილია, რეალურად კი, უკრაინელი ხალხი სასაკლაოზე მიჰყავთ და მისი გენოციდი ხდება.** უმცროსმა რობერტ კენედიმ კონკრეტული ციფრებიც დაასახელა — დაღუპულია 300 000 უკრაინელი ჯარისკაცი და 14 000 მშვიდობიანი მოსახლე.

**— როგორ ფიქრობთ, უკრაინაში ვითარების დაძაბვის კვალდაკვალ ხომ არ გაძლიერდება დაინტერესებული ძალების მცდელობა, რომ რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნასა და საქართველოს ომში ჩათრევას მიაღწიონ?**

— ჩვენი ხელისუფლების ძალისხმევითა და ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილის სიფხიზლით შევძელით, დიდი ზეწოლის რამდენიმე ტალღა მოგვეგერიებინა, მაგრამ ომში ჩათრევის საფრთხე ჯერ კიდევ არ არის ჩავლილი. ნაცხლისტების სექტა, უკრაინის ხელისუფლებაში მოკალათებული მათი ბევრი მოკავშირე და უცხოელი ნეოლიბერალ-ფაშისტები კვლავაც ყველანაირად ეცდებიან, საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას მიაღწიონ. ამ მიზნით ისინი ყველანაირ პროვოკაციაზე წავლენ და აფეთქებებსა და სისხლისღვრასაც კი არ მოერიდებიან. ქართველმა ხალხმა ხელისუფლებასთან ერთად ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ეს არ დავუშვათ! საქართველო ომის პოლიგონად კი არა, მშვიდობის კუნძულად უნდა იქცეს!

*ესაუბრა*
***გიორგი ძაძამია***



ირაკლი ღარიბაშვილი და უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი

**ჩვენ ასევე ვიცავთ უმრავლესობის უფლებებს, რომელთათვის ოჯახი ქალსა და მამაკაცს შორის ერთობაა, დედა ქალია, მამა კი – კაცი!**

**ტიანია; მაგრამ ჩვენი კათოლიკეები, მუსლიმები, ებრაელები ჩვენს წინაპრებთან ერთად ქმნიდნენ ჩვენს დიდ ისტორიას და ქმნიან მის დღევანდელობას.** ჩვენთვის ძალზე ძვირფასია მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის ეს ისტორია. ჯერ კიდევ მე-11 საუკუნეში ჩვენი უდიდესი მეფე **დავით აღმაშენებელი** რელიგიურ დღესასწაულებზე მეჩეთში სტუმრობდა მუსლიმებს პატივისცემის გამოსახატად. სხვათაშორის, **საქართველო უნიკალური ქვეყანაა იმითაც, რომ ქართველი და აზერბაიჯანელი, შიიტი და სუნიტი მუსლიმები დღესაც ერთსა და იმავე მეჩეთში ლოცულობენ.**

ისტორიულ ძველ თბილისში ერთმანეთის გვერდით არის მართლმადიდებლური ტაძარი, სომხური ეკლესია, კათოლიკური ეკლესია, მეჩეთი და სინაგოგა, რაც ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ტოლერანტობაზე მიანიშნებს.

**აღსანიშნავია, რომ საქართველოში, სადაც ებრაელები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ცხოვრობდნენ, არასდროს ყოფილა მათი დევნა. ქართულ-ებრაული ურთიერთობის 26-საუკუნოვან ტრადიციას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, რაც ჩვენს ერებს შორის არსებული მრავალსაუკუნოვანი უნიკალური მეგობრული თანაცხოვრების უდიდეს აღიარებას ნიშნავს.**

ასე რომ, **ტოლერანტობა** ჩვენი უნიკალური ტრადიციაა და საფრთხეს წარმოადგენს არა რომელიმე რელიგია, უმცირესობა ან განსხვავებული აზრი, არამედ ის, ვინც რწმენისა და ფასეულობების გარეშე, ცინიზმით შეიარაღებული, ხშირად სწორედ რელიგიის, დემოკრატიის, თავისუფლების სახელით სინამდვილეში თავისუფლებასა და სიმართლეს უპირისპირდება.

საქართველოს სწორედ თავისუფლების იდეალი ამოძრავებს საუკუნეთა განმავლობაში ევროპის ერთა ოჯახის სრულფასოვან წევრად გახდომისკენ სწრაფვისას. **იმ ევროპის, რომელიც სწორედ ქრისტიანულ ფასეულობებს ეფუძნება.**

დღეს ჩვენ ევროპისაგან ველით შორსმჭვრეტელ და სამართლიან გადაწყვეტილებას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით. ეს ჩვენი ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანი ძალისხმევის დამსახურებული აღიარება იქნება.

**ძვირფასო მეგობრებო,**

ჩვენს რთულ დროში ყველა უნდა გავერთიანდეთ. მოდით, ვაქციოთ ჩვენი ქვეყნები მშვიდობის, სტაბილურობის და კეთილდღეობის ადგილად.

ბატონმა ორბანმა თავის დალასის გამოსვლაში იხუმრა, რომ უნგრეთი ნამდვილად არ არის სუპერძალა. საქართველოს, კიდევ უფრო პატარა ქვეყანას, მითუმეტეს, არასდროს ჰქონია ასეთი ამბიცია. მაგრამ მაინც ჩვენ ვფლობთ სუპერძალას — **ეს ძალა არის რწმენა, ჩვენი ოჯახები, ტრადიციები, მარადიული და უნივერსალური ფასეულობები. სწორედ ერთიანობით**

**ჩვენ შევძლებთ, დავუპირისპირდეთ ყალბი თავისუფლებისა და ყალბი სიმართლის სახელით მოსულ ბოროტებას და ნამდვილი, ტრადიციული, უზენაესი, ოჯახური ღირებულებებით დავიცვათ და შევინარჩუნოთ სამყარო ჩვენი შვილებისათვის და მომავალი თაობებისათვის.**

*იბეჭდება მცირედი შემოკლებით*

## კვირგვინოსნები

**ბაღათერ არაბული**
*საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, პოეტი*



დღეს **მწერლობა სავალალო მდგომარეობაშია.** მწერალთა კავშირის შენობა ქვეყნის, ხალხის მტერმა, მისმა მოძულე **სააკაშვილმა წაგვართვა** იმის გამო, რომ მის მოღალატეობრივ, ავანტიურისტულ პოლიტიკას ვაკრიტიკებდით.

„საერთო გაზეთი“

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



მხოლოდ „ოცნების“ მოსვლის შემდეგ, თანდათან შესაძლებელი გახდა ის, რომ **საქართველომ ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, მერე შენგენის ვიზა მივიღეთ, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, უვიზო მიმოსვლა.** ნატოს გენმდივანი **რასმუსენი** ამბობდა, რომ საქართველომ ნატოს მიმართულებით უზარმაზარი ნაბიჯები გადადგა „ოცნების“ მოსვლის შემდეგ.

„ახალი თაობა“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



ამ ოპოზიციას არ დარჩენია სხვა რესურსი, გარდა იმისა, რომ **იქნებ ვილაცამ გარედან საქართველოს რაღაც დამართოს** და ამით მათ სარგებელი ნახონ.

„რეზონანსი“



დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2023 წ. №11-15,16-17, 18-19, 20-21



ჯეიმს ბეიკერი და ედუარდ შევარდნაძე

# იგორ კვესელავა:

# საქართველოში შევარდნაძის ჩამოყვანით ამერიკამ რუსეთს ყველაზე უფრო სუსტ და პრობლემურ რეგიონში – კავკასიაში თავისი ყურმოჭრილი მონა ჩაუსვა!

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ИГОР КВЕСЕЛАВА პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობას შევარდნაძის მიერ აფხაზეთში ომის წამოწყებას უკავშირებს და იმ საიდუმლოებით მოცულ შეხვედრაზე საუბრობს, რომელიც 1992 წელს გამსახურდიას თანხმობით, ჯოჰარ დუდაევს, ედუარდ შევარდნაძესა და აბულფას ელჩიბეის შორის, სავარაუდოდ, ბაქოში გაიმართა:***

— ცნობილია, რომ საქართველოს უდიდესი მეფე **დავით მეოთხე ბაგრატიონი** „აღმაშენებლის“ ტიტულით პირველად მოხსენიებულია 1452 წლით დათარიღებულ ავშანდაძეების „სასისხლო სიგელში“, ანუ სამას წელზე მეტი ხანი დასჭირდა საქართველოს, რათა დავითის ღვაწლი სათანადოდ შეეფასებინა და მისთვის „აღმაშენებელი“ ეწოდებინა. ზვიად გამსახურდიამ ამ ყველაფრის შესახებ ზედმიწევნით იცოდა და ამიტომაც იყო, რომ აცხადებდა — *„მე არავითარ იარაღს არ ვატარებ, გარდა სიმართლის ჭურვისა. სიმართლე და მხოლოდ სიმართლე გაგვათავისუფლებს. ჩემმა ცილისმწამებლებმა იციან, რომ საუკუნეების განმავლობაში კალამი იყო და იქნება მახვილზე უფრო ძლევამოსილი. ისტორია იქნება ჩემი მოსამართლე და ისტორიკოსები იტყვიან საბოლოოდ სიმართლეს და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენენ!“*

სიმართლის დადგენისა და გამოაშკარავების მისია გვეკისრება მეც, თქვენც და გაზეთ „ასავალ-დასავალსაც“, რომელიც არის საქართველოს უახლესი ისტორიის სწორუპოვარი მემატიანე. **როგორც მეცნიერი და ისტორიკოსი, ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ თანამედროვე საქართველოს ისტორიის გააზრება „ასავალ-დასავალის“ გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია! ეს არ არის მხოლოდ გაზეთი, ეს ჟამთაალმწერელია!**

**— ბატონო იგორ, წინა ინტერვიუში ხსენებულმა და „კაგებეს“ მიერ გადაბირებულმა ცნობილი ადამიანების ორასკაციანმა სიამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია! სია ნამდვილია?**

— სია ნამდვილია, სკანდალურია და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **თუ „ასავალ-დასავალი“ გადაწყვეტს, შემიძლია, ეს სია მოგაწოდოთ!** ზვიად გამსახურდიამ ძალიან კარგად იცოდა, რომ თავი უნდა გაეწირა, ამიტომ მისი არჩევანი იყო აბსოლუტურად გააზრებული და არა ექსცენტრული, როგორც ეს მავანს უნდა წარმოადგინოს. ზვიად გამსახურდია შეგნებულად წავიდა სიკვდილზე, ეს იყო ზნეობრივი გზა და ამიტომაც არის ზნეობრივი ლიდერი, რომელსაც დავიწყება არ უწერია. რაც შეეხება **ედუარდ შევარდნაძეს,** როგორც განათლებით, ისე საქართველოს სიყვარულით, ოჯახიშვილობითა და ზნეობით, ის იყო გამსახურდიას აბსოლუტური ანტიპოდი. წინა ინტერვიუებში ამ თემას ნაწილობრივ შევეხეთ, მაგრამ, მოდით, ისევ დავსვათ შეკითხვა — **შესაძლებელი იყო თუ არა ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძეს შორის კომპრომისი?** პასუხი მარტივია — **ეს შეუძლებელი გახლდათ, რაც არაერთხელ დადასტურდა! საქმე ის გახლავთ, რომ ზვიადი კომპრომისისთვის მზად იყო, რასაც ვერ ვიტყვით შევარდნაძეზე, რადგან ამერიკელები ამის ნებას არ აძლევდნენ!** ბობოყვათის შეხვედრებმა, რაშიც **ასლან აბაშიძეც** იყო ჩარეული, ეს დაადასტურა. შევარდნაძემ ბობოყვათის ფორმატი ჩაშალა.

***— როგორ?***

— როცა საქმე შეთანხმებამდე იყო მისული და, ფაქტობრივად, ყველაფერი გადაწყვეტილი გახლდათ, შევარდნაძის მიერ კონტროლირებად პრესასა და ტელევიზიაში მეორე დღესვე იწერება და ცხადდება იმის შესახებ, რომ **„პროვინციული ფაშიზმი უნდა განადგურდეს!“** ედუარდ შევარდნაძეს ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მთელი საერთაშორისო პოლიტიკური ელიტა იმისთვის არ აუმხედრებია და საქართველოს ეროვნული ხელისუფლება სისხლში იმიტომ არ ჩაუხრჩვია, რომ საქართველოს პირველ პრეზიდენტთან კომპრომისისა და შერიგების გზები ეძებნა. **შევარდნაძე საქართველოში გამოგზავნეს დავალებით, რათა გამსახურდია ფიზიკურად მოესპო. ეს დავალება მან პირადად ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერისგან მიიღო!** შევარდნაძემ, უნდოდა თუ არა ეს, თავად შექმნა ზვიად გამსახურდიას, როგორც დევნილი და სამშობლოსთვის წამებული გმირის სახე. აქ ჩვენ მივდივართ **ჰეგელთან,** რომელიც ამბობს — ქრისტე იმდენად მის მრევლს არ განუდიდებია, რამდენადაც მის მტრებს, რომლებმაც მაცხოვარს დიდად შეუწყვეს ხელი სიკვდილზე გამარჯვებაში და სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვაშიო! სწორედ ასე, **შევარდნაძის მსტოვრების მიერ ზვიად გამსახურდიასა და მისი მომხრეების დევნამ, წამებამ, რბევამ, ძარცვამ და მკვლელობამ დიდად განაპირობა მისი, როგორც დევნილისა და მარტვილის ხატების შექმნა.** სხვათაშორის, შევარდნაძეს ზვიადის დევნა 80-იანი წლების მიწურულს არ დაუწყია, ამ საშინელ რეპრესიებს საფუძველი ჩაეყარა ბევრად უფრო ადრე და ამ საქმეში რაოდენ გასაკვირი და სამარცხვინო გინდა იყოს, შევარდნაძეს გვერდით ედგა როგორც საქართველოს ეკლესია, ისე ფულზე გაყიდული ჩვენი მოღალატეობრივი ინტელიგენცია. **1923 წელს სერგო ორჯონიკიძემ განაცხადა — ჩვენ ინტელიგენცია არ გვყავს, მაგრამ ჩვენ ინტელიგენცია გვეყოლებაო! ეს რომ თქვა, ორჯონიკიძემ თითი გაიშვირა იქვე მდგომი ათიოდე წლის ბიჭუნასკენ.** ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა ინტელიგენცია გამოუზარდეს სერგო ორჯონიკიძემ და მისმა თანამეინახეებმა საქართველოს. სწორედ ეს ინტელიგენცია იყო შევარდნაძის მთავარი დასაყრდენი, რომელიც მას მოსყიდული ჰყავდა. უფრო მეტიც, საქართველოში შევარდნაძის ჩამოყვანით ამერიკამ რუსეთს ყველაზე უფრო სუსტ და პრობლემურ რეგიონში — კავკასიაში თავისი ყურმოჭრილი მონა ჩაუსვა. ზვიადი ასეთი მონა და მსახური არ და ვერ იქნებოდა...

***— კი მაგრამ, რუსეთის ხელისუფლებაში ამ საფრთხეს ვერ აცნობიერებდნენ?***

— რუსეთს მაშინ სუვერენიტეტი ჰქონდა დაკარგული და **ბორის ელცინიც, გენადი ბურბულისიც, ეგორ გაიდარიც, ანატოლი ჩუბაისიც** და მთელი ის ელიტა, რომელიც ქვეყანას მართავდა, შეერთებული შტატების მიერ მოსყიდულ და გადაბირებულ აგენტურას წარმოადგენდნენ. ამდენად, რუსეთმა გააკეთა და შეასრულა ის, რაც ამერიკამ უბრძანა... ცნობისათვის, როცა 1991 წლის 31 მარტს პრეზიდენტი **რიჩარდ ნიქსონი** საქართველოში ჩამოვიდა, მას ჩამოჰყვნენ „ცერეუს“ მაღალი რანგის ოფიც-



სერგო ორჯონიკიძე

## „1923 წელს სერგო ორჯონიკიძემ განაცხადა – ჩვენ ინტელიგენცია არ გვყავს, მაგრამ ჩვენ ინტელიგენცია გვეყოლებაო! ეს რომ თქვა, ორჯონიკიძემ თითი გაიშვირა იქვე მდგომი ათიოდე წლის ბიჭუნასკენ!“

## კვირგვინოსნები

**როман გოცირიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



ოპოზიციური ფლანგი უნდა გაჯანსაღდეს, თუ გვინდა, **გადაუწყვეტელი ამომრჩევლის ხმები** მივიღოთ. „ქართულ ოცნებას“ ისღა დარჩენია, რომელიმე ჩვენგანმა მშენებლობის ქვეშ გაიაროს და **ჩამოვარდნილი აგური მოგვხვდეს თავში.**

„კვირის პალიტრა“

**თენგიზ ფხალაძე**
*[illegible]*



**არასოდეს არცერთ ფორმატში** არ მომისმენია ფორმულირება, რომ **ჯერ ტერიტორიული მთლიანობა და მერე ნატო.** საკითხი ასე არცერთ ფორმატში ჩვენს პარტნიორებს არ დაუსვამთ.

„კვირის პალიტრა“

**ალექსანდრე თვალჭრელიძე**
*ექსპერტი*



ხელისუფლებაში ხვდებიან, რომ **საქართველომ თუ წლის ბოლოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი ვერ მიიღო,** „ქართული ოცნების“ საქმე ვერ იქნება კარგად.

„კვირის პალიტრა“

**ლადო პაპავა**
*აკადემიკოსი*



უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის **მიწის მიყიდვა უნდა აიკრძალოს...** ასეთი რეგულაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წარმატებით გამოიყენება.

„კვირის პალიტრა“




# „შევარდნაძე საქართველოში გამოგზავნეს დავალებით, რათა გამსახურდია ფიზიკურად მოესპო. ეს დავალება მან პირადად ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერისგან მიიღო!“

რები, რომლებიც „ჟურნალისტებად“ იყვნენ გაფორმებული, არადა, სინამდვილეში დეტალურად ფლობდნენ ინფორმაციას საქართველოსა და კავკასიაში არსებულ ვითარებაზე. სხვათაშორის, ნიქსონის მხლებელთაგან ერთ-ერთი იყო ისეთი, რომელსაც ზვიად გამსახურდიასა და, ზოგადად, ქართველების ცხოვრება, ჩვენი ფსიქოტიპი და ფსიქოპორტრეტი დაწვრილებით ჰქონდა შესწავლილი. ჩემი ინფორმაციით, ამერიკაში დაბრუნებისთანავე სწორედ „ცერეუს“ იმ მაღალჩინოსანმა გააკეთა მთავარი მოხსენება ზვიად გამსახურდიას შესახებ და პრეზიდენტ **ჯორჯ ბუშს (უფროსი)** და სახელმწიფო მდივან **ჯეიმს ბეიკერს** კატეგორიულად განუცხადა, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში დატოვება ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. აი, ასე გადაწყდა ეს ამბავი... სხვათაშორის, ამერიკაში გამოვიდა გახმაურებული წიგნი — **„შევარდნაძის ომები“,** სადაც მსგავსი საკითხები დეტალურად არის განხილული. ეს წიგნი დიდი მცდელობის შედეგად შტატებიდან ჩამომიტანეს, რომელსაც ვთარგმნი. ვფიქრობ, „ასავალ-დასავალისათვის“ ის ძალიან საინტერესო იქნება!

**— საინტერესოა, შევარდნაძემ აფხაზეთის ომიც ამერიკის ბრძანებით ან თანხმობით ხომ არ დაიწყო?**

— აფხაზეთში ომის დაწყების წინ, 1992 წლის 2 აგვისტოს, შევარდნაძემ უშიშროების საბჭოს სხდომა საიდუმლო ვითარებაში მოიწვია. არსებობს ამ სხდომის სტენოგრამა, რომელიც მოვიპოვე. ოფიციალურად შევარდნაძე აფხაზეთში შეჭრას იმით ამართლებდა, რომ „აფხაზები თავს გავიდნენ“, მაგრამ, სინამდვილეში, ამ ომით მას სურდა აფხაზეთში ზვიადისტური ანკლავის მოსპობა და პარალელურად სამეგრელოს განადგურებაც, რომელსაც ვერ აკონტროლებდა.

1992 წლის 2 აგვისტოს უშიშროების საბჭოს სხდომის გამართვამდე, შევარდნაძე საიდუმლო ვითარებაში ჩავიდა მოსკოვში, შეხვდა **ელცინს** და უთხრა, რომ აფხაზეთში იარაღით შესვლას აპირებდა. ამერიკელებმა, ცხადია, იცოდნენ, რომ შევარდნაძე აფხაზეთში ომის დაწყებას გეგმავდა... **შეხვედრის დასასრულ ელცინმა შევარდნაძეს უთხრა — ჩვენ წინააღმდეგობას არ გაგიწევთ! მოკლედ, ამერიკისაგან და რუსეთისაგან გათამამებულმა შევარდნაძემ აფხაზეთში ომი დაიწყო...** მაგრამ ომის დაწყებამდე **არძინბაც** სრულიად საიდუმლო ვითარებაში შეხვდა **ელცინს** და მისგან სრული მხარდაჭერისა და დახმარების პირობა მიიღო! **ზვიად გამსახურდიამ** ამ გეგმის შესახებ იცოდა. ამიტომ იყო, რომ აფხაზებს შესთავაზა ცნობილი გეგმა — 26/28/11, რომლითაც 1991 წელს აფხაზეთის ომი თავიდან აიცილა. ზვიადმა იცოდა, რომ აფხაზეთში ომის გაჩაღებით რუსეთთან ერთად დაინტერესებული იყო ამერიკის შეერთებული შტატებიც!

**— რუსეთს აფხაზეთში ომის გაჩაღება რატომაც სურდა, გამოჩნდა, მაგრამ ამერიკას ამ სისხლიან საქმეში რა ინტერესი ჰქონდა?**

— აფხაზეთის ტრაგედია შევარდნაძე-ბეიკერის საიდუმლო გარიგების შედეგია. ამ შეთანხმებით, აფხაზეთი უნდა ჩაბარებოდა რუსეთს, ხოლო დანარჩენი საქართველო — ამერიკის შეერთებულ შტატებს! ვინმეს როგორ წარმოუდგენია, მსგავს მოღალატეობრივ და ბინძურ გარიგებაზე ზვიად გამსახურდიას ამერიკელები ან რუსები დაიყოლიებდნენ? **ამიტომ დაამხეს ზვიადი და დაამხო ორივემ — რუსმაც და ამერიკელმაც!** ყველაფერი ბეიკერთან იყო შეთანხმებული, რომელიც, ფაქტობრივად, წარმართავდა შეერთებული შტატების პოლიტიკას. ამ შეთანხმების შედეგი გახლდათ შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანა! **სხვათაშორის, გალის რაიონი, როგორც ბუფერული ზონა, ამ შეთანხმებაში არ შედიოდა, მაგრამ რუსებს მადა გაეზარდათ და გალის რაიონიც მიიტაცეს...**

**— რას იტყვით დუდაევის, შევარდნაძისა და აბულფას ელჩიბეის შეხვედრის შესახებ ბაქოში, რომელსაც, თითქოსდა, ზვიადისა და შევარდნაძის შეხვედრა უნდა მოემზადებინა?**

— ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის დაპირისპირების ისტორიაში ბევრი რამ მეტ-ნაკლებად ცნობილი და გარკვეულია, მაგრამ ეს ის საკითხია, რომლის შესახებაც უამრავი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია არსებობს. როგორც მკვლევარს, ამ შეხვედრის შესახებ სკეპტიკური დამოკიდებულება მაქვს და მიმაჩნია, რომ მსგავსი შეხვედრა საერთოდ არ შემდგარა. თუმცა, არსებობს პიროვნება, რომელიც ამტკიცებს, რომ 1992 წელს, ზვიად გამსახურდიას თანხმობით, ჯოჰარ დუდაევს, ედუარდ შევარდნაძესა და ელჩიბეის შორის ბაქოში ასეთი შეხვედრა ნამდვილად შედგა! იცით, რა კითხვა მაწვალებს ამდენი ხანი? **თუ დუდაევი მოინდომებდა, ერთ-ორ ვერტმფრენს როგორმე გამოგზავნიდა და ზვიად გამსახურდია, რომელიც მშიერი, დევნილი, გაწამებული და დაღლილი იყო, ბოლოს და ბოლოს, სამეგრელოდან გააღწევდა, მაგრამ ეს არ მოხდა...**

**— დუდაევმა ვერტმფრენი გამოაგზავნა, მაგრამ ზვიადმა გროზნოში დაბრუნებაზე უარი თქვა!**

— არა, მე სხვა ინფორმაცია მაქვს და ასე ვიცი: ზვიად გამსახურდიას შესთავაზეს — **„თუ ჩეჩნეთში წახვალთ, ჯოჰარ დუდაევი მზად არის, ვერტმფრენი გამოგიგზავნოთ!“** ზვიად გამსახურდია ამაზე კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა და თქვა — ჩეჩნეთში ცოცხალი თავით არ დავბრუნდები!

**— რატომ იყო პრეზიდენტი ასეთი კატეგორიული ჩეჩნეთში დაბრუნებასთან დაკავშირებით?**

— ეს ძალიან დელიკატური საკითხია და ამ თემაზე საუბრისგან ამჯერად თავს შევიკავებ! ისე, ერთი რამ ყველამ კარგად დაიმახსოვროს: **ზვიად გამსახურდია გროზნოდან საქართველოში გაუცნობიერებლად და დაუფიქრებლად არ წამოსულა. მანამდე საქართველოში ჩამოსვლა მან ორჯერ სცადა, მაგრამ უშედეგოდ, ეს მესამე მცდელობა იყო...** შევარდნაძის სპეცსამსახურები, რომლებსაც ამერიკელები და რუსები აგენტურული ინფორმაციით ერთად ამარაგებდნენ, ზვიად გამსახურდიას ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდნენ. **ავთანდილ იოსელიანი** რომ ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში — „გარემოცვის გარემოცვას ვაკონტროლებდითო!“ — ვინ იყო ეს გარემოცვა, ვისაც შევარდნაძე აკონტროლებდა? ესენი იყვნენ — **ბესო გუგუშვილი, რობიზონ მარგველანი და ბაჩუკი გვანცელაძე!**








ბესარიონ გუგუშვილი, რობიზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე

## „ავთანდილ იოსელიანი რომ ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში — „გარემოცვის გარემოცვას ვაკონტროლებდითო!“ — ვინ იყო ეს გარემოცვა, ვისაც შევარდნაძე აკონტროლებდა? ესენი იყვნენ — ბესო გუგუშვილი, რობიზონ მარგველანი და ბაჩუკი გვანცელაძე!“

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**სოსო მანჯავიძე**
*ანალიტიკოსი*



**რაგბი ჩვენთვის ტრადიციული სპორტია,** მის აღორძინებაში დიდი წვლილი შეიტანა **ბიძინა ივანიშვილმა.** შეიძლება, პოლიტიკურად არ მოგწონდეს, მაგრამ **იმის დავიწყება, რაც გააკეთა, არ არის კარგი,** იმიტომ, რომ საერთო სიხარულია ჩვენი რაგბისტების გამარჯვება.

„თბილისელები“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



**„აირაის“** შემდეგ **„ენდიაიმაც“** შემოგვთავაზა მუდმივად **რეალობას აცდენილი გამოკითხვა.** როგორც ჩანს, ამერიკულ დემოკრატიულ პარტიასთან აფილირებულ „ენდიაიში“ მიაჩნიათ, რომ **ნაციონალურ მოძრაობას ხელოვნურადაც ვერ დაეწერება მაღალი რეიტინგი.**

„იმედინიუსი“

**გიორგი მარგველაშვილი**
*განათლებისა და მეცნიერების მინისტრი*



**ბიძინა ივანიშვილმა** პატრიოტული და სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებებით არაერთხელ დაამტკიცა, რომ **ფორმალური თუ არაფორმალური სანქციების არ ეშინია.**

„ინტერპრესნიუსი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*პარლამენტარი*



**„აირაი“** იმდენად **აირია,** რომ ნაცმოძრაობისთვის ვინ მიეწერა — **ნიკა მელია თუ ლევან ხაბეიშვილი,** ვერ გაარკვია და ამიტომ პატიმარი **სააკაშვილი** მიაწერა — ასე დარჩა ხახამშრალი **ხაბეიშვილი და მელია.**

„ინტერპრესნიუსი“

**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



საქართველო **დასავლეთის ნაწილი** „ოცნებასთან“ ერთად ვერასდროს ვერ გახდება.

„ახალი თაობა“

# ველოსიპედის




**კადრი საქართველოს რეალობიდან**



***„ველოსიპედების გამტაცებლები“ დიდი იტალიელი რეჟისორის ვიტორიო დე სიკას ოსკაროსანი ფილმია, რომელიც ეკრანებზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1948 წელს, გამოვიდა, ხოლო ვინ არიან „ველოსიპედის გამნაცებლები“ და რა იგულისხმება „ველოსიპედის განაცებაში“, ამის თაობაზე ქვემოთ მოგახსენებთ.***

საქმე ის არის, რომ 2023 წლის 30 აპრილს ხალხმრავალი აქცია გაიმართა თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე — იქ, საიდანაც სააკაშვილის რეჟიმმა დავით აღმაშენებლის დიდებული ძეგლი გააძევა და მის მაგივრად **ორსაჭიანი ველოსიპედის მახინჯი ძეგლი** დადგა!

30 აპრილის ხალხმრავალი მიტინგი იქ, **საიდანაც სააკაშვილის რეჟიმმა დავით აღმაშენებლის დიდებული ძეგლი გააძევა და ორსაჭიანი ველოსიპედის მახინჯი ძეგლი დადგა,** იმ საფრთხეების თავიდან არიდებას ემსახურებოდა, რომლებსაც საქართველოს სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენები და მათი უცხოელი მოკავშირეები უქადიან.

ხალხმრავალი აქციის მთავარი გზავნილები პოსტულატების სახით შეიძლება, ასე ჩამოვაყალიბოთ:

**ქართველი ხალხი არ დაუშვებს,** რომ ევროპელმა და ამერიკელმა პოლიტიკოსებმა ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტი ფეხქვეშ გათელონ!

**ქართველი ხალხი არ არის თანახმა,** საქართველო რომელიმე ევროპულ თუ ევროატლანტიკურ გაერთიანებაში საკუთარი ღირსების შელახვისა და ეროვნული თვითმყოფადობის გაუქმების ხარჯზე გაწევრიანდეს!

**ქართველი ხალხი წინააღმდეგია,** საქართველოში მეორე ფრონტი გაიხსნას და ქვეყანა, უკრაინის მსგავსად, მსოფლიოს ზესახელმწიფოთა შეიარაღებული დაპირისპირების პოლიგონად გადაიქცეს!

**ქართველი ხალხი ნაციონალურ მოძრაობასა და მის შიდა თუ გარე პარტნიორებს უფლებას არ მისცემს,** საქართველოში ხელისუფლება ანტიკონსტიტუციური გზით დაამხონ!

ხალხმრავალ აქციაზე სიტყვით გამომსვლელებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს, როგორი ბოროტება მართავდა საქართველოს ნაციონალური მოძრაობის სახით და კიდევ ერთხელ შეთანხმდნენ, რომ სააკაშვილის რეჟიმის რეანიმაცია ქვეყნის საბოლოო დაღუპვა იქნება!

და კიდევ: ხალხმრავალი აქციის ორგანიზატორთა მიერ შემუშავებული დეკლარაციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო, საქართველოს ხელისუფლებამ ნაციონალური მოძრაობის დიქტატორულ რეჟიმს პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მისცეს და მის მიმართ შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმები აამოქმედოს! ეს ნიშნავს, რომ **მიტინგის ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა მოითხოვეს, ნაციონალურ მოძრაობას, როგორც დიქტატორულ რეჟიმსა და დანაშაულებრივ ორგანიზაციას, პოლიტიკური საქმიანობა აეკრძალოს!**

კეთილი და პატიოსანი!

მაგრამ ეს ყველაფერი წარმოთქმული და მოსმენილი იქნა ნაციონალური მოძრაობის დიქტატორული რეჟიმის ერთ-ერთი სიმბოლოსა და ნაკვალევის — **ორსაჭიანი ველოსიპედის მახინჯი ძეგლის ფონზე!**

## ორსაჭიანი ველოსიპედის მახინჯი ძეგლი ნამდვილად არის სააკაშვილის მახინჯი რეჟიმის სიმბოლო! ორსაჭიანი ველოსიპედის მახინჯი ძეგლი იმ ავტოკრატიული ვნებებისა და ახირებების განსხეულებაა, რომლითაც სააკაშვილი საქართველოს 9 წლის განმავლობაში მართავდა!

ზოგადად, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ავტოკრატიას, დიქტატურასა თუ ტირანიას საკუთარი არქიტექტურული ხელწერა ჰქონდა, რომელიც იმ კონკრეტული მმართველობის კვაზიიდეალებს, სულიერ მდგომარეობასა და მორალურ მრწამსს გამოხატავდა. **რესპუბლიკის მოედანზე მდგარი ჰერმაფროდიტი ველოსიპედის ძეგლიც** სხვა არაფერია, თუ არა სააკაშ-





**კამო ტერ-პეტროსიანი, მიხეილ სააკაშვილი**

## ხელისუფლებამ ახლა მაინც უნდა იპწკინოს ერთ ადგილას და ჰერმაფროდიტი ველოსიპედის მახინჯი ძეგლი თბილისის ცენტრიდან მოაშოროს!

### კვირგვინოსნები

**ხათუნა ხოფერია**
*ყოფილი პარლამენტარი*



ნაციონალური მოძრაობა **უნდა გასამართლდეს** ყველა იმ დანაშაულის გამო, რაც მან ჩაიდინა! ამერიკა არის ჩვენი მეგობარი და პარტნიორი ქვეყანა, მაგრამ **მოვითხოვთ მისგან პატივისცემას, როგორც სუვერენული სახელმწიფო.** ნუ ექნებათ მცდელობა, შეურაცხგვყონ, ომში ჩაგვაბან და როგორც ერი, გაგვანადგურონ.

„საერთო გაზეთი“

**ვატო შაქარიშვილი**
*საზოგადოება „აი ია“ თანადამფუძნებელი*



საქართველოს ბედი ვერ გადაწყდება **ვერც მოსკოვში, ვერც — ბრიუსელში და ვერც — კიევში!** ვისაც არეულობა უნდა, იცოდეს, რომ ვერცერთ საელჩომდე თავშესაფრის მისაღებად მისვლასაც ვერ მოასწრებს.

„ინტერპრესნიუსი“

**მაკა ბოჭორიშვილი**
*ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*



ყოველდღიურად ვუყურებთ **საკუთარი ქვეყნის ოპოზიციაში ჩამდგარი პოლიტიკოსების ძალისხმევას,** ყველაფერი გააკეთონ, რომ ქვეყანა დააზიანონ და ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად ბრძოლა ნებისმიერ ფასად მოიგონ.

„ინტერპრესნიუსი“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



**სააკაშვილის** ფაქტორი ნელ-ნელა იძირება, სამაგიეროდ, **მერაბიშვილი და კეზერაშვილი** გამოჩნდნენ. ერთთან რეპრესიები ასოცირდება, მეორესთან — კორუფცია. **„ოცნებას“ მშვენივრად აქვს საქმე აწყობილი,** ახლა ახალი და კიდევ უკეთესი, თანაც **ორი საფრთხობელა ჰყავს**. მომავალ არჩევნებში ისევ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა დარჩებიან ერთმანეთის პირისპირ, **ისევ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს.**

„კვირის პალიტრა“

# გამნაცებლები

ვილისა და მისი ტირანული მმართველობის სულიერ-მორალური კონსტიტუციის პროექცია არქიტექტურაში!

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სააკაშვილის ნაცრეჟიმმა **ჰერმაფროდიტი ველოსიპედის** სახით რესპუბლიკის მოედანზე ძეგლი საკუთარ თავს დაუდგა!

ამგვარად მოხდა **ველოსიპედის განაცება!**

ამგვარად იქცნენ სააკაშვილი და მის ნაცები **ველოსიპედის გამნაცებლებად!**

თუმცა, მოდით, ესეც ვიკითხოთ: **ველოსიპედის გამნაცებელი** ხომ არ არის „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაც, რომელმაც არ ინება, რომ ეს მახინჯი ძეგლი დედაქალაქის შუაგულიდან მოეშორებინა?

იქნებ **ორსაჭიანი ველოსიპედის მახინჯი ძეგლი თბილისის ცენტრში** იმ მახინჯი მოვლენის სიმბოლოდ დატოვეს, რომელსაც კოჰაბიტაცია ჰქვია?

იქნებ **ორსაჭიანი ველოსიპედის მახინჯი ძეგლი საქართველოში** ორპარტიული, ანუ ქოცნაცური სისტემის ჩამოყალიბების მახინჯ მეტაფორად იქცა?

იქნებ **რესპუბლიკის მოედანზე მდგარი ორსაჭიანი ველოსიპედი** იმ ორთავიანი ურჩხულის ალუზიაა, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ **მურუსიძისა და ჩინჩალაძის სახით** ნაციონალური მოძრაობისაგან გადმოიბარა?

ასე არ არის?

აბა, რატომ დგას დღემდე **ჰერმაფროდიტი ველოსიპედის მახინჯი ძეგლი** რესპუბლიკის მოედანზე?

როცა რესპუბლიკის მოედნიდან დავით აღმაშენებლის დიდებული ძეგლის გამძევებელმა რეჟიმმა მის მაგივრად **ველოსიპედის მახინჯი ძეგლი** დადგა, ბევრი ქირქილით ამბობდა — სააკაშვილმა იგი ცნობილ ბოლშევიკ რევოლუციონერს **სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანს,** იგივე **კამოს** მიუძღვნაო!

ამ ხუმრობას ისტორიული საფუძველი გააჩნია, რადგან ახლანდელი რესპუბლიკის მოედნის სიახლოვეს, დღევანდელ ელბაქიძის დაღმართზე, რომელსაც ადრე ვერის დაღმართს ეძახდნენ, ველოსიპედით მიმავალი კამო ავტომობილს დაეჯახა და მოკვდა. ეს მოხდა **1922 წლის 14 ივლისს,** ხოლო 2 დღის შემდეგ, 16 ივლისს, გაზეთ „კომუნისტში“ ასეთი ცნობა გამოქვეყნდა: **„14 ივლისს საღამოს 9-11 საათამდე გარდაცვალებული იყო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისრის ამხ. ატარბეკოვის ბინაზე, საიდანაც ის ველოსიპედით გაემგზავრა ბინისაკენ. ვერის დაღმართზე ხიდისაკენ მოხვეულში, კამოს ველოსიპედი დაეჯახა ცარიელ**



კადრი ფილმიდან «ველოსიპედების გამტაცებლები»

**ავტომობილს, რომელმაც იგი გადაისროლა ველოსიპედიდან ქვაფენილზე. დავარდნა ისეთი ძლიერი იყო, რომ ამხ. კამო იმწამსვე ჩავარდა უგონო მდგომარეობაში, რომლიდანაც გარდაცვალებამდე, რომელიც მოჰყვა ორი საათის შემდეგ, განსვენებული ველარ გამოვიდა. მილიციის თანამშრომლებმა დაღუპული ამხანაგი იმავე ავტომობილით წაიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში, ხოლო შოფერი დააპატიმრეს“.**

ჰოდა, თბილისში შაყირობდნენ — სააკაშვილმა კამოს ძეგლი დაუდგაო!

თუმცა, მაშინ ჯერ კიდევ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ **ველოსიპედის გამნაცებელი სააკაშვილი** ბოლოს მართლაც **კამოს** დღეში აღმოჩნდებოდა და ციხიდან გამოღწევის მიზნით თავს ხან მოიმკვდარუნებდა, ხან მოიგიჟიანებდა და ხან მოიდემენციებდა! თუ პატიმრობაში მყოფმა **კამომ** საკუთარი განავალი შეჭამა, რათა თავის მოგიჟიანება უფრო დამაჯერებლად გამოსვლოდა, სააკაშვილი ჯერ მთლად ამ ზომამდე არ მისულა, მაგრამ **ქალაქში აქტიურად დადის ხმები იმის შესახებ, რომ „ვივამედის“ ლუქს-პალატაში მყოფი ნაცბელადი შიგადაშიგ საკუთარ ფეკალიებს ბურთულებად ახვევს და მედპერსონალს ესვრის!**

არ ვიცით, ეს ამბავი რამდენად ზუსტია, მაგრამ **ველოსიპედის გამნაცებელი სააკაშვილის** ბოლოდროინდელი საქციელები, პოლიტიკური და მორალური თვალსაზრისით, ზუსტად იმავე რამის ჭამას ნიშნავს, რაც ველოსიპედით ავარიაში მოყოლილმა და სულგამძვრალმა **კამომ** პატიმრობაში ყოფნისას მიირთვა!

აღსანიშნავია, რომ სააკაშვილი, სანამ **კამოს სტადიაში** გადავიდოდა, **КИМОსტუდიაში** მოღვაწეობდა — კიევის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში (**КИМО**-ში) სწავლისას პორნოგრაფიული ფილმების გადაღებით გახლდათ დაკავებული. როგორი იყო სააკაშვილის გზა **КИМОსტუდიიდან კამოს სტადიამდე,** ამის შესახებ უფრო ვრცლად და დეტალურად მოთხრობილია ტელერადიოკომპანია **„ობიექტივის“ დოკუმენტურ ფილმში,** რომლის საგაზეთო ჩვენებასაც **„ასავალ-დასავალის“** ამავე ნომერში, 22-25-ე გვერდებზე გთავაზობთ.





ლევან მურუსიძე, მიხეილ ჩინჩალაძე

**იქნებ რესპუბლიკის მოედანზე მდგარი ორსაჭიანი ველოსიპედი იმ ორთავიანი ურჩხულის ალუზიაა, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ მურუსიძისა და ჩინჩალაძის სახით ნაცმოძრაობისაგან გადმოიბარა?**

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, **თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, მდგარი ორსაჭიანი ველოსიპედის ძეგლი არამხოლოდ ფიზიკური და არქიტექტურული, არამედ პოლიტიკური სიმახინჯეა!**

**პირველ რიგში, პოლიტიკური სიმახინჯე!**

ეს არის სააკაშვილის უბოროტესი რეჟიმის მემკვიდრეობა, რომელსაც თავისი კარმა და ენერგეტიკა გააჩნია — საქართველოს პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი, ეროვნული და სულიერი სივრცის დამაბინძურებელი და დამამახინჯებელი ენერგეტიკა!

საქართველოს ხელისუფლებამ ახლა მაინც უნდა იპწკინოს ერთ ადგილას და **ჰერმაფროდიტი ველოსიპედის მახინჯი ძეგლი** თბილისის ცენტრიდან მოაშოროს!

წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდმივად შეიქმნება ისეთი უხერხული და სახამუშო ვითარება, როგორიც 30 აპრილს ვიხილეთ, როცა რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილი მრავალი ათასი ადამიანი ნაცრეჟიმის ნარჩენთა პოლიტიკურ დასამარებას ნაცრეჟიმის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოსა და მემკვიდრეობის — **ველოსიპედის ძეგლის ფონზე** ითხოვდა!

იდგა **ეს ჰერმაფროდიტი ველოსიპედი,** ვითარცა სააკაშვილის რეჟიმის მიერ საკუთარი თავისათვის დადგმული მონუმენტი და დასცინოდა 30 აპრილს სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენთა წინააღმდეგ შეკრებილ ქართველებს!

ალბათ, ნაცრეჟიმის ნარჩენებიც გულში იცინოდნენ და ფიქრობდნენ — **„ვერ გაგვაქრობთ, ვერ ამოგვძირკვავთ, ვერ წაგვშლით, ჩვენ ხომ ველოსიპედის გამნაცებლები ვართ!“**

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები



**ხათია დეკანოიძე**
*ოპოზიციური პარლამენტარი*

ნაციონალური მოძრაობა **იმდენად დიდი პარტიაა,** რომ ყველას, ვინც გადაწყვეტს, რომ მის ორბიტაზე შევიდეს, **გადაყლაპავს.**

„პალიტრანიუსი“



**ზვიად ძიძიგური**
*„კონსერვატიული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი*

თუ „ოცნება“ ნაციონალურ მოძრაობას ეძებს და ებრძვის, პარლამენტში, თავიანთ აღმასრულებელ ხელისუფლებაში შეიხედოს — **მაგიდასა და სკამზე შემდგარი რომ სვამდნენ მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის სადღეგრძელოს,** იმ ხალხით არის გამოტენილი დღევანდელი მმართველი პოლიტიკური ძალა.

„პალიტრანიუსი“



**ანა ნათელაძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*

ნაციონალური მოძრაობის ყოფილი მინისტრები, ელჩები როცა იძახიან, **პარტიას მართვის ცუდი გამოცდილება აქვს და ხალხს ეშინიაო,** მე და **ხაბეიშვილი** მაშინ სკოლაში ვიყავით და მაინც ჩემი რანაირად ეშინიათ?

„პირველი არხი“



**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*

**როგორც ჩანს, ნაციონალურ მოძრაობასთან სიახლოვეში დიდხანს ტრიალმა უსუფაშვილიც** დაამსგავსა იმ ავაზაკებს, ვის გვერდზეც მოკალათდა.

„პირველი არხი“



**ნიკოლოზ სამხარაძე**
*პარლამენტარი*

ნაციონალურ მოძრაობას: **თქვენი ხელისუფლების დროს რომელ საერთაშორისო ასპარეზზე დავამარცხეთ რუსეთი,** საერთოდ, გიჩივლიათ რუსეთისთვის, როდესაც ხელისუფლებაში იყავით?

„პირველი არხი“

# დაჩი ცაგურია:

# კლინიკა „ვივამედში“ კოტრიალი სააკაშვილს სასჯელის მოხდაში არ უნდა ჩაეთვალოს!



***დაჩი ცაგურია, რომელიც სააკაშვილის სისხლიან რეჟიმთან ბრძოლის ავანგარდში იდგა და არაერთხელ გახდა ნაცრეპრესიების მსხვერპლი, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აფასებს და აცხადებს, რომ ქართველი ხალხი ხელისუფლებაში ჯალათების დაბრუნებას არასოდეს დაუშვებს:***

— იმ წლებში, როცა ნაცების უბოროტეს რეჟიმს შიშველი ხელებით ვებრძოდით, ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა — სააკაშვილი, მერაბიშვილი, უგულავა და ახალაია ციხეში აღმოჩნდებიან, ხოლო ადეიშვილი, კეზერაშვილი, კოდუა და სხვები ქვეყნიდან გაიქცევიან და დაუსწრებლად გასამართლდებიანო, ალბათ, ვერ დავიჯერებდი. მადლობა ღმერთს, რომ ამ დღეს მოვესწარით! რა თქმა უნდა, ბოლომდე კმაყოფილები ვერ ვიქნებით და ვერც იმას ვიტყვით, რომ სამართალმა სრულფასოვნად იზეიმა, მაგრამ ნაცმოძრაობის სახით იმხელა ბოროტებასთან გვქონდა საქმე, რასაც მივაღწიეთ, ესეც ბევრს ნიშნავს!

**რომ არა 2012 წელს ბიძინა ივანიშვილის მონდომება და თავგანწირვა, წარმოდგენაც კი მზარავს, რა რეალობა იქნებოდა დღეს საქართველოში... მე და თქვენ ახლა არათუ ინტერვიუს ვერ ჩავწერდით, შესაძლოა, ცოცხლებიც აღარ ვყოფილიყავით!**

**— თანაც, ნაცებს გაცხადებული ჰქონდათ, რომ ხელისუფლებაში 30 წლით იყვნენ მოსული!**

— დიახ, სააკაშვილი და მისი ბანდა ხელისუფლებიდან წასვლაზე არც კი ფიქრობდნენ! ახლა ჩვენ პუტინისტებს რომ გვეძახიან და გვაბრალებენ, თითქოს ქვეყანას რუსეთისაკენ მივაქანებთ, სინამდვილეში, თვითონ მართავდნენ ქვეყანას რუსული მეთოდებით.

## სააკაშვილი ზუსტად ისე მოიქცა, როგორც პუტინი – ქვეყნის კონსტიტუცია და მმართველობის მოდელი შეცვალა, რათა საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ პრემიერ-მინისტრის პოსტი დაეკავებინა!

გული მეკუმშება და ტვინში სისხლი მასხამს, როცა ეს გარეწარი ნაცები საქართველოს ცილს სწამებენ, თითქოს ჩვენს ტერიტორიაზე სანქცირებულ ტვირთებს ვატარებთ და უკრაინის წინააღმდეგ ომში ვეხმარებით რუსეთს, რომელმაც დაგვიპყრო, ტერიტორიები წაგვართვა და აფხაზეთსა და სამაჩაბლოში გენოციდი მოგვიწყო. როგორი არაადამიანი და ნამუსგარეცხილი უნდა იყო, რომ საკუთარ ქვეყანას ასეთი სიბინძურე დააბრალო!

ხომ არ ჰგონიათ, დაგვავიწყდა, 2008 წლის ომის დროს სააკაშვილის გუბერნატორები რუს გენერლებს მძღოლებად და მერიქიფეებად რომ ედგნენ?! დიახ, **სამეგრელოს გუბერნატორი გოროზია რუს გენერალ ჩაბანს ზუგდიდში ჯიპით დაატარებდა, შიდა ქართლის გუბერნატორი ვარძელაშვილი კი რუს გენერალ ბორისოვს გორში სუფრებს უშლიდა.** ესეც არ იკმარეს, მთელი საქართველოს სტრატეგიული ობიექტები, ენერგეტიკა და ეკონომიკა რუსეთს გადასცეს, ნაძირალა მერაბიშვილი კი პარლამენტში გამოდიოდა და აცხადებდა — რუსულ ფულს სუნი არა აქვსო!

იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ **თავდაცვის მინისტრი კეზერაშვილი** და **მთავარსარდლის დედა გიული ალასანია** 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში მაროდიორობით იყვნენ დაკავებული!

**— დააკონკრეტეთ, რა გაქვთ მხედველობაში?**

— 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში საქართველოში არცერთი ძარცვისა და ქურდობის ფაქტი არ დაფიქსირებულა, არავის არავისთვის ჯიბეში ხელი არ ჩაუყვია და მაღაზიიდან ერთი ბოთლი ლუდი თუ წყალი არავის მოუპარავს, სამაგიეროდ,

## გაგანია ომის დროს მთავარსარდალ სააკაშვილის დედამ მოიცალა იმისათვის, რომ მრავალმილიონიანი სახელმწიფო ქონება – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსები კაპიკებად დაესაკუთრებინა!

წარმოიდგინეთ, მაშინ, როცა საქართველო სისხლიანი ცრემლებით ტიროდა და უპატრონოდ მიტოვებული ქართველი ჯარისკაცების ცხედრები ბრძოლის ველზე ეყარა, ქვეყნის პრეზიდენტი და მთავარსარდალი დედამისისათვის სახელმწიფო ქონების გადაფორმებით იყო დაკავებული! ეს წმინდა წყლის მაროდიორობაა და გიული ალასანია პირწავარდნილი მაროდიორია ისევე, როგორც კეზერაშვილი, რომელმაც ქართული ჯარი გაძარცვა და წაგებული ომის ხარჯზე მილიარდები იშოვა!

**— თუმცა, დღეს გიული ალასანია მთელ საქართველოს აქეთ ამუნათებს — ჩემი შვილი ამ ქვეყნისაგან ასეთ მოპყრობას ამ იმსახურებს, ქართული სახელმწიფოს შემქმნელს ციხეში კლავენო!**

— სააკაშვილი საქართველოსა და ქართველი ხალხისაგან მართლაც იმსახურებს ყველანაირ საშინელებასა და სისასტიკეს, მაგრამ ამის ნაცვლად რას იღებს? ციხის საკანშიც კი არ ზის და საუკეთესო კლინიკის სამეფო აპარტამენტშია წამოკოტრიალებული, 20 ექიმი და 50 მედდა ახვევია თავზე, დღეში რამდენიმე მნახველს იღებს და უცხოეთის პრესაში ინტერვიუებს აქვეყნებს. ამას ეძახიან წამებას ეს უსინდისოები? **საერთოდ, მიმაჩნია, რომ კლინიკა „ვივამედში“ კოტრიალი სააკაშვილს სასჯელის მოხდაში არ უნდა ჩაეთვალოს და იქ გატარებული დრო მისი პატიმრობის ვადას არ უნდა მოაკლდეს!**

ძალიან სამწუხაროა, რომ ქართველი ხალხისათვის მოპარული მილიარდებით და ქვეყნის ნაძარცვი ფულით უკრაინასა და ამერიკაში შეძენილი სრასახლებიც სააკაშვილს ხახვივით შერჩა, ახლა კი მიზერული სასჯელის მოხდაც არ უნდა! მაგ ნაძირალას გადამკიდე არაერთხელ ვიჯექი საპატიმროში, მაგრამ ასეთი მხდალი, გაფარჩაკებული, სიმულანტი და სამარცხვინო პატიმარი არასოდეს მინახავს! **გული მერევა, როცა მახსენდება, რომ ამ სამარცხვინო კაცუნას საქართველოს პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი ერქვა!**

**— მიუხედავად ყველაფრისა, ნაცებს კვლავ ხელისუფლებაში მოსვლაზე აქვთ პრეტენზია, თავიანთ რევანშისტულ გეგმებს უკვე აღარც მალავენ და ქვეყნის გარედან საკმაოდ ძლიერი მხარდაჭერითაც სარგებლობენ! როგორ ფიქრობთ, რა გამოუვათ?**

— ნაცები რევანშსა და ხელისუფლებაში დაბრუნებას რომ ვერ ეღირსებიან, ამის გარანტიას მათ ქართველი ხალხი აძლევს! დღეს ეს გარეწრები ზუსტად ისე იქცევიან, როგორც საუკუნეების წინათ იქცეოდნენ სამშობლოს გამყიდველი ქართველები, რომლებიც ოსმალეთსა თუ სპარსეთში ჩადიოდნენ და იქაურ მმართველებს ეხვეწებოდნენ — საქართველოში ჯარი გაგვაყოლეთ და მეფეს, რომელიც გეურჩებათ, დავამხობთ, ჩვენ კი თქვენი ყურმოჭრილი მონები გავხდებითო.

ახლა ე.წ. ქოლცენტრების საქმეს რამდენიმე ევროპული ქვეყნის სამართალდამცავი უწყებები იძიებენ და ცდილობენ, კეზერაშვილის მიერ ევროპელი პენსიონერებისათვის მოპარულ მილიონებს როგორმე მიაკვლიონ... შემიძლია, ამისათვის მოკლე გზა ვასწავლო — **კარგად შეისწავლონ ყველა იმ ევროპელი პარლამენტარისა თუ ამერიკელი კონგრესმენის ფინანსური ანგარიშები, რომლებიც სააკაშვილს თავგამოდებით იცავენ, ნაციონალურ მოძრაობას ლობირებენ და საქართველოს წინააღმდეგ ცილისმწამებლურ კამპანიაში არიან ჩართული!** სწორედ მათ ჯიბეებში აღმოაჩენენ კეზერაშვილის მიერ ევროპელი პენსიონერებისათვის მოპარულ მილიონებსაც და ქართული ჯარისათვის მოპარულ ფულსაც!

**— არადა, ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონს საქართველოში უკრაინული „მაიდნის“ გამეორება ეზმანება!**

— კარგად ვხედავთ, რომ უკრაინული „მაიდანი“ ბუჩით, მარიუპოლითა და ბახმუტით მთავრდება!

*ესაუბრა*

*გიორგი ძაძამია*





## „გიული ალასანია პირწავარდნილი მაროდიორია ისევე, როგორც კეზერაშვილი, რომელმაც ქართული ჯარი გაძარცვა და წაგებული ომის ხარჯზე მილიარდები იშოვა!“

## კვირგვინოსნები

**ია მეტრეველი**
*სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლული ბუტა რობაქიძის დედა*



ქვეყნები, რომლებიც **ვითომ მეგობრებად გვევლინებოდნენ,** ვხედავთ, რომ შიდა საქმეებში ძალიან უხეშად ჩაერივნენ! **ქართველი ხალხი არ დაუშვებს ღირსების შელახვას!**

„ინტერპრესნიუსი“

**ზაზა პაპუაშვილი**
*მსახიობი*



მზად ვართ ნებისმიერ ქვეყანასთან თანამშრომლობისთვის, **ოღონდ არა საკუთარი თავის გაქრობის ხარჯზე** — ნურავის მოუვა აზრად ჩვენი ქვეყნის დაკოდვა, გამოშიგვნა და გადასხვაფერება.

„ინტერპრესნიუსი“

**გია გარეჩილაძე (უცნობი)**
*მომღერალი*



დიდი მადლობა უფალო, რომ **ჩვენს ქვეყანაში მშვიდობაა** — მადლობა ყველა ადამიანს, **ვინც მშვიდობას კბილებით იცავს, კბილებით იჭერს,** რა დიდი ზეწოლის ქვეშაც არ უნდა ჯდებოდეს მისი დაჭერა.

„ინტერპრესნიუსი“

**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ლიდერი, პარლამენტარი*



**ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში არ უნდა მოვიდეს!** ხელებს იფშვნეტენ, მოვალთ, **დედას გიტირებთო,** ერთმანეთში რანაირი ამბები აქვთ და ხელისუფლებაში მოსვლის მერე რაღა იქნება.

„კვირის პალიტრა“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



ნაციონალების მდგომარეობა **უკვე სასაცილოც აღარ არის.** მაგათ ადგილას მე ვიტირებდი.

„ახალი თაობა“

# დემეტრე თავდადებულიდან მიხეილ თავდარტყმულამდე

***პატიმარი სააკაშვილი კლინიკა „ვივამედის" ლუქს-პალატიდან იუწყება, რომ ამა წლის 3 მაისს გონება დაკარგა, წაიქცა, თავი რკინის მაგიდას დაარტყა და სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა.***

სამაგიეროდ, პატიმარ სააკაშვილის მიერ გონების დაკარგვისა და რკინის მაგიდაზე თავის დარტყმის ფაქტს არ ადასტურებენ „ვივამედის" მედპერსონალი და კლინიკის ადმინისტრაცია, რომელის წარმომადგენელთა განცხადებითაც სააკაშვილის ლუქს-პალატაში რკინის მაგიდა საერთოდ არ დგას.

**„ვივამედის" კლინიკური დირექტორი ზურაბ ჩხაიძე** ამბობს, რომ სააკაშვილს, გარეგანი დათვალიერებით, წაქცევისა და რკინის მაგიდაზე თავის დარტყმის არავითარი კვალი არ აღენიშნება. მისივე თქმით, **სააკაშვილის მიერ გონების დაკარგვის ფაქტი არც იმ ვიდეოკამერების ჩანაწერებში ჩანს, რომლებიც პატიმრის პალატაში სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს აქვს დამონტაჟებული.**

ამდენად, ახლა ასეთი ვითარების მომსწრენი ვართ: **სააკაშვილი ამტკიცებს, რომ თავდარტყმულია!**

**„ვივამედის" ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ სააკაშვილი თავდარტყმული არ არის!**

საბოლოო ჯამში, სააკაშვილი **თავდარტყმულია** თუ არა, ამის დასადგენად მისმა ადვოკატმა **შალვა ხაჭაპურიძემ** პენიტენციურ სამსახურში წერილი აფრინა — სააკაშვილის პალატაში განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერები გადმომეცითო!

არადა,

**შალვა ხაჭაპურიძეს არავითარი დამატებითი მტკიცებულება არ უნდა სჭირდებოდეს იმაში დასარწმუნებლად, რომ სააკაშვილი მთელი ცხოვრება თავდარტყმულია! ასე რომ არ იყოს, სააკაშვილი საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ იმ საშინელ დანაშაულებს არ ჩაიდენდა, რომლებიც ხაჭაპურიძემ მის წინააღმდეგ ჰააგის სასამართლოში შეტანილ სარჩელში წვრილ-წვრილად ჩამოაწიკწიკა!**

სააკაშვილი რომ ნამდვილად **თავდარტყმულია,** ეს ქართველმა საზოგადოებამაც შესანიშნავად უწყის და კონკრეტული მტკიცებულებებიც გააჩნია!

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?

დავიწყოთ სულ თავიდან, როცა ხელისუფლებაში ორი თვის მოსულმა სააკაშვილმა ერთი კინკილა მღვდლის — **ბასილ მკალავიშვილის** დასაჭერად სპეცდანიშნულების რაზმები შეყარა, ეკლესიის კარი სატვირთო მანქანით შეანგრევინა და ღამენათევი მრევლი, რომელიც, ძირითადად, ხანში შესული ქალბატონებისაგან შედგებოდა, ხელკეტებით დაარბევინა; მერე გავიხსენოთ **სიკვდილის ბრიგადების შექმნა და უდანაშაულო ახალგაზრდების ქუჩაში დახოცვა, მშვიდობიანი მიტინგების სისხლში ჩახშობა, მომიტინგეთა ცემით მოკვლა და ცხედრების შემოლაგება მაღაზიის სახურავზე;** გავიხსენოთ **ციხეებში პატიმრების წამებისა და გაუპატიურების სისტემური ფაქტები;** გავიხსენოთ **2008 წლის აგვისტო, საქართველოს შეგდება რუსული ტანკის მუხლუხოებში, ბრძოლის ველზე უპატრონოდ მიტოვებული ქართველი ჯარისკაცების ცხედრები და რუსთაველის გამზირზე გამართული კონცერტი იმის აღსანიშნავად, რომ რუსეთს ომი მოვუგეთ;** გავიხსენოთ კიდევ ბევრი რამ და ბოლოს ისიც, რომ **კაცი, რომელიც 10 წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტი იყო, საქართველოს საზღვარზე განუბაჟებელი საქონელივით შემოიპარა ტრაილერის კონტეინერში არაყნებთან ერთად ჩამალული...**

ესენი აშკარად **თავდარტყმული** კაცის საქციელებია!

სააკაშვილის **თავდარტყმულობა** საქართველოს სისხლის მდინარეებად დაუჯდა!

სააკაშვილის **თავდარტყმულობამ** საქართველოს კოდორის ხეობა, ახალგორის რაიონი და 150-ზე მეტი სოფელი დააკარგვინა!



კადრი სააკაშვილის ლუქს-პალატიდან. 2022 წლის 8 ოქტომბერი







კადრი სააკაშვილის ლუქს-პალატიდან. 2022 წლის 12 ნოემბერი

სააკაშვილს საკუთარმა **თავდარტყმულობამ** ათქმევინა — 2008 წელს ქვების გროვისა და სალი კლდეების მეტი არაფერი დაგვიკარგავსო!

ყოველივე ამის შემდეგ, რა მნიშვნელობა აქვს, სააკაშვილმა „ვივამედის" ლუქს-პალატაში თავი რამეს დაარტყა თუ არა? საქართველოს ისტორიაში იგი მაინც **მიხეილ თავდარტყმულის** სახელით შევა და ვერასოდეს დაიმკვიდრებს ადგილს დიდებული მეფის — **დემეტრე თავდადებულის** გვერდით, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე გაწირა, რათა სამშობლო და მშობელი ხალხი მონღოლთა მიერ აოხრებისაგან გადაერჩინა!

დემეტრე თავდადებულისაგან განსხვავებით, **მიხეილ თავდარტყმულმა** საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესები არაერთგზის შესწირა თავის კერძო ინტერესებსა და პირად კეთილდღეობას, რის გამოც საქართველოს ისტორიის ყველაზე ბნელ კუნჭულში მოუწევს დაბინავება!

**ის ადგილი „ვივამედის" ლუქს-პალატას ნამდვილად არ ემგვანება!**

**დემეტრე თავდადებულისაგან განსხვავებით, მიხეილ თავდარტყმულმა საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესები არაერთგზის შესწირა თავის კერძო ინტერესებსა და პირად კეთილდღეობას, რის გამოც საქართველოს ისტორიის ყველაზე ბნელ კუნჭულში მოუწევს დაბინავება!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**შალვა ხაჭაპურიძე**
*ადვოკატი*



**მიხეილ სააკაშვილს** თავზე აქვს დაზიანება, **თავი დაარტყა, უმძიმეს მდგომარეობაშია.** მანახა მაგიდა, რომელზეც ვფიქრობდი, ზუსტად ის მაგიდაა. მაგიდას რკინის კონსტრუქცია აქვს.

„რეზონანსი"

**ზურაბ ჩხაიძე**
*„ვივამედის" კლინიკური დირექტორი*



**სააკაშვილს გონება არ დაუკარგავს.** მის ლუქს-პალატაში არც რკინის მაგიდა დგას და **არც გარეგანი დათვალიერებით აღენიშნება დაზიანება.**

„რეზონანსი"

**გიორგი ჟღენტი**
*რესპუბლიკის მოედანზე გამართული აქციის მონაწილე*



გახსოვთ, **14 წლის ბიჭს ნაციონალების ბანდა როგორ დაუპირისპირდა,** მაგრამ აქ არ მოვსულვარ რევანშისთვის, მოვედი, რადგან მიკვირს, **საზოგადოების ნაწილში არის სურვილი, დააბრუნოს კაცთმოძულე რეჟიმი.**

„პირველი არხი"

**რუსუდან შარაძე**
*გურამ შარაძის ქალიშვილი*



მამაჩემი, **გურამ შარაძე,** სწორედ იმისთვის დახვრიტეს, რისთვისაც დღეს ჩვენ ვიბრძვით. **დღეს იშვიათად თუ გაიგონებთ მის სახელს** და მინდა, შევახსენო ყველას, რომ **ნახევარი სიმართლით ვერ გავიმარჯვებთ.** მკვლელების ბანდა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გასამართლდეს! ვერასდროს წარმოვიდგენდი, **რომ მამაჩემის დახვრეტიდან 16 წლის შემდეგ ისევ ქუჩაში ვიქნებოდი** თქვენთან ერთად ისევ იმავე მოთხოვნით.

„პირველი არხი"

**გელა ნიკოლაიშვილი**
*ადვოკატი*



სააკაშვილის **სამკურნალოდ საზღვარგარეთ გადაყვანა** მის გათავისუფლებას ნიშნავს.

„ახალი თაობა"

# ჩვენ ქვეყნის «სადაჯმეოზე» ცოცხალი თავით არ დავდგებით!

***ამ რამდენიმე დღის წინათ, კერძოდ, 30 აპრილს, ქართველმა სამხედროებმა თავიანთი პროფესიული დღე ტრადიციისამებრ აღნიშნეს და ვაზიანში მეოთხე ქვეითი ბრიგადის დისლოკაციის ადგილზე საქართველოს ხელისუფლებისა და უცხოეთის დიპლომატიური კორპუსის ვრცელ წარმომადგენლობას უმასპინძლეს. თავსხმა წვიმაში ქართველი ჯარისკაცები მოთმინებით და გაუტოკებლად უსმენდნენ გამომსვლელებს, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და საქართველოს შეიარაღებული ძალების მისამართით საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ!***



სალომე ზურაბიშვილი საქართველოს თავდაცვის ძალების 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას. 2023 წლის 30 აპრილი



როგორც მოსალოდნელი იყო, ქართულ ჯარს სხვებთან ერთად მიესალმა **საქართველოს პრეზიდენტად წოდებული უმაღლესი მთავარსარდალი სალომე ზურაბიშვილი,** რომელიც 7-8 მარტის დრამატული მოვლენების დროს ამერიკიდან „გიმნაზისტკასავით" გვიცინოდა და, როგორც 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სისხლიანი გადატრიალების დროს, ახლაც ერთი სული ჰქონდა, რუსთაველის პროსპექტი როდის გადაიბუგებოდა და ქვეყნის კანონიერი ხელისუფლება დაემხობოდა.

ტრიბუნაზე შემდგარი **მადამ სალომე** რომ დავინახე, გულმა რეჩხი მიყო და ჩემთვის გავიფიქრე — **რაღაც სისულელეს აუცილებლად დაახეთქებს-მეთქი!** არც შევმცდარვარ... ცოტა ხანსაც არ გაევლო, რომ პრეზიდენტმა ქართველ ჯარისკაცებს ისეთი რამ უთხრა, სკამიდან კინაღამ გადმოვვარდი — **„თქვენ ქვეყნის სადაჯმეოზე დგეხართ!"**

თავიდან ყურებს არ დავუჯერე და გავიფიქრე — იქნებ მომეჩვენა-მეთქი! მაგრამ რამდენჯერაც მის სიტყვას მოვუსმინე, სალომე ზურაბიშვილის საჩოთირო და ფონეტიკურად მრავალჟღერად ფრაზას **„სადაჯმეო"** ვერაფრით მოვაშორე...

მოკლედ, **„სადაჯმეო"** სალომე ზურაბიშვილის კიდევ ერთი ცინცხალი ნოუჰაუა, რომელიც აუცილებლად ღირსეულ ადგილს დაიკავებს ისეთი ცნობილი გამოთქმების გვერდით, რომლითაც მან წლების განმავლობაში ასე გაგვანებივრა — **„მართმადიანი", „სადაც არ უნდა გათხარო, ყველგან შეგიძლია გათხარო!"** და ა.შ.

მიგვაჩნია, რომ ვაზიანში ჯარისკაცების წინაშე გამოსულ სალომე ზურაბიშვილს ფროიდისეული წამოცდენა მოუვიდა და წამოაყრანტალა ის, რასაც მთელი შეგნებული ცხოვრება სჩადის! ანუ აღიარა, რომ საქართველოს ინტერესებს კი არ დარაჯობს, არამედ სინამდვილეში მართლაც საქართველოს **„სადაჯმეოზე"** დგას, რათა ქვეყანა იმაზე უფრო მეტად აქოთოს დაააყროლოს, როგორც ეს თავის კაგებეშნიკ ქმართან **ჟანრი ქაშიასთან** ერთად 1991 წლის მიწურულსა და 1992 წლის დასაწყისში შეძლო.

**თუ აქამდე მხოლოდ ეჭვის ჭია გვღრღნიდა და იმაზე ვჭოჭმანობდით, უღალატებდა თუ არა სალომე ზურაბიშვილი საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს და „შეერთოდა თუ არა ულმრთოთა", 2023 წლის 7-8 მარტის მოვლენებმა და მისმა ბოლოდროინდელმა განცხადებებმა საბოლოოდ დაგვარწმუნა, რომ ეს ქალი საქართველოს სადარაჯოზე კი არა, ნამდვილად ქვეყნის „სადაჯმეოზე" დგას.** ჩვენი ყოველდღიურობა და ქართული პოლიტიკის ცოდვა-მადლი გვიდასტურებს, რომ **სალომე ზურაბიშვილსა და წყეულ ზურაბ-გირჩი ჯაფარიძეს შორის,** ფაქტობრივად, ყოველგვარი ზღვარი წაშლილია. ასე, მაგალითად, თუ **ზურაბ-გირჩმა** სოფელ აპოცთან ჩაიხადა და რუსების შეშინება მოტიტვლებული უკანალით სცადა, **სალომე ზურაბიშვილმა** ნიღაბი აიხადა და ე.წ. გლობალური ომის პარტიის სამსახურში ჩადგა. ეს რომ ასეა, ამას **ირაკლი კობახიძის** ერთი ბოლოდროინდელი და სკანდალური განცხადებაც ადასტურებს. გახსოვთ, ალბათ, „ქართული ოცნების" თავმჯდომარის ის სატელევიზიო ინტერვიუ, როცა მან უკრაინაში ომის დაწყების მეორე დღეს სალომე ზურაბიშვილის რეზიდენციაში სტუმრობა და მადამ პრეზიდენტის სიტყვები გაიხსენა — **რაც ზელენსკიმ ქნა, თქვენც ის უნდა ქნათო!**

# ქალმა იმდენი თხარა, ბოლოს, როგორც მოსალოდნელი იყო, ნაცები გამოთხარა და, ფაქტობრივად, გიული ალასანიას ლამაზისეულად იქცა!

ზუსტად ძნელი სათქმელი და გამოსაცნობია, კიდევ სად უნდა **„გათხაროს"** ან რა უნდა **„მოთხაროს"** ზურაბიშვილმა, მაგრამ ამ **ქალმა იმდენი თხარა, ბოლოს, როგორც მოსალოდნელი იყო, ნაცები გამოთხარა და, ფაქტობრივად, გიული ალასანიას ლამაზისეულად იქცა.**

მართალია, სალომე ზურაბიშვილის წინაპრები საქართველოდან კისრისტეხით კი გაიქცნენ და გატაცებული ეროვნული საგანძური წალმა-უკუღმა გაახაზირეს, მაგრამ იმედია, **მადამ პრეზიდენტს** გაგონილი მაინც ექნება იმის შესახებ, რომ 1281 წელს, როცა მონღოლები ეგვიპტის სულთანს დაუპირისპირდნენ, **დემეტრე მეორე თავდადებულმა** მონღოლთა სარდალ **მუნქეს** თხოვნით მიმართა — **ეგვიპტელებს პირველები ჩვენ, ქართველები, შევებმებითო!** დემეტრემ თავისი თხოვნა შემდეგი არგუმენტით გაამყარა — **„წესადამცა არს წინამბრძოლობა ქართველთა!"**

პოლიტიკურად რამდენად სწორი იყო მონღოლების მიერ დაქცეული და გავერანებული ქვეყნის წინამბრძოლობა მონღოლების დაუძინებელი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, ძნელი სათქმელია, მაგრამ, რომ არა ასეთი თავდადება და ქართველების ვაჟკაცობით საყოველთაო აღფრთოვანება, ეგვიპტის სულთანი, რომელიც მთელი მაშინდელი ისლამური სამყაროს მორალურ და პოლიტიკურ ლიდერს განასახიერებდა, **დემეტრე მეორე თავდადებულის ვაჟს,** საქართველოს მომავალ დიდ მეფე **გიორგი მეხუთე ბრწყინვალეს,** ქრისტეს საფლავის გასაღებს უდიდესი პატივისცემის ნიშნად არ გადასცემდა.

**ეს ისტორიული ექსკურსი მხოლოდ იმის სადემონსტრაციოდ დაგვჭირდა, რომ საქართველოს პირველი პირები ურთულეს ეპოქებშიც კი ახერხებდნენ ქვეყნის პრესტიჟისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე დგომას, რასაც სალომე ზურაბიშვილზე ვერ ვიტყვით, რადგან მადამ პრეზიდენტს სადარაჯო და „სადაჯმეო" ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია...**

სალომე ზურაბიშვილს ვპირდებით, რომ მის მსგავსად ქვეყნის **„სადაჯმეოზე"** ცოცხალი თავით არ დავდგებით, ხოლო საქართველოს **სადარაჯოს** არასოდეს მივატოვებთ და არც იმ მოღალატეებს გავაკარებთ, რომლებიც **პრეზიდენტ-რეზიდენტს** სააკაშვილისა და გვარამიას გასათავისუფლებლად მამუკა ხაზარაძის კრედიტ-ოფიცრებივით ევაჭრებიან!

***დიტო ჩუბინიძე***



# თუ ზურაბ-გირჩმა აპოცთან ჩაიხადა, ზურაბიშვილმა ნიღაბი აიხადა!

# გენერალისიმუსი

№24-25 (192-193) ★ 2023 წლის 8 მაისი ★ გამოდის 2003 წლიდან




უცნობი ჯარისკაცის მემორიალი ვაკის პარკში, რომლის გადაკეთებასაც სალომე ზურაბიშვილი ითხოვს!

# პრეზიდენტი ზურაბიშვილი უცნობი ჯარისკაცის მემორიალს ემგერა!

***ხვალ, 2023 წლის 9 მაისს, მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის დამარცხებიდან 78 წელი შესრულდება. ეს დღე განსაკუთრებით ღირსსახსოვარია პატარა საქართველოსათვის, რომელმაც დიდ სამამულო ომში 700 000 შვილი გაგზავნა და იმათგან მხოლოდ ნახევარს ეღირსა უკან დაბრუნება.***

აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ დიდ სამამულო ომში დიადი გამარჯვების მთავარი შემოქმედიც საქართველოს შვილი იყო — **იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი,** რომლის სიტყვებიც — **ჩემს საფლავს ბევრ ნაგავს მიაყრიან, მაგრამ მას ისტორიის ქარი დაუნდობლად გაფანტავსო** — სულ უფრო ემსგავსება ახდენილ წინასწარმეტყველებას.

მოკლედ, საქართველოს ბევრი მიზეზი აქვს იმისათვის, რომ ყოველი 9 მაისი ზეიმით აღნიშნოს და წელიწადში ერთხელ მაინც ღირსეულად მოეფეროს დიდი სამამულო ომის ვეტერანებს — მხცოვან გმირებს, რომელთა რაოდენობაც, მათი ასაკიდან გამომდინარე, მცირდება და მცირდება.

მოგეხსენებათ, **თბილისში მთავარი ადგილი, სადაც ყოველ 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღე აღინიშნება, ვაკის პარკში მდებარე უცნობი ჯარისკაცის საფლავი და მემორიალია, რომელსაც დიდი სამამულო ომის ვეტერანები, ხელისუფლების წარმომადგენლები და რიგითი მოქალაქენი ყვავილებით ამკობენ.** ცხადია, ეს ტრადიცია არც წლეულს დაირღვევა, მაგრამ **საკითხავია, რა ნამუსით უნდა მივიდეს ვაკის პარკში საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რა ნამუსით უნდა დადოს გვირგვინი უცნობი ჯარისკაცის მემორიალთან და რა ნამუსით უნდა შეხედოს თვალებში დიდი სამამულო ომის ვეტერანებს?**

საქმე ის არის, რომ **პრეზიდენტ ზურაბიშვილს** ვაკის პარკში მდებარე უცნობი ჯარისკაცის მემორიალი არ მოსწონს და მის გადაკეთებას ითხოვს!

უფრო ზუსტად,

## პრეზიდენტ ზურაბიშვილს არ მოსწონს, რომ ვაკის პარკში მდებარე უცნობი ჯარისკაცის მემორიალი მხოლოდ დიდ სამამულო ომს ეძღვნება და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ასეულათასობით ქართველის



## სახიფათო პარალელები ★

## თავდადების სიმბოლოს წარმოადგენს!

**პრეზიდენტ ზურაბიშვილის სურვილია,** დიდ სამამულო ომში 700 000 ქართველის მონაწილეობა და 300 000-ზე მეტი ქართველის დაღუპვა განსაკუთრებულ მოვლენად კი არ იყოს წარმოჩენილი, არამედ გასაღდეს, როგორც ერთი სასხვათაშორისო ეპიზოდი ყველა იმ ომსა და ბრძოლას შორის, რომელიც საქართველოს თავისი ისტორიის მანძილზე გადაუხდია.

აი, ნახეთ საქართველოს პრეზიდენტის მიერ სულ ცოტა ხნის წინათ გაკეთებული განცხადება **(სტილი დაცულია. რედ.):**

> ***„ვაკის პარკში ის მემორიალი, რომელიც ეძღვნება მეორე მსოფლიო ომს, უნდა იყოს გადაკეთებული, რომ, მეორე მსოფლიო ომთან ერთად, ყველა ჩვენი ბრძოლა და ყველა ის ადამიანი, რომელიც იბრძოდა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის, იყვნენ გაერთიანებული. ჩვენ თუ გვიჭირს გაერთიანება ცოცხლად, შეიძლება, მემორიალში გაერთიანებული ვიყოთ და ესეც იქნება ძალიან დიდი ნიშანი. უფრო ღირსეულიც იქნება, როცა ან უცხოელ სტუმრებს მივიყვანთ და ავუხსნით, რა არის საქართველოს ისტორია, ან ჩვენ მოწაფეებს რომ მივიყვანთ და ასევე გავაგებინებთ, რა იყო ეს ღირსეული ფურცლები ჩვენი ისტორიისა“.***

გონიერი მკითხველი, ცხადია, შესანიშნავად ხვდება, რა ქვეტექსტი დევს საქართველოს პრეზიდენტის ამ განცხადებაში და საითკენ უბერავს მის ბაგეთაგან დაქროლილი სიტყვების ქარი... **ზურაბიშვილი ვერ ბედავს, ცალსახად და არაორაზროვნად მოითხოვოს დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი მემორიალის მოშლა, 9 მაისს გამარჯვების დღის აღნიშვნის გაუქმება და დიდ სამამულო ომში ქართველთა გმირული ეპოპეის მიჩუმათება! მან კარგად იცის, რომ ამის პირდაპირ თქმით ქართველი ხალხის საშინელ რისხვას დაიტეხს თავზე, ამიტომაც შემოვლითი გზებით, შეფარულად და ეშმაკურად ახმიანებს თავის გულის წადილს!**

პირდაპირ და გადაჭრით რომ ვთქვათ, **სალომე ზურაბიშვილის განცხადება — ვაკის პარკში მეორე მსოფლიო ომისადმი მიძღვნილი მემორიალი უნდა გადაკეთდესო** — პოლიტიკური და მორალური თვალსაზრისით, არანაკლებ დანაშაულებრივი და შემაძრწუნებელია, ვიდრე სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი ქმედება — **დიდი სამამულო ომის გმირებისადმი მიძღვნილი „დიდების მემორიალის“ აფეთქება!**

2009 წელს ქუთაისში **მერაბ ბერძენიშვილის** ბრწყინვალე ნამუშევრის — **„დიდების მემორიალის“** აფეთქებით, რასაც ქუჩაში გამვლელი დედა-შვილის — 42 წლის **ეკატერინე ცუცხვაშვილისა** და 11 წლის **ნინო ჯინჭარაძის** სიცოცხლე ემსხვერპლა, სააკაშვილის რეჟიმმა ფაშიზმთან ბრძოლაში დაცემული 300 000-ზე მეტი ქართველი გმირის ხსოვნა ააფეთქა, ხოლო დიდი სამამულო ომიდან დაბრუნებულ 400 000-მდე ქართველს, მათ ოჯახებსა და შთამომავლობას სულში ჩააფურთხა!

ჰოდა, **იმას, რაც 14 წლის წინათ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ფიზიკურად ჩაიდინა, პრეზიდენტი ზურაბიშვილი ახლა სიტყვიერად, პოლიტიკურად და იდეოლოგიურად აკეთებს — მოსასპობად და წასაშლელად იმეტებს საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს ეპიზოდს,**


*გაგრძელება მე-2 გვერდზე*




სააკაშვილის რეჟიმის მიერ აფეთქებული „დიდების მემორიალი“ ქუთაისში. 2009 წელი

# პრეზიდენტ სააკაშვილს რომ არ დაესწრო, ქუთაისში „დიდების მემორიალს“ პრეზიდენტი ზურაბიშვილი ააფეთქებდა!



პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ვაკის პარკში, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან. 2020 წლის 9 მაისი

სახიფათო პარალელები

# პრეზიდენტი ზურაბიშვილი უცნობი ჯარისკაცის მემორიალს ემგერა!

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

**რომელიც თითქმის მილიონამდე ქართველის თავგანწირვითა და სისხლით არის დაწერილი!**

ვაკის პარკში მდებარე უცნობი ჯარისკაცის საფლავი და მემორიალი ძვირფასი და პატივმისაგებია თითოეული ქართველისათვის, ვისაც ეამაყება, რომ მისმა მამამ თუ დედამ, ძმამ თუ დამ, ბაბუამ თუ ბებიამ, ბიძამ თუ ბიძაშვილმა, ნათესავმა თუ მეზობელმა ან, უბრალოდ, თანამემამულემ ფაშიზმის დამარცხებაში საკუთარი წვლილი შეიტანა!

გარდა ამისა, **საქართველოში ათასობით ოჯახია, რომლის წარმომადგენელიც დიდ სამამულო ომში დაკარგულად ითვლება და შთამომავლობამ მათი საფლავებიც არ იცის... ასეთი ადამიანებისათვის ვაკის პარკში არსებული მემორიალი განსაკუთრებულად სიმბოლურ და ემოციურ დატვირთვას ატარებს, რადგან ბევრი მათგანი უცნობ ჯარისკაცში საკუთარ წინაპარს გულისხმობს და, ვინ იცის, გულ-გონებაში იოსებ ნონეშვილის ცნობილი ლექსის რეფრენიც უტრიალებს — „ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი!“**

ყოველივე აქედან გამომდინარე,

**პრეზიდენტ ზურაბიშვილის განცხადება – ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის მემორიალი უნდა გადაკეთდეს, რათა მხოლოდ დიდ სამამულო ომთან არ იყოს დაკავშირებულიო – არამარტო ისტორიის გადაწერის მცდელობაა, არამედ პოლიტიკური და იდეოლოგიური**

**ვანდალიზმი გახლავთ – დიდად არაფრით განსხვავებული სააკაშვილის რეჟიმის მიერ 2009 წელს ქუთაისში ჩადენილი ნამდვილი ვანდალიზმისაგან!**

ამის გამგონე და შემხედვარე კაცს, შესაძლოა, გონების რომელიღაც კუნჭულში არც მთლად უსაგნო ფიქრმაც გაგიელვოს — **პრეზიდენტ სააკაშვილს რომ არ დაესწრო, ქუთაისში „დიდების მემორიალს“ პრეზიდენტი ზურაბიშვილი ააფეთქებდა!**

მადლობა ღმერთსა და საქართველოს კონსტიტუციას, რომ დღეს პრეზიდენტის ინსტიტუტის ძალაუფლება უწინდელივით განუზომელი არ არის, თორემ **ძალა და რესურსი რომ ჰქონდეს, სალომე ზურაბიშვილი ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის მემორიალს ისე მოექცეოდა, როგორც სააკაშვილი მოექცა ქუთაისში „დიდების მემორიალს“!**

მოცემულ ვითარებაში, როცა **სალომე ზურაბიშვილი** სააკაშვილის ნაცბანდასთან პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და სულიერ სიახლოვეს სულ უფრო მკვეთრად ამჟღავნებს, ამგვარი ვარაუდი სრულებით ლეგიტიმურია!

*ჯაბა ხუბუა*

**ძალა და რესურსი რომ ჰქონდეს, სალომე ზურაბიშვილი ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის მემორიალს ისე მოექცეოდა, როგორც სააკაშვილი მოექცა ქუთაისში „დიდების მემორიალს!“**



სააკაშვილის რეჟიმის მიერ „დიდების მემორიალის“ აფეთქებისას დაღუპული დედა-შვილი – ეკატერინე ცუცხაშვილი და ნინო ჯინჭარაძე



# ბელადი და

*2023 წლის 9 მაისს 78 წელი შესრულდა იმ დიადი და ძლევამოსილი გამარჯვებიდან, რომელიც საბჭოთა ხალხმა სტალინის ხელმძღვანელობით იზეიმა! 1945 წლის 30 აპრილს ადოლფ ჰიტლერმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა და კაცობრიობის ყვითელი ჭირი — ფაშიზმი თავისსავე ბუნაგში მოიხრჩო... იმავე დღეს, 30 აპრილს, 21:50 საათზე, საბჭოთა არმიის ქართველმა სერჟანტმა, სამეგრელოში დაბადებულმა და აფხაზეთში გაზრდილმა მელიტონ ვარლამის ძე ქანთარიამ რუს მიხეილ ეგოროვთან ერთად ბერლინის კენწეროზე გამარჯვების წითელი დროშა აღმართა.*



გადმოცემის თანახმად, რაიხსტაგზე ასაფრიალებლად წინასწარ **ცხრა დროშა** შეარჩიეს და კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე რთული და საპატიო მისიის შესასრულებლად **ცხრა ჯგუფი** გაგზავნეს. გერმანელი სნაიპერები პირდაპირ ნადირობდნენ იმ საბჭოთა ჯარისკაცებზე, რომლებსაც ხელში წითელი ნაჭერი ეჭირათ. **ცნობილია, რომ, სულ მცირე, ხუთი ერიშვილი მაინც იჩემებს რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის პირველად აღმართვას, მაგრამ საისტორიო ბედისწერამ და დიდი სტალინის ნებამ ასე გადაწყვიტა — ნანგრევებად ქცეული გერმანიის თავზე წითელი ბაირაღი პირველებს სწორედ ქართველ მელიტონ ქანთარიასა და რუს მიხეილ ეგოროვს უნდა აეფრიალებინათ!**

**ეს გახლდათ სტალინის ერთგვარი პოლიტიკური დეკლარაცია და ნართაული მინიშნება ქართველი ერისადმი, რომელიც ასე ჟღერდა – „თუ საქართველოს გმირული ისტორიის დაწერა კვლავ სურს, მაშინ ეს ისტორია რუსეთთან ერთად დაიწერება!“**

**მელიტონ ქანთარიას** მიერ რაიხსტაგზე დროშის აღმართვით სტალინმა იმ სამყაყეთსა და **სერგო ორჯონიკიძის პირად მონებსაც** უპასუხა, რომლებმაც 1921 წლის ივნისში თბილისში, ნაძალადევის კლუბში, გამოსვლისას ახალგაზრდა ბელადს დაუსტვინეს და **ყორღანაშვილი** უწოდეს. საქართველოს ტრაგედია იყო ის, რომ სტალინს **მოღალატეს** უწოდებდნენ **„შულავერის მთავრობის“** წევრები, რომლებმაც საქართველოს დაქცევაში ლომის წილი შეიტანეს!

ტყუილია და ცრუზღაპარი იმის მტკიცება, თითქოს **ქართველი მედროშე მელიტონ ქანთარია რუს მიხეილ ეგოროვთან** ერთად ბერლინის კენწეროზე სტალინის ნების გარეშე აღმოჩნდა. როგორც წესი, ბელადი უმცირეს დეტალებსაც კი ყურადღებით სწავლობდა და მის სახელმწიფოში შემთხვევით არაფერი ხდებოდა. ასე, მაგალითად, **ცნობილია, რომ ბერლინისკენ შტურმით მიმავალი უნიჭიერესი, უმამაცესი და ულამაზესი მარშალი კონსტანტინე როკოსოვსკიც კი, რომელიც ბელადს გამორჩეულად უყვარდა, სტალინმა განგებ შეაჩერა და ყველაფერი ისე მოაწყო, რომ ფაშისტების ბუნაგში პირველი რუსი გიორგი ჟუკოვი შეჭრილიყო.** არადა, პოლონელი როკოსოვსკის არმია ჟუკოვისას რამდენიმე დღით უსწრებდა და ბერლინშიც პირველი შევიდოდა!

სტალინმა რუსი ერი განადიდა, **რუსი გიორგი ჟუკოვი, რომელიც სინამდვილეში მაროდიორი და ქურდი აღმოჩნდა,** კონსტანტინე როკოსოვსკიზე წინ დააყენა და მიხეილ ეგოროვთან ერთად **ყველა დროის ყველაზე დიადი გამარჯვების დროშა** იმ მელიტონ ქანთარიას აღამართვინა, რომლის საქართველოსაც **1770 წლის 20 აპრილის ასპინძის ბრძოლის შემდეგ** გამარჯვება არ





**ნიკიტა ხრუშჩოვმა სტალინი მავზოლეუმიდან მოთხარა, ხოლო სააკაშვილმა – გორიდან!**

# მისი ქართველი მედროშე

უზეიმია.

გამოხდა ხანი და რუსმა ხალხმა სტალინს სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ **1956 წლის 25 თებერვალს** საბჭოთა კავშირის **კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობაზე ნიკიტა ხრუშჩოვმა** ოთხსაათიან მოხსენებაში ბელადი **„მკვლელად“, „უწიგნურად“, „უვიცად“ და „ქვეყნის ინკვიზიტორად“** გამოაცხადა, რომლის კულტმაც, თურმე, ყველა და ყველაფერი მოიცვა.

მთელი ოთხი საათის განმავლობაში სტალინის მიერ აღზრდილი მარშლები, გენერლები, პრეზიდიუმის წევრები და ცეკას მდივნები უსმენდნენ ამ საშინელ ცილისწამებას და ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ — ვერც ბელადის უერთგულესი მეგობარი მარშალი **კლიმენტი ვოროშილოვი,** ვერც **მოლოტოვი,** ვერც **ბულგანინი,** ვერც **მალენკოვი** და ვერც **მიქოიანი...** სხვათაშორის, **1964 წლის 14 ოქტომბერს,** როცა ხრუშჩოვი დაამხეს და **ბრეჟნევმა ნიკიტა სერგეევიჩს** იმ გახმაურებულ სხდომაზე პოლიტიკური საბრალდებო დასკვნა წაუკითხა, ხრუშჩოვმა ერთი შეკითხვა დასვა, რომელსაც ვერავინ უპასუხა — **„თუ ქვეყანას მართლა ვანგრევდი და მთელი თერთმეტი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირი ცუდი გზით მიმყავდა, რატომ ერთხელ მაინც არ შემეწინააღმდეგეთ და შეცდომებზე არ მიმითითეთ?“**

მოკლედ, სტალინის სახელის ხსენება აკრძალეს, მის პორტრეტებს დავიწყების სუდარა გადააფარეს და მხატვრული ფილმებიდანაც ამოჭრეს. კიდევ უფრო უარესი დღე დააყარეს **ლავრენტი ბერიას,** რომლის სახსენებელი **„დიდი საბჭოთა ენციკლოპედიიდანაც“** კი ამოჩიჩქნეს, ამოხიეს და მთელ ტირაჟში მოსახლეობას ახალი ფურცლები ჩააწებებინეს.

გადასადგმელი დარჩა ბოლო და გამანადგურებელი ნაბიჯი — მავზოლეუმიდან სტალინის ნეშტის გამოტანა, რის შემდეგაც, ნიკიტა ხრუშჩოვისა და მისი სულიერი ძმების აზრით, სტალინის სახსენებელი, როგორც ქვეყნის ისტორიიდან, ისე ხალხის გულიდან სამუდამოდ ამოიძირკვებოდა!

ამ მიზნით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 22-ე ყრილობაზე, რომელიც კრემლის ყრილობათა სასახლეში ჩატარებული პირველი ყრილობა გახლდათ და 1961 წლის 17 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრამდე გრძელდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ დღის წესრიგში სულ სხვა საკითხები იდგა, 30 ოქტომბერს, **სულაძაღლებული ნიკიტა ხრუშჩოვის გამოსვლის შემდეგ** სიტყვა ითხოვა მაშინდელი ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანმა **ივანე სპირიდონოვმა,** რომელმაც განაცხადა — **მავზოლეუმიდან სტალინის ცხედარი გამოვიტანოთო!** ამ ყველაფერს წინ უსწრებდა ძველი ბოლშევიკის, 77 წლის **დორა აბრამის ასული ლაზურკინას** განცხადება, რომელმაც ყრილობის 4394 დელეგატი შოკში ჩააგდო, როცა ტრიბუნასთან მილასლასდა და განაცხადა — **წუხელ ძვირფასი ლენინი გამომეცხადა და მითხრა, სტალინის გვერდით თავს ცუდად ვგრძნობ და მავზოლეუმიდან გაიტანეთო!**

გამოშტერებულ-გამოჩერჩეტებული **დორა ლაზურკინას** შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ **ივანე სპირიდონოვის** გამოსვლა ხრუშჩოვთან





**მელიტონ ქანთარიას ორი ასაკი**

## სტალინი მავზოლეუმიდან მოთხარეს, ხოლო მელიტონ ქანთარიას აფხაზეთი მოუთხარეს!



**მელიტონ ქანთარიამ და მიხეილ ეგოროვმა რაიხსტაგის თავზე გამარჯვების დროშა აღმართეს. 1945 წლის 9 მაისი**

შეთანხმებული და წინასწარ დაგეგმილი იყო. ეს მაშინვე გამოჩნდა, რადგან ნიკიტა ხრუშჩოვმა სპირიდონოვის **„მოულოდნელი“ ინიციატივა** მაშინვე ყრილობაზე გამოიტანა და საკითხს კენჭი უყარა. **ცხადია, ყრილობამ მაშინვე მიიღო „ერთსულოვანი“ გადაწყვეტილება მავზოლეუმიდან სტალინის ცხედრის გამოსვენების შესახებ.** მართალია, გულის სიღრმეში ბევრი ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებოდა, მაგრამ ხრუშჩოვის ნება მტკიცე აღმოჩნდა. პროტესტანტთა შორის იყო **საქართველოს ცეკას პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძეც,** რომელმაც სტალინის მავზოლეუმიდან გამოყვანასა და დაკრძალავას რომ არ დასწრებოდა და ყრილობაზე სიტყვა არ ეთქვა, ყინული შეჭამა და ანგინა დაიმართა. არადა, **ნიკიტა ხრუშჩოვმა ქართველებს სწორედ სულში ჩაგვაფურთხა, როცა სტალინის დამკრძალავი ხუთკაციანი კომისიის წევრებად ვასილ მჟავანაძე და მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე** ბივი ჯავახიშვილი **დაადგინა.**

2000 წელს გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტის“ ინტერვიუ მისცა საბჭოთა „კაგებეს“ გენერალმა **ნიკიტა ზახაროვმა,** რომელმაც მავზოლეუმიდან სტალინის გადასვენების პერიპეტიები დეტალურად გაიხსენა. ზახაროვს, რომელმაც ას წლამდე იცოცხლა და ხრუშჩოვის მიერ სტალინის გადასვენებაზე მეთვალყურეობა ჰქონდა დავალებული, არ დავიწყებია, ეთქვა, რომ პარტიის 22-ე ყრილობაზე მავზოლეუმიდან სტალინის გამოსვენება **ნიკიტა ხრუშჩოვთან** იყო შეთანხმებული, რომელმაც გენერალი დაიბარა და უთხრა — **„გთხოვთ, მხედველობაში იქონიოთ, რომ დღეს, სავარაუდოდ, სტალინის გამოსვენების საკითხი გადაწყდება. მავზოლეუმის მეთაურმა იცის, საფლავი სად უნდა გაითხაროს“.** მოსკოვის კრემლის კომენდანტმა, გენერალმა **ვედენინმა** მიიღო ბრძანება, დაუყოვნებლივ დაეწყოთ სტალინის დაკრძალვის პროცესის მზადება. როგორც ცალკეული პოლკის მეთაური **ფიოდორ კონევი** იგონებს, თავიდან იგეგმებოდა სტალინის დაკრძალვა **ნოვოდევიჩის სასაფლაოზე,** ცოლის გვერდით, მაგრამ ხელისუფლება შეშინდა, რომ ბელადს მისი თაყვანისმცემლები ამოთხრიდნენ, რასაც მღელვარება მოჰყვებოდა. ამიტომ გადაწყდა მისი დაკრძალვა კრემლის კედელთან.

1961 წლის 31 ოქტომბერს ყველაფერი ისე მოაწყვეს, ვითომ საშვიდნოემბროდ წითელ მოედანზე რაღაცას ამზადებდნენ... იქ, სადაც დღეს სტალინის საფლავია, ხის ღობე შემოავლეს, ექვსი ჯარისკაცი მოიყვანეს და 14:00 საათზე საფლავის გათხრა დაიწყეს. 17:00 საათზე სტალინის საფლავი უკვე გათხრილი იყო, მისი სიღრმე 2 მეტრს აღწევდა. საფლავის ფსკერსა და გვერდებზე რკინაბეტონის ფილები დაამაგრეს...

**საღამოს ოფიცრები ლენინისა და სტალინის მავზოლეუმში შევიდნენ და სტალინის სარკოფაგს მინა ფრთხილად ააძვრეს. ბელადს, მიუხედავად იმისა, რომ რვა წლის გარდაცვლილი იყო და საგანგებოდ ინახავდნენ, ბავშვობაში გადატანილი ყვავილის კვალი სახეზე მაინც ემჩნეოდა. ოთ-**

**დიადი გამარჯვება 78 წლისაა!**

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ბელადი და მისი ქართველი მედროშე






**დიადი გამარჯვება 78 წლისაა!**

**ამ ყველაფერს წინ უსწრებდა ძველი ბოლშევიკის, 77 წლის დორა აბრამის ასული კლებანოვას განცხადება, რომელმაც ყრილობის 4394 დელეგატი შოკში ჩააგდო, როცა ტრიბუნასთან მილასლასდა და განაცხადა — წუხელ ძვირფასი ლენინი გამომეცხადა და მითხრა, სტალინის გვერდით თავს ცუდად ვგრძნობ და მავზოლეუმიდან გაიტანეთო!**

*დასაწყისი მე–2 გვერდზე*

**ხმა სამხედრომ სტალინი ფრთხილად ჩაასვენა იაფფასიან, მაგრამ მყარი მერქნისგან დამზადებულ კუბოში, რომელსაც წითელი ნაჭერი ჰქონდა გადაკრული. ნიკოლაი შვერნიკმა, რომელიც პარტიული კონტროლის თავმჯდომარე და დამკრძალავი კომისიის შეფი იყო, სტალინს ოქროს სამხრეები, ოქროს ღილები და სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი თავისი ხელით მოხსნა და აჭრა. ბელადის მუნდირს სპილენძის ღილები დაამაგრეს და დაახლოებით 22:00 საათზე კუბოს თავი დაახურეს.** აი, აქ მოხდა ინციდენტი — ჯარისკაცებს კუბოს თავის დასაჭედებლად ჩაქუჩი და ლურსმნები არ აღმოაჩნდათ, ამიტომ სანამ საჭირო ნივთებს მოიტანდნენ, 22:30 საათიც გახდა.

1961 წლის 31 ოქტომბერს, 22:30 საათიდან 23:00 საათამდე, რვა ოფიცერმა სტალინის კუბო თოკების დახმარებით საფლავში ჩაუშვა. **დაახლოებით ოცკაციანმა პროცესიამ, რომელშიც სტალინის ოჯახის წევრები და უახლოესი მეგობრები შედიოდნენ, კუბოს მიწა მიაყარეს. ზოგი ამას ხელით აკეთებდა, ზოგი — ნიჩბით...**

დააახლოებით 01:00 საათზე ჯარისკაცებმა სტალინის საფლავზე თეთრი ფილა დადეს შესაბამისი წარწერით, ხოლო 02:00 საათიდან 06:00 საათამდე მავზოლეუმის ფასადიდან წარწერა „სტალინი" გააქრეს...

**მავზოლეუმის უკან, პატარა ოთახში, სახელდახელო სუფრა იყო გაშლილი კონიაკით, არყითა და ყელეთი... ნიკოლაი შვერნიკი და ბივი ჯავახიშვილი ქვითინებდნენ და სტალინის მოსაგონარს ისე სვამდნენ, ხოლო ბევრი პროტესტის ნიშნად სუფრას არც გაეკარა და მავზოლეუმის ტერიტორიიდან გველნაკბენივით წავიდა.**

1961 წლის 1 ნოემბერს ხალხს მავზოლეუმში სტალინი აღარ დახვდა!

**ნამდვილი გმირი და ტრიუმფატორი გაძარცული დამარხეს და რუსმა ერმა ყალბ გმირებსა და ჯამბაზებს მოუდრიკა ქედი!**

მოკლედ, 1961 წლის 31 ოქტომბერს **ნიკიტა ხრუშჩოვმა** თავისი პოლიტიკური განზრახვა ბოლომდე აისრულა და სტალინი მავზოლეუმიდან გაიტანა!

**გაივლის, სულ რაღაც, 32 წელი და კრემლში მოკალათებული ნიკიტა ხრუშჩოვის იდეური შვილები აფხაზეთიდან მოთხრიან დიდი სტალინის ქართველ მედროშეს მელიტონ ქანთარიას, რომელსაც ოჩამჩირეში სახლს გადაუბუგავენ და დევნილად აქცევენ!**

სტალინის ქართველი მედროშე **მელიტონ ქანთარია,** რომელმაც რუს **მიხეილ ეგოროვთან** ერთად რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა აღმართა, 1993 წლის 26 დეკემბერს მოსკოვში, დევნილობაში აღესრულა.

1994 წლის 5 იანვარს, მაშინ, როცა საქართველოს პირველი პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია** ედუარდ შევარდნაძის ქორ-მეძებრებს მოკლული ჰყავდათ, მაგრამ ამ ამბავს ჯერ კიდევ ასაიდუმლოებდნენ, **მელიტონ ქანთარია** საქართველოში ჩამოასვენეს და დაბა ჯვარში, მესამე საშუალო სკოლის ეზოში, გამარჯვებული ჯარისკაცის გვერდით დაკრძალეს!

**ნიკიტა ხრუშჩოვმა სტალინი მავზოლეუმიდან მოთხარა, ხოლო სააკაშვილმა — გორიდან! თუმცა, დიდი ბელადის ხალხის გულიდან ამოთხრა ვერავინ შეძლო და ვერც შეძლებს!**

ორივემ ეს დანაშაული ღამით ჩაიდინა... ერთმა 1961 წლის 31 ოქტომბერს, ხოლო მეორემ — 2010 წლის 25 ივნისს!

**ისტორიამ ერთიც და მეორეც პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლა, ხოლო სტალინი და მისი ქართველი მედროშე გმირი შარავანდედით შემოსა იმის იმედად და საისტორიო მაგალითად, რომ დიდ ომებსა და საერთაშორისო ქარტეხილებში, რომელიც მსოფლიოს აუცილებლად ემუქრება, ქართულმა გენმა იქნებ კვლავ გაიბრწყინოს და დიდი სტალინისა და მისი ქართველი მედროშის მსგავსად, გამარჯვების დროშა ისევააფრიალოს!**

***დიტო ჩუბინიძე***



დორა კლებანოვა






***რუსეთის ხელისუფლებამ ვოლოდიმირ ზელენსკის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა:***

*„ზელენსკისა და მისი ხროვის ფიზიკური განადგურების გარდა, სხვა ვარიანტი აღარ დარჩა. ის უპირობო კაპიტულაციის აქტზე ხელმოწერისთვისაც აღარ გვჭირდება!" —*

***განაცხადა რუსეთის უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი მედვედევმა. მუქარით შეშფოთებულმა ზელენსკიმ, რომელიც ფინეთში იმყოფება, სამშობლოში დაბრუნება იმ იმედით გადადო, რომ მისი პატრონები რუსეთის ვერტიკალს, როგორღაც დააშოშმინებენ, მაგრამ ამჯერად ეს ადვილი აღარ იქნება, რადგან უკრაინის ვაი-პრეზიდენტი უკვე რუსული რაკეტების სამიზნედ იქცა! რა ქმედებები მოყვება მედვედევის განცხადებას? ამ თემაზე ბატალიონ „დონბასის" ყოფილ მებრძოლს, საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლს, ვიცე-პოლკოვნიკ დავით მარტიაშვილს დავუკავშირდით, თუმცა, საუბარი დაწყებულიც არ გვქონდა, რომ ტელეფონში სირენების ხმა გაისმა:***

— ომი ევროპაში ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, არაფერია გამორიცხული და, თავდაცვის უზრუნველყოფის მიზნით, უკვე სამზადისი მიმდინარეობს. ავსტრიის იმ მხარეში, სადაც ამჟამად ვცხოვრობ, კვირაში ორჯერ მაინც სასწავლო განგაში ცხადდება, სირენები ირთვება, უსაფრთხოების სისტემებს ამოწმებენ, ხალხს აჩვევენ, უთითებენ, ქალაქის დაბომბვის შემთხვევაში ვინ რომელ ბუნკერში უნდა ჩავიდეს... **ვიცი, ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ ბევრი ასისინდება — მარტიაშვილი მოღალატეა, შვილი რუსებთან ომში დაეღუპა და მაინც მათ სასარგებლოდ მსჯელობსო.** უკრაინის მთლიანობისთვის ომში თავადაც ბევრი სისხლი დავღვარე, მაგრამ ჩემთვის ჯერ საქართველოს ინტერესებია მთავარი და მერე სხვა დანარჩენი! ამიტომ საუბრის დასაწყისშივე უნდა გითხრათ —

## შევაკვდები სამშობლოს დაცვას, თუმცა, ამერიკის სასარგებლოდ ომში მონაწილეობას ნამდვილად არ ვაპირებ!

**— ნუთუ, მცირე ალბათობა მაინც არსებობს, რომ ომის ქარცეცხლმა ევროპაც მოიცვას?**

— ბახმუტის დაცემის შემთხვევაში, რაც, ჩემი აზრით, ძალიან მალე მოხდება, რუსეთისთვის ოპერატიული სივრცე პირდაპირ პოლონეთის მიმართულებით იხსნება. ეს უკვე ფრონტის ხაზის ევროპისკენ გადაწევას ნიშნავს. ზელენსკისთვის ამ ეტაპზე ბახმუტის შენარჩუნებას, რასაც ყოველდღიურად უამრავი ადამიანის სიცოცხლე ეწირება, მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ გზით ახერხებს საკუთარი პასუხისმგებლობის დროში გაწელვას, რადგან თუნდაც რუსების სარაკეტო დარტყმებს ცოცხალი გადაურჩეს. ბახმუტის შენარჩუნება უკრაინას ნამდვილად არ უღირს ამხელა მსხვერპლად, მაგრამ ზელენსკიმ კარგად იცის — დასავლელი პარტნიორებისთვის ის მხოლოდ მათი ზრახვების განმახორციელებელი ინსტრუმენტია და, როგორც კი ფეხი დაუცდება, ყველა მას შეაწმენდს ხელს.

**— მიჭირს დაჯერება, რომ კრემლის ტერიტორიაზე დრონებით იერიში უკრაინის ინტერესებში შედიოდა. განა, რას მოიგებდა ამ აფეთქებით ზელენსკი?**

— 2014 წლის 24 აგვისტოს, როდესაც უკრაინა დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავდა, რუსებმა ქალაქ ილოვაისკთან ალყაში მოგვაქციეს. სისხლისმღვრელ ბრძოლაში მეც ვმონაწილეობდი... აქედან მოყოლებული, რუსეთს და უკრაინას ტრადიციად ექცათ ერთმანეთისთვის დღესასწაულების ჩამწარება და ყველა ელოდა, საცხრამაისო სიურპრიზს, თუმცა, კრემლზე თავდასხმით ნამდვილად მეტისმეტი მოუვიდათ. დღეს რუსეთი

**ვეტერანის თვალით**

## დავით მარტიაშვილი:

# კრემლზე დრონებით თავდასხმისათვის პუტინი ზელენსკის მიაკაჩინსკებს!

ბახმუტთან შეტევას აგრძელებს, მაგრამ ძირითადი ძალები ზაპოროჟიეში, ხერსონსა და ყირიმში თავდაცვით პოზიციებზე ჰყავს გამაგრებული. ზელენსკი კონტრშეტევაზე გადასვლას აპირებს, რადგან უკან დასახევი გზა არ დარჩა, თანაც, თვითონ ვერაფერს წყვეტს და მხოლოდ იმ გეგმას ასრულებს, რასაც დასავლელი პატრონები უსახავენ. **ეს ჯამბაზი იმიტომაც დასვეს პრეზიდენტის სკამზე, რათა ბოლოს ყველაფერი მას დაბრალდეს.**

**— საკვირველია, აქამდე რად არ სცადა მოსკოვმა ზელენსკის ლიკვიდაცია?**

— რუსეთს უამრავი საშუალება გააჩნია, რათა გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანოს. შეგახსენებთ, 1996 წლის 21 აპრილს, სოფელ გეხი-ჩუს მახლობლად როგორ გაანადგურეს ჩეჩნეთის პრეზიდენტი **ჯოხარ დუდაევი,** როცა ულტრათანამედროვე აპარატურის მეშვეობით მიზანში ამოიღეს პრეზიდენტის სატელიტური ტელეფონი და ზეზუსტი გასროლაც განახორციელეს. იმას, რომ ზელენსკი აქამდე ცოცხალია, ერთადერთი ახსნა აქვს — **რუსეთს აწყობს, რომ სწორედ ასეთი მასხარა მართავდეს უკრაინას!** არსებობს კიდევ საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი გარემოება: მიმდინარე წლის თებერვალში ისრაელის ყოფილმა პრემიერმა **ნაფტალი ბენეტმა** პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში თითქოს შემთხვევით გაიხსენა ეპიზოდი, როცა უკრაინის ომი ახალი დაწყებული იყო და ლიკვიდაციის შიშით ზელენსკი ბუნკერში იმალებოდა. მაშინ ისრაელის პრემიერი ამერიკასთან და ინგლისთან შეთანხმებით გაფრინდა მოსკოვში და პუტინს გამოსთხოვა გარანტია, რომ ზელენსკის ლიკვიდაციას არ დაუშვებდა. ბენეტი იხსენებს, რომ გამომგზავრებისას ზელენსკის დაურეკა და ამ გარანტიის შესახებ აცნობა, ხოლო მხარდაჭერით გულმოცემული პრეზიდენტი ბუნკერიდან თავის კაბინეტში ავიდა და გმირის როლმორგებულმა ბაქიაობა დაიწყო, რომ საფრთხის მიუხედავად, სიკვდილის არ ეშინია და თავის ადგილზე რჩება. ბენეტმა აღნიშნა, რომ იმ დღეს ორივემ (პუტინმა და ზელენსკიმ) ბევრი რამ დათმეს. ჟურნალისტის კითხვაზე — პუტინი გასაგებია, მაგრამ ზელენსკიმ რაღა დათმო? — პუტინმა ზელენსკისგან წერილობითი პირობა მოითხოვა, რომ უკრაინა შეწყვეტდა ნატოში გაწევრიანებისაკენ სწრაფვას — უპასუხა ბენეტმა. შეიძლება, ამის გამოც აწყობდა პუტინს უკრაინის ლიდერად ზელენსკის დატოვება — რუსეთმა ხომ ომი სწორედ იმიტომ წამოიწყო, რომ ნატო თავისი საზღვრების სიახლოვეს არ მოეშვა! არადა, ზელენსკიმ სიცოცხლის შენარჩუნებისთვის პუტინს მადლობა იმით გადაუხადა, რომ კამიკაძე დრონები გაუგზავნა, მაგრამ ოპერაცია წარუმატებლად დასრულდა და **ახლა ზელენსკის ძალიან ეშინია, პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტის ხვედრი არ გაიზიაროს,** რომელიც 2010 წლის 10 აპრილს სმოლენსკთან მომხდარ ავიაკატასტროფაში დაიღუპა.





ლეხ კაჩინსკი, ვოლოდიმირ ზელენსკი

მართალია, დღემდე ვერავინ შეძლო რუსეთის ოფიციალურად დადანაშაულება, თუმცა, დასავლეთში დღემდე დომინირებს მოსაზრება, რომ ავიაკატასტროფა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იყო მოწყობილი. ერთი სიტყვით, **ფინეთში მყოფი უკრაინის მთავარსარდალი, რომლის ქვეყანაშიც ომი მძვინვარებს, ახლა სამშობლოში დაბრუნებას ვერ ბედავს იმის შიშით, რომ კრემლზე დრონებით მოწყობილი ტერაქტის გამო პუტინი მას მიაკაჩინსკებს.**

**— მაინც, რა მიზანი ჰქონდათ, როცა კრემლში კამიკაძე დრონები გაგზავნეს?**

— მოსკოვი სამხედრო თვალსაზრისით, კარგად დაცული ქალაქია. დრონებმა კრემლის გალავანს რომ გადაუფრინეს, ეს ფაქტი ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ ზელენსკის ხროვამ რუსეთის უმაღლესი რანგის სამხედროებშიც მოიძია გამცემი, რომელიც ტერორისტებს დაეხმარა. კრემლის დაბომბვა ომის ბედს, რა თქმა უნდა, ვერ გადაწყვეტდა, მაგრამ მორალურად დააკნინებდა რუსების საბრძოლო სულისკვეთებას.

**— მახსენდება 1987 წლის 28 მაისი, როდესაც 18 წლის გერმანელმა მათიას რუსტმა მოახერხა პატარა, „ჩესნას“ ტიპის თვითმფრინავით საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცის დარღვევა და წითელ მოედანზე დაჯდომა...**

— რუსეთმა იმხანად, უბრალოდ, ვერ გაბედა მისი ჩამოგდება და პოლიტიკურ მარცხზე წავიდა. შეგახსენებთ, რომ საბჭოთა კავშირის ნგრევაში თვით პოლიტბიუროს წევრები და სსრკ-ის პრეზიდენტი გორბაჩოვიც მონაწილეობდნენ, რომლებიც დასავლეთის აგენტურას წარმოადგენდნენ. წითელ მოედანზე უცხოელი ყმაწვილის შეღწევას ჰქონდა უზარმაზარი მორალური მნიშვნელობა და იმაზე მიანიშნებდა, რომ საბჭოთა სამხედრო სისტემის მოშლის კვალდაკვალ იმპერიის აღსასრულამდე 2 ნაბიჯიღა რჩებოდა. ალბათ, 9 მაისის დღესასწაულის წინ კამიკაძე დრონების კრემლში შეღწევაც ამავე მიზანს ისახავდა, მაგრამ რუსეთი ის მომაკვდავი იმპერია აღარ არის, რომელიც1987 წელს იყო. არც ელცინის რუსეთია, რომელიც ამერიკის ვასალად იქცა. **კრემლს ძალზე მძაფრი რეაქცია ექნება ამ თავხედური თავდასხმის გამო. ძალიან მეცოდება უკრაინელი ერი, რადგან ზელენსკიმ, ფაქტობრივად, ნაცია გაანადგურა.**





**— როგორ ფიქრობთ, რა მოჰყვება მედვედევის განცხადებას, რომ „რუსეთს ზელენსკი უპირობო კაპიტულაციის აქტზე ხელმოწერისთვისაც აღარ სჭირდება?“**

— არამხოლოდ ზელენსკიზე, მთლიანად მის ადმინისტრაციაზე გამოცხადდება ნადირობა. თუ აქამდე ხელშეუხებელი იყო მისი ლოკაციები, ბუნკერები, კაბინეტები, ამიერიდან მშვიდად ვეღარსად იქნება და შურისძიების ხელი ყველგან შეიძლება მიწვდეს.

**— საქართველომ რა პოზიცია უნდა დაიკავოს ამ მძიმე სიტუაციაში?**

— თუ დროულად არ მოვეგეთ გონს, ასრულდება გაეროში გამოქვეყნებული პროგნოზი, რომლის მიხედვით „მომაკვდავი ერების“ სიაში შეყვანილი ქართველი ერი 2050 წლისთვის არსებობას შეწყვეტს. ასეთ სიტუაციაში ხარაკირის ტოლფასია ყოველგვარი მცდელობა, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაერთოს და აღსასრული დაიჩქაროს!

მისასალმებელია, პრემიერმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** კონსერვატიულ ღირებულებებზე რომ აიღო სწორება, მაგრამ ვიღაცამ იმაზეც უნდა აგოს პასუხი, დასავლეთის მითითებებით, 11 წლის განმავლობაში ლიბერალების სათარეშოდ რომ იქცა განათლების სფერო და სამოქალაქო სექტორი, ხოლო ხელისუფლება კელი დეგნანის ნებას დამორჩილდა!

### გვახსოვდეს – ამერიკას ქართველები ისევე, როგორც უკრაინელები, ერთადერთი მიზნით – რუსეთთან დასაპირისპირებლად და საზარბაზნე ხორცად ვჭირდებით.

ახლახან რუსეთმა თურქეთს გადასცა ატომური ელექტროსადგურისთვის საჭირო საწვავი. **რუსეთსა და თურქეთს შორის დღითიდღე მყარდება თემატური კავშირები და ნახავთ, სულ მალე თურქეთი ნატოს ბლოკს კიდეც დატოვებს, რითიც ამ სამხედრო კონგლომერატის დაშლა დაიწყება.** ასეთ ფონზე საქართველოსთვის ერთადერთი გამოსავალი კონსერვატიული ღირებულებებისკენ შემოტრიალებაში და რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგებაში მდგომარეობს! გადარჩენის სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

### დიმიტრი მედვედევი,
*რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:*



კრემლზე განხორციელებული ტერაქტის შემდეგ აღარ დარჩა სხვა ვარიანტი, გარდა ზელენსკის **„ფიზიკური მოშორებისა“.** ის საჭირო აღარ არის უსიტყვო კაპიტულაციის აქტზე ხელის მოსაწერადაც კი. **როგორც ცნობილია, არც ჰიტლერს მოუწერია. ამისათვის ყოველთვის მოიძებნება ვიც-პრეზიდენტ ადმირალ დიონიცის ტიპის შემცვლელი!**

# სტალინი 9 მაისი 70 წლისაა!

***1953 წლის 9 მაისს პირველად აღინიშნა გამარჯვების დიადი დღესასწაული სტალინის გარეშე.** იმ დღიდან **70 წელი** გავიდა. **1953 წელს** დაიწერა **იოსებ ნონეშვილის** ეს ლექსიც, რომელიც პოეტმა თბილისში, ბელადის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამართულ მშრომელთა სამგლოვიარო მიტინგზე წარმოთქვა.*



***იოსებ ნონეშვილი***

# მამავ, ძვირფასო!..



**1**

არა გიჭირს რა, ერთი წუთით, მზეო, გაჩერდი
და დედამიწის მწუხარება გაინაწილე.
გიკვირს, ცრემლები რად გვისველებს სახეს დასევდილს?
გიკვირს, ძირს რად ვხრით დროშებს
მუდამ ცაში აწვდილებს?..

ფიქრობ, გადატყდა დიდი ღერძი დედამიწისა,
მთები გარისხდნენ, ვულკანების ცეცხლი იხმარეს?
ჯანდაბას ყველა...
ოღონდ გეტყვით,
ვერ დაგიფიცავთ —
საქმე მოგვიხდა უფრო ძნელი, უფრო მრისხანე.

შენც რომ მიწაზე დაცემული გვენახე, მზეო,
ნუ გეწყინება, ასე ძლიერ არ ვინაღვლებდით.
კვლავ აგაფრენდით შენს ადგილზე, ღრუბლების ზემოთ,
როგორც ფერად ბუშტს ააფრენენ ხოლმე ბალღები.

მაგრამ რა ვუყოთ, როცა გულის ფესვი ჩაგვიწყდა,
როცა ძარღვებში შეგვიდედდა სისხლი მჩქეფარე,
როცა ჩვენს იმედს, ჩვენს სიცოცხლეს, მამას საფიცარს
ველარ ვუშველეთ, მკერდით ველარ გადავეფარეთ.

შენ მზე ხარ დღისით, მაგრამ ღამით ველარ ანათებ,
ის კი სამშობლოს შუქსა ჰფენდა უკუნ ღამითაც.
შენ გულს ვერ სწვდები... თუმც სხივებით
ბევრჯერ გაგვათბე,
მისი ღიმილის სხივებით კი გულიც გაგვითბა.

შენ უგნურივით კეთილსა და ბოროტს ვერ არჩევ,
ყველგან ანათებ, სხივთა ბუდეს ყველგან იკეთებ.
ის კი ზარს სცემდა ბოროტებას, მკვლელებს, ვერაგებს
და უნათებდა, უნათებდა მხოლოდ სიკეთეს.

როცა ღრუბლები მოგეხვევა, მოიბურები,
დაიმალები, შემოსწყრები უცებ ქვეყანას.
მას ოთხი წელი ეხვეოდნენ ომის ღრუბლები,
შავი ღრუბლები და წარბიც კი როდი შეხარა.

... და აღარ არის, ვინც მონობას გადაგვარჩინა,
ვინც ცისფერ ტალღად დაესხურა გულებს გვალვიანს.
აი, ჩვენს დროშებს რად მოვავლეთ შავი არშია,
დროშებს კი არა, გულზეც შავი რატომ გვავლია.

**2**

ქვითინებს მტკვარი, იცრემლება ბერი მყინვარი,
მოღმუის თერგი, უფსკრულებში ებრძვის უკუნეთს
და არწივების, არწივების ხმა გამყივარი
კავკასიონის მწვერვალებზე ზათქით გუგუნებს.

ცრემლივით ბრწყინავს რიცა, მისი გადამხატველი,
ლერწამთა გრძელი წამწამები აღარ ერხევა.
ასე მწუხარედ რომ ჩაესმათ მისი სახელი,
გრიგალს ტოტები შეალეწეს გორში ვერხვებმა.

დგას გორის სახლი სევდიანი და დათალხული,
და იმ სახლის წინ მოხუცები სიკვდილს სწყევლიან.
აქ მარტში მუდამ ზეიმია და გაზაფხული,
ახლა გაზაფხულს ჩვენთან ერთად მოუწყენია.

შენს პაწია სახლს, შენს ლამაზ სახლს ძაძა აცვია.
გაზაფხულია... გაზაფხულიც მალავს ფერადებს
და გორის ციხე, თითქოს ისიც ბერიკაცია,
მწარედ ქვითინებს და ქვითინი აღწევს ჩვენამდე.

გორში მოსულან ჩინელები, მადიარები,
მდუღარე ცრემლით დაუმძიმდათ თვალთა უპენი
და გორელები, თავდახრილნი, დარდიანები
სტუმრებს ხვდებიან ისე, როგორც ჭირისუფლები.

სტუმრად მოსული პოლონელი და ალბანელი
დაფიქრებულან, დასტყობიათ სევდის იარა.
მათი სამშობლო იყო მუდამ გაუხარელი,
ამ სახლის მკვიდრმა გაახარა, ააშზიანა.

ცხარე ცრემლები სახეს უწვავს ღარიბ ინდოელს,
მის სამშობლოში ვერ შესცინეს მნათობს ქოხებმა.
დგას კორეელი, ომის ცეცხლით რომ მოინდომეს
მშვიდობის მტრებმა მისი ხალხის წამოჩოქება.

აგერ, რუს ვაჟკაცს გადახვია ხელი ქართველმა,
ერთად არიან ჭირშიც, ლხინშიც გულით, გონებით.
მათი ფიქრები მოსკოვისკენ მიემართება,
სადაც დიდ სტალინს დასტირიან მილიონები.

**3**

რა სიჩუმეა, ქარიშხალმა ფრთა რად დაკეცა,
ჭეშმარიტების მთქმელი ბაგე უბრად რად არის?..
ის აღარა გვყავს, მებრძოლივით პოსტზე დაეცა,
არ გაღუნულა, ფოლადისგან იყო ნათალი.

... მაგრამ ეს რა ვთქვი!.. აღარა გვყავს — რა სათქმელია;
უკვდავთან სიკვდილს რა ხელი აქვს, რა სამართალი.
მილიონები ტრიბუნაზე ისევ ელიან,
რომ დროშასავით აიტაცონ მისი ნათქვამი.

ის ცოცხალია! აფოლადებს თავის გაზრდილებს,
მისი დროშით რომ მიუძღვიან ჩვენს ხალხს გოლიათს.
ის ცოცხალია! მისი დროშა აუტაციათ
მის ერთგულ გმირებს —
მაო ძე-დუნს, ტორეზს, ტოლიატს...

და როცა დილით გაიღება ცისკრის კარები,
ის ჩამოივლის ნაამაგარ სოფლებს, ქალაქებს.
ის გადმოგვხედავს მშობლიური, მზიან თვალებით,
როცა ახალი ელსადგური გამოანათებს.

როცა აღვმართავთ კომუნიზმის ახალ ხარაჩოს,
ახალ ქარხნებში ფოლადი რომ გამობრწყინდება,
როცა უდაბნოს ავაყვავებთ, ჭაობს დავაშრობთ,
სიმღერად ვიტყვით, ლექსად ვიტყვით:
სტალინს დიდება!

და კიდით-კიდე, კიდით-კიდე, დღითაც, ღამითაც,
ყველა საქმეში გვეყოლება მხსნელად, დამხმარედ.
მისი სახელით აღვუდგებით ომის ქარიშხალს,
ქვეყნად მშვიდობის გამარჯვებას ხალხებს ვახარებთ.

**4**

მამავ, ძვირფასო,
ჩვენზე ზრუნვით გათეთრებულო,
ჩვენო იმედო და ოცნებავ დაუსაბამო.
სამშობლოს დილავ, ჩვენს გულებში გათენებულო,
შენი სიკვდილით დაგვემწუხრა შავი საღამო.

მამავ, ძვირფასო,
შავი ძაძა ჩაუცვამს თბილისს,
გულჩათხრობილი გეთხოვება შენი ქალაქი.
შენი ბრძოლების მოწმე ქუჩებს ეცემა ჩრდილი,
მზეც პირს გვარიდებს, ძველებურად ველარ დაგვნათის.

შენი ღიმილი აერთებდა ასი მზის სიცილს,
ოკეანეთა ღელვის ღონევ, ძალავ ტიტანო.
ცოტა ხანია უშენოდ ვართ... და როგორ გვიმძიმს,
მთელი სიცოცხლე უშენობა ვით ავიტანოთ.

ზეიმზე, წითელ მოედანზე ველარ დადგები,
ხელს ვერ დაგვიქნევ, შვილებს ველარ შეგვეგებები.
წახვედი, მაგრამ დაგვიტოვე დიდი აზრები,
დიდი ქვეყანა, დიდი საქმე, დიდი გეგმები.

ცა რად გუგუნებს, ზეცამ წარბი რატომ შეყარა,
ეს რა ხმებია, რა ხმებია ასე მქუხარი...
მამავ, ძვირფასო, ეს ფიცს გაძლევს მთელი ქვეყანა,
როგორც შენ ლენინს ერთგულების ფიცი უთხარი.

ეს რა რიგია, ხალხის რიგი ასე ულევი,
მათ მტკიცე ხმაში რა უქრობი ცეცხლი ანთია...
ეს შენგან შექმნილ პარტიაში შესვლის მსურველნი
პირობას სდებენ, ასახელონ შენი პარტია.

სიკვდილმა სცადა შეჭიდება და ვერ გაჯობა.
დიდ უკვდავებას გზა დაუთმო დიდმა სიცოცხლემ.
ვფიცავთ, მშობელო, შენს მამობას, შენს მზეკაცობას, —
შენსავით ხალხის სამსახურში მუდამ ვიწოდეთ.

ვფიცავთ შენს მიზნებს, ჩვენს გულზე რომ დაგიხატია,
შენს მაღალ დროშებს ვფიცავთ, დიდო ადამიანო,
ჩვენი გმირობით ვასახელოთ შენი პარტია,
სულ გამარჯვების და სიმართლის გზებით ვიაროთ.

მამავ, ძვირფასო, ძმადნაფიცის გვერდით მიწექი,
დახუჭე თვალი, დაგეუფლა ძილი ტიალი,
მაგრამ ფხიზლობენ იდეები, შენი მიზნები
და შენს დიდ დროშებს კიდით-კიდე გააქვთ ფრიალი.

შენგან გაზრდილებს ფრთას ვერ დაგვკრავს
ღამის წყვდიადი,
შენი ნათელი არასოდეს არ გაგვიქრება
და კომუნიზმი — დედამიწის ნატვრა დიადი,
შენი უკვდავი, ხელთუქმნელი ძეგლი იქნება!



## სვიმონ მასხარაშვილი:

# ბერიასთვის აქილევსის ქუსლად იქცა არა იმდენად მალენკოვი და ხრუშჩოვი, არამედ – სუსლოვი!

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი, რომელიც ლავრენტი ბერიას ტრაგედიისა და ფიზიკური განადგურების გამომწვევ მიზეზებზე გვესაუბრება, აცხადებს, რომ ბერიამ დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა, როცა 1953 წლის 5-6 მარტს მიხეილ სუსლოვი პრეზიდიუმიდან გამოიყვანა, მაგრამ ცეკას მდივნის პოსტი შეუნარჩუნა:***

— ლავრენტი ბერიას ტრაგიკული ბედი ყველაფერთან ერთად დიდწილად **მიხეილ სუსლოვმაც** განსაზღვრა, რომელიც ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის ეპოქაში საბჭოთა კავშირის მთავარ იდეოლოგად იქცა. დღეს უკვე ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ თვალუწვდენელი იმპერიის მორალურად გახრწნა-განადგურებასა და იდეოლოგიური საფუძვლის მორყევაში სუსლოვმა საკავშირო „კაგებეს“ ავადსახსენებელი მეხუთე განყოფილების ხელმძღვანელთან, გენერალ **ფილიპ ბობკოვთან** ერთად უდიდესი წვლილი შეიტანა. ბელადი რომ არ მოეკლათ და ბერია ზედ არ მიეყოლებინათ, საბჭოთა კავშირის ოფიციალურ იდეოლოგიად დარჩებოდა არა მარქსიზმი და ლენინიზმი, არამედ **სტალინიზმი!** ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ სტალინის სიცოცხლეში საბჭოთა კავშირს იდეოლოგიის დარგში ცეკას მდივანი არ ჰყავდა. კაცმა რომ თქვას, იდეოლოგიური ფრონტის ხელმძღვანელობა სხვას ვის უნდა ეტვირთა, თუ არა სტალინს?

**— მაინც რაში გამოიხატება სტალინიზმის მთავარი არსი?**

— **ლენინი და ტროცკი,** რომლებიც სამხედრო კომუნიზმის იდეას უჭერდნენ მხარს და მიიჩნევდნენ, რომ ჩამორჩენილ და ეკონომიკურად დაჩაჩანაკებულ რუსეთში კომუნიზმის დამყარება ძალდატანებითაც იყო შესაძლებელი, 1921 წლის მარტის მიწურულს იძულებული გახდნენ, საბჭოთა რუსეთში **„ნეპი“** შემოეღოთ და კერძო მესაკუთრეობა და კაპიტალისტური მრეწველობა დაეშვათ! წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთს განადგურება, შიმშილი და სრული ქაოსი ემუქრებოდა, რადგან **ლენინმა და ტროცკიმ** ქვეყანაში ფულიც კი გააუქმეს. სტალინი მსგავსი სიგიჟეებისგან შორს იდგა და თითოეული მისი სიტყვა და ფრაზა, რაც მის თეორიულ ნაშრომებში აისახა, ლენინისა და ტროცკის ბოდვითი იდეებისგან განსხვავებით, საქმით იყო გამოცდილი. რაც შეეხება სტალინიზმის არსს, სტალინი ფიქრობდა, რომ ადამიანის გამორჩევა უნდა მომხდარიყო ნიჭით და არა კაპიტალის ოდენობით! ასევე, სტალინიზმი, ფაშიზმისგან განსხვავებით, გამორიცხავდა ერთი ერის მეორეზე უპირატესობას და ქადაგებდა ერთა შორის თანასწორობას. ეს არ ყოფილა ყბადაღებული ინტერნაციონალიზმი, სტალინი ერთა პატრიოტიზმს ემხრობოდა. ეკონომიკის სტრატეგიულ მიმართულებებში სტალინიზმი ყველა დიდი ფაბრიკა-ქარხნის, ელექტროსადგურის, სასარგებლო წიაღისეულისა და მეურნეობის დარგების ბატონ-პატრონად აცხადებდა სახელმწიფოს, თუმცა, ხელოსნობისა და არტელების, საშუალო და წვრილი მრეწველობის, ასევე საკარმიდამო მიწის ნაკვეთების დონეზე ემხრობოდა კერძო საკუთრების არსებობას, რაც 1952 წლის ოქტომბერში ბელადის უკანასკნელ საჯარო გამოსვლაში საბოლოოდ დადასტურდა.

***— მოდით, აქვე ისიც ვთქვათ, რომ გლეხს ძროხა კერძო სა-***

# აი, რა უნდა

# „იმ სპეცოპერაციაში, რომელსაც ლავრენტი ბერიას განადგურება მოჰყვა, მიხეილ სუსლოვი ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი იყო!“



*მარცხნიდან მარჯვნივ:* **ანასტას მიქოიანი, მაო ძედუნი** *(უკან)*, **ნიკოლაი ბულგანინი, იოსებ სტალინი** *(უკან)*, **ლავრენტი ბერია, მიხეილ სუსლოვი** *(უკან)* და **გიორგი მალენკოვი.** 1949 წლის დეკემბერი. სტალინის 70 წლის იუბილე.

**კუთრებაში სწორედ სტალინმა დაუბრუნა!**

— მარქსიზმ-ლენინიზმისგან აბსოლუტურად განსხვავდებოდა ეს მოდელი, რომლისგანაც გარეწარმა და ქართველი ერის დაუძინებელმა მტერმა **მიხეილ სუსლოვმა** აღარაფერი დატოვა. ყველა ის თეორიული ნაშრომი, რომელიც ბელადმა შექმნა, პრაქტიკიდან და ცხოვრების ჭირ-ვარამიდან იყო ნაშობი. **ხრუშჩოვისა** და განსაკუთრებით **ბრეჟნევის** ეპოქაში მოხდა საბჭოთა იდეოლოგიის მიბრუნება იმ სულელური და იდიოტური 20-იანი წლების დოგმებისა და ლოზუნგებისკენ, საიდანაც სტალინმა ქვეყანა ძლივს ამოათრია. სტალინიზმის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა ბელადის გახმაურებული ნაშრომები — **„ერი და ეროვნული კულტურა“, „სოციალიზმის შეცდომები“.** ამ თემებზე ბელადი 1925 წელს ვერ დაწერდა.

**— მაინც ვინ იყო ქვეყნის მთავარი იდეოლოგი მიხეილ სუსლოვი და რა პრობლემები შეუქმნა მან ლავრენტი ბერიას?**

— ბერია სტალინის პოლიტიკურ და ეკონომიკურ კურსს აბსოლუტურად იზიარებდა, ამდენად, პირწავარდნილი სტალინისტი იყო. აქედან გამომდინარე, ხმები იმის შესახებ, თითქოს ასდღიან პერიოდში, როცა **მალენკოვთან** ერთად უმაღლეს ხელისუფლებას იყოფდა, ბერიამ სტალინის იდეებისა და პოლიტიკური კურსის რევიზია სცადა, სისულელეა. რაც შეეხება **სუსლოვს,** აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ იმ ნაღმის ჩადება, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, კრემლმა ააფეთქა და საქართველოს ძირძველი პროვინციის ოკუპაცია მოახდინა, სწორედ მის კისერზეა, რომელმაც იდეოლოგიურად მოამზადა საქართველოსგან აფხაზეთის ჩამოშორების გეგმა. 1961 წელს **მიხეილ სუსლოვმა** ცეკას საიდუმლოდ წარუდგინა საქართველოს განადგურების დოქტრინა, რომელშიც ვკითხულობთ —

*„კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ წებო ძალას, თავის თვისებებს დაკარგავს, მანამდე უნდა ავამუშავოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა... შორეულ აღმოსავლეთში მომსახურე ჩვენს გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩასასახლებლად გვჭირდება შავი ზღვის სანაპირო ტერიტორია, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ქართველები სახლობენ.*

*უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან. ადრე თუ გვიან, ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარას და სხვა კუთხეებს უნდა მიეცეს დამოუკიდებლობა, მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის როლი უნდა შევასრულოთ. პარალელურად* ***ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულები, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც საქართველოს ტერიტორიიდან მათი საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს.*** *ქართველები სანახევროდ ლიკვიდირებულნი და ასოცირებულნი უნდა გავხადოთ, თუ მოგვეცემა საშუალება, მთლიანად ლიკვიდაცია ვუყოთ მათ!“*

**— კი მაგრამ, ასეთი ბნელით მოცული და ქართველოფობი ბერიას ყურადღების ცენტრიდან როგორ გამოეპარა?**

— ბერიამ დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა, როცა 1953 წლის 5-6 მარტს ოცდახუთკაციანი პრეზიდიუმის წევრი **მიხეილ სუსლოვი** პრეზიდიუმიდან გამოიყვანა, მაგრამ ცეკას მდივნის პოსტი შეუნარჩუნა! ეს გახლდათ მეტად საშიში გადაწყვეტილება, რაც დაახლოებით იმას ნიშნავდა, რომ შხამიანი გველი ტერარიუმიდან გამოგეშვა და ხალხით სავსე დარბაზში გაგეშვა... მოკლედ, **მიუხედავად იმისა, რომ სუსლოვს პრეზიდიუმში პოსტი დაატოვებინეს, ცეკას მდივნის სტატუსი მაინც შეუნარჩუნეს. ამით მას ხელში ის იარაღი დაუტოვეს, რომლითაც ნებისმიერი დანაშაულის ჩადენა შეეძლო.**

**ჰოდა, ბერიაზე** დაბოღმილმა სუსლოვმაც დაიწყო იმის მომზადება, რაც 1953 წლის მაისივნისში გერმანიაში მოხდა. საქმე ის გახლავთ, რომ **მიხეილ სუსლოვის** აქტიური წაქეზებითა და მეცადინეობით, მეორე და მესამეხარისხოვან გერმანულ გაზეთებში იბეჭდებოდა სტატიები იმის შესახებ, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში კოლექტივიზაცია მეტად კარგი და საჭირო რამ იქნებოდა. ბერია საგანგებოდ ჩავიდა ბერლინში და 1953 წლის მაისში დემოკრატიული გერმანიის ხელმძღვანელობას შეხვდა. პირისპირ საუბრებში მან მართლაცდა ტურის ხვრელში შეაძვრინა გერმანელი პარტმუშაკები და ყველას კატეგორიულად განუცხადა — **შეწყვიტეთ კოლექტივიზაცია და კერძო საწარმოებისა და ფაბრიკა-ქარხნების ნაციონალიზაციაო!** რეალურად თუ განვსჯით, ეს იყო ის, რაც სტალინს უნდოდა.

**— სუსლოვი ამას ბერიას როგორ უბედავდა?**

— სუსლოვს ინტელიგენტისა და ძალიან განათლებული კაცის იმიჯი ჰქონდა. რეალურად თუ განვსჯით, იგი გახლდათ ასკეტი, რომელიც მთელი ცხოვრება ერთი პალტოთი დადიოდა, არ იყო კორუმპირებული და ჰქონდა ერთი ჯიბის ბლოკნოტი, რომელიც დიდი მოაზროვნეების ცნობილი გამოთქმებით ჰქონდა სავსე. ამ გამოთქმებს სუსლოვი თავის გამოსვლებში იყენებდა და ყოვლისმცოდნის მკაცრ იმიჯს იქმნიდა. სინამდვილეში ეს იყო სულელი, მაგრამ ამავდროულად ვერაგი და ქართველების მიმართ განსაკუთრებული სიძულვილით გაჟღენთილი ადამიანი, რომელიც ქართველ ბერიას ცოცხალი თავით არ და ვერ პატიობდა იმას, რომ პრეზიდიუმიდან გამოამსერეს!

გარეგნულად სუსლოვი ტოვებდა აბსოლუტურად უანგარო ადამიანის შთაბეჭდილებას, იყო წარმოსადეგიც... და სწორედ ეს გახლდათ მიზეზი, რომ 1946 წლიდან სტალინმა ის „ორგბიუროს“ წევრი გახადა, ხოლო 1952 წლის ოქტომბერში გაფართოებულ, ოცდახუთკაციან პრეზიდიუმშიც შეიყვანა.

**მიხეილ სუსლოვი** ცეკას მდივანი 1947 წელს გახდა და მუშაობდა მარქსიზმსა და აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტ ლიდერებზე, ანუ სოციალისტური ბანაკის სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებს კურირებდა. აქედან გამომდინარე, ძალიან კარგად უწყოდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შექმნილი პოლიტიკური განწყობა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა იქაურ ელიტასთან. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ **მიხეილ სუსლოვი** კრემლსა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ლიდერებს შორის ერთგვარი შუამავლის, ანუ მოენის ფუნქციას ასრულებდა. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში შექმნილი ვითარების შესახებ აბსოლუტურად ყველანაირი ინფორმაცია სწორედ სუსლოვის მაგიდაზე იყრიდა თავს და აქედან შედიოდა სტალინთან.

რა თქმა უნდა, სუსლოვს აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ამ ინფორმაციებით მანიპულირება დაეწყო, რადგან ეს კაცი იყო ინფორმაციის ჩვეულებრივი გამტარი და მეტი არავინ, მაგრამ 1953 წლის გაზაფხულზე აღმოჩნდა, რომ, თურმე, სინამდვილეში არის ვერაგი არსება, რომელმაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პროფკავშირები გააქეზა, რათა პროვოკაციული განცხადებები გაეკეთებინათ და ბერიასთვის პრობლემები შეექმნათ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **პრობლემები გამოიხატებოდა იმაში, რომ მეორეხარისხოვან გერმანულ პრესაში სუსლოვის გაქეზებით იწერებოდა წერილები — რა კარგია კოლექტივიზაცია გერმანიაშიო!** მოკლედ, სუსლოვის მითითებით, მიზანმიმართულად წამლავდნენ და აგიჟებდნენ გერმანელ ხალხს და ასე გამოიწვიეს 1953 წლის 17 ივნისის ცნობილი მოვლენები.

# „ბელადი რომ არ მოეკლათ და ბერია ზედ არ მიეყოლებინათ, საბჭოთა კავშირის ოფიციალურ იდეოლოგიად დარჩებოდა არა მარქსიზმი და ლენინიზმი, არამედ სტალინიზმი!“

**— მაინც ძნელი დასაჯერებელია, რომ სუსლოვის მზაკვრობებისა და მისი აგენტურის მიერ დაგებული მახეების შესახებ ბერიას აგენტურას არაფერი სცოდნოდა!**

— ერთი რამ არ დაგვავიწყდეს — ბერიას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საქმეები ჩაბარებული ჰქონდა **სერგო გოგლიძისთვის,** რომელიც საბჭოთა კავშირის უშიშროების მინისტრის **სემიონ იგნატიევის** პირველი მოადგილე იყო და ბერიას არ წყალობდა, რადგან მოსკოვს მოაშორეს და გერმანიაში მოისროლეს! არსებობს ჭორი, თითქოს 1953 წლის 26 ივნისს, როცა, დიდი ალბათობით, ბერიას ლიკვიდაცია მოხდა, სერგო გოგლიძემ ლავრენტის დაურეკა და უთხრა, რომ ვნუკოვოსა და შერემეტიევოს აეროპორტებში არ დაფრენილიყო, მაგრამ ბერიამ არ დაუჯერა. ეს ჭორი ბერიასა და გოგლიძეს შორის არსებული უნდობლობის გამოძახილია. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ **სერგეი კრუგლოვი და ივან სეროვი,** რომლებიც ბერიას მოდგილეები იყვნენ, ბერიას წაქცევაზე ოცნებობდნენ. კრუგლოვი 1946 წლის 15 იანვრიდან 1953 წლის 13 მარტამდე, ვიდრე ბერიამ არ შეცვალა, უშიშროების მინისტრი იყო. მომხდარის გამო კრუგლოვი საშინლად დაიბოღმა და ბერიას მტრად მოეკიდა, ხოლო, რაც შეეხება **ივან სეროვს,** როგორც გაირკვა, ეს სერიული მკვლელი და ბნელით მოცული პიროვნება საბჭოთა სპეცსამსახურებში დიდი ხნის წინათ იყო ჩანერგილი იმ ხალხის მიერ, რომელმაც ჯერ სტალინი და შემდეგ ბერია შეიწირა.

**— გამოდის, იმ სპეცოპერაციაში, რომელსაც ლავრენტი ბერიას განადგურება მოჰყვა, მიხეილ სუსლოვი ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი იყო!**

— ამას თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ ბერიას ლიკვიდაციისთანავე **პავლე ბატიცკისთან, კირილ მოსკალენკოსთან, ივან სეროვთან და გიორგი ჟუკოვთან** ერთად **მიხეილ სუსლოვის** კარიერაც თავბრუდამხვევი სისწრაფით განვითარდა და იგი **ნიკიტა ხრუშჩოვის** უახლოესი გარემოცვის წევრი გახდა, რომელიც მთელი საბჭოთა კავშირის იდეოლოგიას განაგებდა. რეალურად თუ განვსჯით, ბერიასთვის აქილევსის ქუსლად იქცა არა იმდენად მალენკოვი და ხრუშჩოვი, არამედ — სუსლოვი, რომელმაც ლავრენტი პავლოვიჩს კვანტი გამოჰკრა!

# „ლენინმა და ტროცკიმ ქვეყანაში ფულიც კი გააუქმეს!“



ლევ ტროცკი და ვლადიმერ ლენინი

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

*გაგრძელება იქნება*

# ვიცოდეთ სუსლოვის დოქტრინაზე!

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## ცნობილია, რომ ი. სტალინი რამდენჯერმე დააპატიმრეს, ხან ციხეში იჯდა, ხან გადასახლებული იყო. საინტერესოა, როდის დააპატიმრეს იგი პირველად, რისთვის და რა ვითარებაში?

სტალინი სულ **რვაჯერ დააპატიმრეს**, აქედან **ექვსჯერ გადაასახლეს, 2 წელზე მეტი კი ციხეებში გაატარა. 1902 წლის აპრილიდან 1913 წლის თებერვლამდე,** ანუ 11 წლის განმავლობაში ის და მეფის ოხრანკა ცვალებადი წარმატებით აწარმოებდნენ ორთაბრძოლას. ეს დუელი მხოლოდ **1917 წლის თებერვალში** დასრულდა, როდესაც პეტროგრადში მომხდარმა რევოლუციამ **სტალინი** უკანასკნელი, ყველაზე მძიმე გადასახლებიდან (ტურუხანსკი) გაათავისუფლა. რაც შეეხება პირველ დაპატიმრებას, ეს **1902 წლის 5 აპრილს** ბათუმში მოხდა. **სტალინი** ქალაქში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კომიტეტის ჩამოყალიბების (რომელსაც თავად ჩაუდგა სათავეში), **როტშილდისა** და **მანთაშოვის** ქარხნების მუშათა მასობრივი გაფიცვების და დემონსტრაციების ორგანიზე-



**სტალინის არალეგალური ჩამოსვლა თბილისში გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ (1904 წელი). მხატვარ ალექსანდრე ციმაკურიძის სურათიდან**

ბისათვის დააპატიმრეს. ამ ღონისძიების გარემოებებზე მოგვითხრობს ბათუმის პოლიცმაისტერისადმი ქალაქის მე-4 უბნის ბოქაულის საიდუმლო პატაკი, რომელიც არქივშია დაცული. მასში ნათქვამია: **„მაქვს პატივი, მოვახსენო თქვენს მაღალკეთილშობილებას, რომ გუშინ** (პატაკი 6 აპრილით თარიღდება) **ღამის თორმეტ საათზე ალყა შემოვარტყი რუსაძის სახლს ბათუმის ოლქის ლიმანმელიეში, სადაც, აგენტურული მონაცემებით, მუშების კრება ტარდებოდა და მანთაშოვის ქარხნის მუშის დარისპან დარახველიძის ბინაში აღმოვაჩინე შემდეგი პირები: სასულიერო სემინარიიდან გარიცხული, ბათუმში ჩაწერის, ბინისა და გარკვეული საქმიანობის გარეშე მცხოვრები იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი; ადგილობრივი ვაჟთა გიმნაზიის მე-6 კლასის მოსწავლე, ცივილურ კოსტიუმში გამოწყობილი ვანო რამიშვილი და მუშათა მოძრაობაში მონაწილეობაში ეჭვმიტანილი, ქუთაისის მაზრის მცხოვრები კონსტანტინე ბესარიონის ძე კანდელაკი. ყველა ხსენებული პირი როტმისტრ ჯაყელს გადავეცი, რომელმაც ჯუღაშვილი და კანდელაკი ციხეში ჩასვა, რამიშვილი და დარახველიძე კი გაათავისუფლა. ამასთან მოგახსენებთ, რომ აღნიშნული პირები მუშათა მღელვარებაშიც არიან ეჭვმიტანილი...“**

1903 წლის 19 აპრილამდე **სტალინი** ბათუმის ციხეშია, შემდეგ იგი უფრო მძიმე რეჟიმით ცნობილ ქუთაისის ციხეში გადაჰყავთ, ბოლოს კი — ისევ ბათუმში. 1903 წლის 24 ივნისს გამოდის უზენაესი ბრძანება (მეფის ბრძანებულება) **იოსებ ჯუღაშვილის** აღმოსავლეთ ციმბირში 3 წლით გადასახლების შესახებ. თუმცა, დანიშნულების ადგილზე — ირკუტსკის გუბერნიის ბალაგანის მაზრის სოფელ ნოვაია უდაში — იგი ეტაპით მხოლოდ 1903 წლის 27 ნოემბერს ჩაიყვანეს, ხოლო 1904 წლის 5 იანვარს თავისი პირველი გაქცევა განახორციელა. თებერვალში სტალინი ისევ კავკასიაში აღმოჩნდა, ჯერ — ბათუმში, შემდეგ კი — ტფილისში.

## მსმენია, რომ უფროსი ვაჟის – იაკობის დაღუპვის შემდეგ სტალინს შავი მაისური აღარ გაუხდია. რამდენად შეეფერება ეს სინამდვილეს? მაინტერესებს, აგრეთვე, სად დაკრძალეს იაკობი?





იაკობ ჯუღაშვილი გერმანელ ფაშისტთა ტყვეობაში. 1941 წელი

შავი მაისურის შესახებ პასუხის გაცემა გამიჭირდება. ჩემთვის ცნობილ არცერთ წყაროში ეს ფაქტი არ იხსენიება.

**სტალინმა** შვილის ტრაგიკული ბედის შესახებ მხოლოდ ომის შემდეგ შეიტყო. **1946 წლის 14 სექტემბერს** შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის **ი. სეროვის** მოხსენებითი ბარათით მაშინდელი მინისტრის **ს. კრუგლოვის** სახელზე, რომელიც ამ უკანასკნელმა **სტალინს** გადაუგზავნა, ოფიციალურად დადასტურდა ცნობა არტილერიის უფროსი ლეიტენანტის **იაკობ ჯუღაშვილის** დაღუპვის შესახებ. ბარათში ნათქვამი იყო: **„1943 წლის ბოლოს უფროსი ლეიტენანტი ჯუღაშვილი ზაქსენჰაუზენის ბანაკში გუშაგმა მოკლა. ჯუღაშვილმა უარი განაცხადა გასეირნების შემდეგ ბარაკში დაბრუნებაზე და მავთულხლართისაკენ გაემართა. გუშაგმა შაშხანა მოიმარჯვა და დაუყვირა „სდეჲ!“ ჯუღაშვილმა სვლა განაგრძო. მაშინ გუშაგმა თავში ესროლა და მოკლა.“**

ეს ვერსია **სეროვს** ბანაკის დაპატიმრებულმა უფროსმა **კაინდლმა** და ექიმმა — კაპიტანმა **შულცმა** აუწყეს. არსებობს კიდევ ერთი ვერსია (იმავე ბანაკში მყოფი პოლონელი ოფიცრების მონათხრობის მიხედვით), რომ ბანაკის მოედანზე **იაკობ ჯუღაშვილი** უნდა ეწამებინათ და ეს წამება კინოფირზე გადაეღოთ, რისთვისაც ზაქსენჰაუზენში ბერლინიდან ოპერატორი ჩავიდა. **იაკობი,** როგორც ჩანს, ჯალათებს ჩანაფიქრს მიუხვდა, მიაწყდა მავთულხლართს, რომელშიც მაღალი ძაბვის ელექტროდენი გადიოდა, და სიცოცხლე მოისწრაფა, ხოლო თავში გუშაგებმა უკვე მკვდარ სხეულს ესროლეს.

რა ბედი ეწია ბელადის უფროსი შვილის ნეშტს? ამას სეროვის იმავე მოხსენებითი ბარათიდან ვიგებთ: **„ჯუღაშვილის ცხედარი ბანაკის კრემატორიუმში დაწვეს, ფერფლი კი ურნაში მოათავსეს, რომელიც, ინციდენტის გამოძიების სხვა მასალებთან ერთად, ბერლინში, იმპერიის უშიშროების მთავარ სამმართველოში გააგზავნეს.“** ფერფლიანი ურნის ამჟამინდელი ადგილმდებარეობა უცნობია.

## საინტერესოა დიდი რუსი მწერლის ბორის პასტერნაკის, საქართველოს გულწრფელი მეგობრის და ქართული პოეზიის ბრწყინვალე მთარგმნელის ბედი. საგულისხმოა, რომ სტალინის სიცოცხლეში მწერალი, რომელიც ბოლშევიკური ფასეულობებისაგან ფრიად შორს იდგა და უცხოც კი იყო, არ დაზარალებულა, ხრუშჩოვის დროს კი მას, ფაქტობრივად, „სამოქალაქო სიკვდილი“ მიუსაჯეს. უფრო დაწვრილებით გვიამბეთ ამის შესახებ.

**პასტერნაკი** მართლაც ძალზე ცუდად „თავსდებოდა“ იმ პერიოდის სოციალისტურ სინამდვილეში, თან ენაც უსწრებდა. ჩეკისტები კარგა ხანს ოცნებობდნენ ლუბიანკაზე მის „მოპატიჟებაზე“, მაგრამ ამას ხელი თავად **სტალინმა** შეუშალა. ზოგიერთი მონაცემით, მან განუცხადა НКВД-ს მაშინდელ შეფს ეჟოვს: **„ამ ულმერთოს თითიც არ დააკაროთ!“** ამასთან, **პასტერნაკი** ერთ-ერთი იყო კულტურის იმ რამდენიმე მოღვაწეს შორის, რომლებსაც **სტალინი** ტელეფონით (თანაც თავაზიანად და მეგობრულად) ესაუბრებოდა. ეს კი უკვე საიმედო ფარს წარმოადგენდა. არსებობს ცნობები, რომ **სტალინს** ძალიან მოსწონდა **პასტერნაკის** პოეზია.

ხელისუფლებაში უმეცარი **ხრუშჩოვის** მოსვლისთანავე **პასტერნაკის** მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მისი წიგნები აღარ იბეჭდებოდა, ლექსები არ ქვეყნდებოდა და მთელი ეს პერიოდი თარგმანებით და მეგობრების — ქართველი პოეტების დახმარებით გაჰქონდა თავი. **1957 წელს** საზღვარგარეთ გამოქვეყნდა **პასტერნაკის** ერთ-ერთი მთავარი ნაწარმოები — რომანი **„ექიმი ჟივაგო“** (რომელშიც რევოლუციის წლებში რუსი ინტელიგენციის ბედია მოთხრობილი და ანტისაბჭოურს არაფერს შეიცავს). **1958 წელს** ამ ნაწარმოებისთვის **პასტერნაკს ნობელის პრემია მიენიჭა,** რაც დიდი მწერლის დევნის სიგნალად გადაიქცა. იგი მწერალთა კავშირიდან გარიცხეს, საგაზეთო სტატიებში და კრებებზე ლაფში სვრიდნენ. ხოლო კომკავშირის მაშინდელმა ლიდერმა **სემიჩასტნიმ** (შემდგომში ის КГБ-ს შეფი გახდა) თავის გამოსვლაში გენიალურ პოეტს **„ღორი“** უწოდა. მოგვიანებით ის თავს იმართლებდა, რომ ეს ეპითეტი მის გამოსვლაში პირადად **ნიკიტა ხრუშჩოვმა** ჩაწერა. ამ დევნამ აიძულა მწერალი, პრემიაზე უარი ეთქვა და მისი აღსასრულიც დააჩქარა (1960 წელს). ასე რომ, „სამოქალაქო უმაღლესი სასჯელი“ ფიზიკური სიკვდილით დასჯად გადაიქცა.



## გთხოვთ, გვიამბოთ ტერორისტ ქალ ფანი კაპლანზე, რომელმაც ლენინზე შეიარაღებული თავდასხმა განახორციელა. ვინ იყო ის, ვის დაკვეთას ასრულებდა და რა ბედი ეწია?

**ლენინზე** **თავდასხმა 1918 წლის 30 აგვისტოს საღამოს მოხდა,** როდესაც ის **მიხელსონის ქარხნის** მუშების მიტინგზე გამოსვლის შემდეგ ქარხნიდან გამოდიოდა. **ლენინს** სამი ტყვია ესროლეს. პირველმა მის გვერდით მდგომი ქალი დაჭრა, ორი დანარჩენი კი მარცხენა ხელსა და მხარში მოხვდა და ოდნავ აცდა საძილე არტერიას. ითვლება, რომ ბელადს სოციალისტ რევოლუციონერთა პარტიის წევრმა **ფანი კაპლანმა** ესროლა, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ გამოძიება ნაჩქარევად წარმოებდა და არავითარი მტკიცებულება წარმოდგენილი არ ყოფილა, ამ ფაქტის დადასტურებულად მიჩნევა არ შეიძლება.

ვინ იყო ესერი **ფანი კაპლანი** და ვის დაკვეთას ასრულებდა?

სავარაუდო ტერორისტის ნამდვილი სახელი და გვარი **ფეიგა ხაიმის** ასული როიდი გახლავთ. ის **1890 წელს** უკრაინაში, ღატაკ ებრაულ ოჯახში დაიბადა. 15 წლისა ანარქისტებს დაუკავშირდა. **1906 წელს,** სხვა ანარქისტებთან ერთად, კიევის გენერალ-გუბერნატორზე ტერაქტის განხორციელებას ცდილობდა, მაგრამ მათი მომზადებული თვითნაკეთი ბომბი სასტუმროს ნომერში აფეთქდა. ამ აფეთქების შედეგად **კაპლანი** ნახევრად დაყრუვდა და დაბრმავდა. კიევის სამხედრო სასამართლომ მას ჩამოხრჩობა მიუსაჯა, რომელიც ბოლო წუთებში ციმბირში სამუდამო კატორღით შეუცვალეს. იქ იგი იმ დროის ყველაზე საზარელ — აკატუისკის ციხეში მოხვდა, ცნობილი ესერი ქალი **მარია სპირიდონოვა** (მარუსია) გაიცნო, ანარქიზმთან კავშირი გაწყვიტა და თავადაც ესერი გახდა. სწორედ **1906 წლიდან** დაირქვა მან **ფანი კაპლანი,** ხოლო ესერთა წრეში პარტიული მეტსახელი **„დორა“** მიიღო. **კაპლანი** მხოლოდ **1917 წლის თებერვალში,** რევოლუციის შემდეგ გათავისუფლდა. ამ დროიდან ის მოსკოვშია, ესერთა პარტიის აქტიურ ფუნქციონერთა რიცხვში.

დავუბრუნდეთ ტერაქტს. იმ საბედისწერო საღამოს **კაპლანი** მართლაც იმყოფებოდა მიხელსონის ქარხანასთან შეკრებილი ხალხის მასაში და იქვე დააპატიმრეს. მაგრამ თავდასხმის იარაღი იმ დღეს არ უპოვიათ. **ბრაუნინგი,** რომლიდანაც ვითომდა **ლენინს** ესროლეს, ჩკაში მხოლოდ 2 სექტემბერს მიიტანა **მუშა კუზნეცოვმა,** რომელმაც იგი თითქოს ქარხნის ეზოში იპოვა. ექსპერტიზა არ ჩატარებულა. დაპატიმრებულის დაკითხვა განუწყვეტლივ — დღისით და ღამითაც გრძელდებოდა, მაგრამ **კაპლანს** თანამზრახველები არ დაუსახელებია, თავი დამნაშავედ არ უცნია და ყველა შეკითხვას პასუხობდა, რომ **„მეფის ჟანდარმებთან ჩუმად იყო, არც წითელ ჟანდარმებთან ამოიღებს ხმას.“** დაკითხვას აწარმოებდნენ **ძერჟინსკის** მოადგილე **პეტერსი,** იუსტიციის სახკომი **კურსკი, იაკობ იუროვსკი,** რომელმაც ეკატერინბურგში მეფის ოჯახის ამოჟლეტით გაითქვა სახელი და სხვა ჩეკისტები. ე. წ. „გამოძიების“ ძირითადი ნაწილი კრემლის კომენდატურაში ჩატარდა. **1918 წლის 3 სექტემბერს** კრემლის კომენდანტმა **მალკოვმა** მიიღო საკ-ის თავმჯდომარის **სვერდლოვის** ზეპირი(!) განკარგულება კაპლანის დახვრეტის შესახებ. დახვრეტა, უფრო სწორად, მკვლელობა, პირადად **მალკოვმა** განახორციელა. მან პატიმარი ავტოფარეხში შეიყვანა და კეფაში ესროლა. საინტერესოა, რომ დახვრეტას პოეტი **დემიან ბედნი** ესწრებოდა, რომელიც კრემლის ტერიტორიაზე ცხოვრობდა. ის დაეხმარა **მალკოვს** და ლატვიელ მსროლელებს კრემლის კედელთან ალექსანდრეს ბაღში **კაპლანის** გვამის დაწვაში.

დაბოლოს, ვის დაკვეთას ასრულებდა **ფანი კაპლანი?** ამ შეკითხვას ესერთა პარტიის მოსკოვის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა დონსკოიმ ასე უპასუხა: **„მიუხედავად ბოლშევიკებისადმი მთელი სიძულვილისა, სოციალისტ რევოლუციონერთა პარტია არასოდეს დაავალებდა ტერაქტის განხორციელებას ნახევრად ბრმა, ყრუ და ეგზალტირებულ ქალს, როგორიც ფანი კაპლანი გახლავთ.“** და მაინც, მიუხედავად ამ განცხადებისა და იმისა, რომ **კაპლანს** არცერთი თანამზრახველი არ დაუსახელებია, ტერაქტის შემდეგ ბევრი ცნობილი ესერი დააპატიმრეს. იყო თუ არა **ფანი კაპლანი** მართოხელა ტერორისტი, ამას, ალბათ, ვეღარასოდეს შევიტყობთ.



**ლენინზე თავდასხმა 1918 წლის 30 აგვისტოს საღამოს მოხდა, როდესაც ის მიხელსონის ქარხნის მუშების მიტინგზე გამოსვლის შემდეგ ქარხნიდან გამოდიოდა...**

გენერალისიმუსი
2023 წლის 8 მაისი. № 24-25 (192-193)

სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com**
ფეისბუქი: **www.facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# შიგ, ევრო-პარლამენტში, „სექსუალური გეი იესო“ გამოფინეს!

***გასულ კვირას ბრიუსელში, შიგ ევროპარლამენტში, გაიმართა შვედი მხატვრის ელიზაბეტ ოლსონის გამოფენა, რომელმაც თავად ევროპარლამენტართა შორის გამოიწვია უდიდესი სკანდალი — მემარცხენე-კომუნისტური ფრაქციების ევროპარლამენტართა ლობირებითა და მეცადინეობით, ევროპის მთავარ საკანონმდებლო ორგანოში, „გეი იესოსა და მისი გეი-მოციქულების“ ინსტალაცია გამოჰკიდეს!***



სურათმა, რომელზეც იესო გარშემორტყმულია ტყავის კოსტიუმებითა და ჯაჭვებით აღჭურვილი გეი-მამაკაცებით (ვითომდა მისი მოციქულებით) იტალიელი და პოლონელი მემარჯვენე პოლიტიკოსების განრისხება გამოიწვია! თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ევროპულ სტრუქტურებში, ალლუმი ასეთ ქრისტიანული მსოფლმხედველობის პოლიტიკოსებს კი არა, პირწავარდნილ ულტრალიბერასტებს მიჰყავთ, ევროპელ მემარცხენე-კომუნისტებად რომ ასაღებენ თავს!

რა თქმა უნდა, ევროპარლამენტში გამოფენილი ეს სიბილწე ხელოვნების უსაზღვრო თავისუფლებისადმი აღვლენილი აპოლოგია არ გახლავთ — **ეს არის მიზანმიმართული გავეშებული იდეოლოგიური ომი ქრისტიანობის წინააღმდეგ!**

## ეს არის ომი ლგბტ იდეოლოგიის საბოლოო გამარჯვებამდე! და ეს ომი კარგა ხნის წინ დაიწყო – გაიხსენეთ, როგორ გაამარჯვებინეს „ევროვიზიის“ სიმღერის კონკურსზე ავსტრიელ კონჩიტა ვურსტს, რომელსაც შემდეგ ევრო-პარლამენტშიც კი უმასპინძლეს უმაღლეს დონეზე!

და ეს ომი საქართველოშიც კარგა ხანია, მიმდინარეობს: ჩვენთანაც აფრიალებენ ტელევიზიების პირდაპირ ეთერებსა თუ უმაღლესი სასწავლებლების საგამოფენო სივრცეებში **„თვითმკვლელი ორსული ღვთისმშობლის“** ნახატებს!

ჩვენთანაც გამოსახავენ პრეზერვატივებზე წმინდანებსა და მაცხოვრის აღდგომის თემებს! **ჩვენთანაც იჯიბავენ ყაჩაღ-ბანკირი ხაზარაძის „საბარასტები“ ლიტერატურულ პრემიებს პატრიარქის შეურაცხყოფისა თუ ეკლესიის უბინძურესი განქიქებისათვის!**

ის კი არა, უკვე ბავშვებსაც კი მისდგნენ და სკოლამდელი ასაკიდან შთააგონებენ, რომ **მამათმავლობა და დედათმავლობა** ნორმაა! აგერ, ბატონო, **ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას** გამოცემული აქვს ფერადად ილუსტრირებული ლამაზი წიგნი — **„ძილისპირული ამბები მეამბოხე გოგონებისთვის“,** რომელშიც გადმოცემულია 100 ამბავი „არაჩვეულებრივ ქალებზე“, რომლებიც, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ სოდომიას ქადაგებენ!







მაგალითად, 30-ე გვერდზე მოთხრობილია ლგბტ აქტივისტ **გლორია სტეინემის** ამბავი, სადაც ასეთი პასაჟია:

*„ბევრი ადამიანი ფიქრობდა, რომ ქალი მამაკაცის გარეშე სრულყოფილად ვერ იცხოვრებდა. გლორიას კი ეს მოსაზრება სასაცილოდ მიაჩნდა.*

*— ქალს ისევე სჭირდება მამაკაცი, როგორც თევზს ველოსიპედი, — ხუმრობდა ხშირად.*

*გლორია ქალებს არწმუნებდა, რომ მათ თავად უნდა გადაეწყვიტათ, როგორი ცხოვრება სურდათ; რომ არ იყო აუცილებელი, ყველას ერთი გზა აერჩია; რომ არ უნდა გაეჩინათ შვილები, თუკი ეს არ სურდათ...“.*

აი, ეს არის, თურმე, ჩვენი შვილების ძილისპირულად საკითხავი! ბარემ, ბავშვებს პირდაპირ საძინებელში გაუკარით **ბაბუცა პატარაიას** ფოტო დიდი წარწერით, **„ფუჩუ ლიბერაციონ“!**

ანდა, ეს ნახეთ: იმავე წიგნის 174-ე გვერდზე გადმოცემულია დაწყებითი სკოლის მოსწავლე, **ვინმე ქოი მეთისის** ამბავი:

*„ერთ პატარა ბიჭს, სახელად ქოის, კაბები, ბრჭყვიალა ფეხსაცმელი და ვარდისფერი უყვარდა.*

*ქოის ბიჭის ტანსაცმელი არ მოსწონდა. მშობლები ნებას რთავდნენ, ისე ჩაეცვა, როგორც თავად მოისურვებდა.*

*ერთ ღამით ქოიმ დედას ჰკითხა:*

*— როდის წამიყვან ექიმთან, რომ, ბოლოს და ბოლოს, გოგოდ ვიქცე?“*

თუმცა, ეს მარაზმი ამით არ სრულდება! ამის შემდეგ აღწერილია ამბავი, როგორ უჩივლა ქოიმ სკოლას სასამართლოში:

*„როცა ქოი სკოლაში წავიდა, თავი ახალმა პრობლემამ იჩინა.*

*— მან ან ბიჭების საპირფარეშოთი უნდა ისარგებლოს, ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა საპირფარეშოში იაროს, — თქვეს მასწავლებლებმა.*

*— მაგრამ მე ხომ ბიჭი არ ვარ! — შეჰყვირა ქოიმ, — და არც შეზღუდული შესაძლებლობები მაქვს!*

*ქოის მშობლებმა მოსამართლეს მიმართეს. მოსამართლე დაფიქრდა და გადაწყვიტა: „ქოის შეუძლია, ის საპირფარეშო გამოიყენოს, რომელიც მისთვისაა მისაღები“.*

ეს ამბავი კი ასე ამაღლებულ ნოტაზე სრულდება:

*„ქოიმ და მისმა მშობლებმა ამის აღსანიშნავად დიდი წვეულება გამართეს და ვარდისფერი ტორტი მიირთვეს. ქოის ვარდისფერი, ბრჭყვიალა კაბა და მშვენიერი ვარდისფერი ფეხსაცმელი ეცვა“.*

**იხარე, ტრანსგენდერო, წამებულო!**

როგორც ხედავთ, ყველაფერი დღესავით ნათელია! უფრო სწორად, **ყველაფერი ჯოჯოხეთურად კუნაპეტი ღამის ხელშია!**



ქოი მეთისი

დაწყებითი სკოლის მოსწავლე

Ერთ პატარა ბიჭს, სახელად ქოის, კაბები, ბრჭყვიალა ფეხსაცმელი და ვარდისფერი უყვარდა.

ქოის ბიჭის ტანსაცმელი არ მოსწონდა. მშობლები ნებას რთავდნენ, ისე ჩაეცვა, როგორც თავად მოისურვებდა.

ერთ ღამით ქოიმ დედას ჰკითხა:

– როდის წამიყვან ექიმთან, რომ, ბოლოს და ბოლოს, გოგოდ ვიქცე?

ექიმი შეეცადა, ქოის მშობლებისთვის აეხსნა, რომ „ჩვეულებრივ, გოგონები კარგად გრძნობენ თავს გოგონებად, ბიჭები კი – ბიჭებად. თუმცა არსებობენ ბიჭები, რომლებსაც გოგოდ ყოფნა ურჩევნიათ და, პირიქით, არსებობენ გოგონები, რომლებიც ბიჭობას ამჯობინებენ. მათ ტრანსგენდერებს უწოდებენ. ქოიც ტრანსგენდერი გოგოა. ის ბიჭად დაიბადა, მა...

გოგოა და ეს არ უნდა ავუკრძალოთ".

იმ დღიდან მოყოლებული, ქოის დედა და მა...

შვილი გოგოდ მოეხსენიებინათ.

მაგრამ როცა ქოი სკოლაში წავიდა, თავი ახალ...

– მან ან ბიჭების საპირფარეშოთი უნდა ისარგ...

ლობების მქონეთა საპირფარეშოში იაროს, – თქ...

– მაგრამ მე ხომ ბიჭი არ ვარ! – შეჰყვირა ქოიმ, ...

ლობები მაქვს!

ქოის მშობლებმა მოსამართლეს მიმართეს. მო...

ყვიტა: „ქოის შეუძლია, ის საპირფარეშო გამოიყენო...

ქოიმ და მისმა მშობლებმა ამის აღსანიშნავა...

ვარდისფერი ტორტი მიირთვეს. ქოის ვარდისფერ...

ვარდისფერი ფეხსაცმელი ეცვა.




## საქართველოში ბავშვებს ტრანს-გენდერულ ძილისპირულს აკითხებენ!

## ეს მომაკვდინებელი ვირუსი უკვე საქართველოშია და ჩვენს შვილებს წამლავს და ჩვენი მომავალი თაობებისათვის ამ მომაკვდინებელი შხამის ამკრძალავი არავინ არის!

***გიორგი გიგაური***

**„ასავალ-დასავალი“ გთავაზობთ ტელე-რადიოკომპანია „ობიექტივის“ მიერ მიხეილ სააკაშვილის შესახებ მომზადებული დოკუმენტური ფილმის საგაზეთო ვერსიას.**

# КИМО სტუდიიდან

## მოზარდთა საერთაშორისო ბანაკი „არტეკი“

ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთ სანაპიროზე მდებარეობს მოზარდთა საერთაშორისო კომპლექსი **„არტეკი“**, რომელსაც ორ წელიწადში, ანუ 2025 წელს, ასი წელი შეუსრულდება. „არტეკს“ დაახლოებით 220 ჰექტარი ტერიტორია უკავია და მასში მოზარდთა და ბავშვთა ათი სხვადასხვა ბანაკია გაერთიანებული.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში „არტეკს“ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი განაგებდა, „არტეკი“ საერთაშორისო ბანაკი იყო და აქ ხშირად ისვენებდნენ ესპანელი, გერმანელი, ფრანგი და ამერიკელი მოზარდებიც კი.

**ცნობისათვის: 1977 წელს „არტეკში“ 27 000 მოზარდი ისვენებდა, ამასთან, 1500 მოზარდი 103 უცხო ქვეყანას წარმოადგენდა. საინტერესოა, რომ სხვადასხვა დროს „არტეკი“ დაათვალიერეს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის მეუღლემ კლემენტინა ჩერჩილმა, ინდოეთის პრემიერ-მინისტრებმა ჯავაჰარლალ ნერუმ და ინდირა განდიმ, ფინეთის პრეზიდენტმა ურჰო კეკონენმა, გამოჩენილმა მეცნიერებმა ოტო შმიდტმა და ბენჯამინ სპოკმა,** სხვა უამრავმა ცნობილმა პერსონამ.

„არტეკში“ მოხვედრა საბჭოთა მოზარდისთვის ადვილი არ იყო, კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს თავ-თავიანთი კვოტები ჰქონდათ გამოყოფილი და მოზარდები „არტეკში“ სწორედ ამ კვოტების ფარგლებში ხვდებოდნენ.

თბილისის პიონერთა სასახლის აღმზრდელ-მასწავლებელი, ქალბატონი **ნათელა ჯაფარიძე** იხსენებს, რომ მიხეილ სააკაშვილი ძალზედ ყოჩაღი პიონერი ყოფილა და თბილისის პიონერთა სასახლეს მოზარდი მიშიკო „არტეკშიც“ გაუგზავნია.

***„მიშიკო ბავშვობიდან ყოჩაღი იყო. „არტეკში“ მყავდა წაყვანილი თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლიდან. მიშა სულ პიონერთა ბანაკებში იზრდებოდა, პატაკებს იძლეოდა ხოლმე დიდებულად, „ჩისტა პიანერსკი“.***

მიხეილ სააკაშვილის იმ მხარდამჭერების საყურადღებოდ, რომლებსაც ყოველივე რუსული სძულთ და რუსულ ენას პრინციპულად არ ეუფლებიან, განვმარტავთ, რომ სიტყვები **„ჩისტა პიანერსკი“** ნიშნავს **„წმინდა პიონერულად“**, ანუ მოზარდი მიშიკო პატაკს დიდძალი პიონერული მონდომებით აბარებდა პიონერხელმძღვანელებს.

სხვათაშორის, თავად ბატონი მიხეილი გვიყვება, რომ სწორედ **„არტეკში“** დასჩემდა პიონერული ყელსახვევის ღეჭვა:

**სააკაშვილის ინტერვიუ გორდონთან:** — ასეთი ჩვევა ჯერ კიდევ „არტეკში“ დამჩემდა. არ ვიყავი გულგრილი პიონერული ყელსახვევისადმი.

როცა ბატონი მიხეილი „კაგებეს“ სასაზღვრო ჯარში მსახურობდა, იგი პიონერული ყელსახვევის ნაცვლად ცხვირსახოცს ღეჭავდა, რასაც მისი ოცმეთაურის მონაყოლიდან ვიგებთ:

**ვალერი მაკაროვი,** ***სააკაშვილის ოცმეთაური:*** **— ჯიბეში უამრავი ცხვირსახოცი ჰქონდა ჩაკუჭული და ცხვირზე მუდმივად ისვამდა. დამახასიათებელი მოძრაობით სულ ცხვირზე ისვამდა ხელს და ამიტომ ცხვირ-პირი ერთიანად დაწითლებული ჰქონდა. შემჩნეული იყო იმაშიც, რომ ამ ცხვირსახოცებს ღეჭავდა.**

პრეზიდენტობის პერიოდში სააკაშვილმა ჰალსტუხიც დაღეჭა და ეს კრიტიკული ვითარებითა და ძლიერი აღელვებით ახსნა. ჩვენ არც ვსაყვედურობთ და არც ვძრახავთ მიხეილ სააკაშვილს. ჩვენ სულ სხვა რამ გვიკვირს: გასაკვირი ისაა, რომ ბატონი მიხეილი ყელსახვევის, ცხვირსახოცისა თუ ჰალსტუხის ღეჭვას კულინარიულ ვნება-წადილს უკავშირებს და ამას ჟურნალ „ჯენტლმენს ქვოთერლის“ ნათლად უხსნის:

***სააკაშვილი:*** *— მისმინეთ, ეს ხომ სისულელეა. უბრალოდ, სასაცილო ჩვევაა. როცა პიონერები ვიყავით, ყველანი ვღეჭავდით ყელსახვევს.*

***ქსენია სობჩაკი:*** *— ჩვენ არ ვღეჭავდით.*

***სააკაშვილი:*** *— ესე იგი, თქვენ განსხვავებული კულინარიული ვნება-წადილი გაქვთ.*

ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბატონი მიხეილი ყელსახვევს, ცხვირსახოცს თუ ჰალსტუხს ხაჭაპურთან ან ხინკალთან აიგივებს.

## КОМСОМОЛЬСКИЙ ПРОЖЕКТОР, ანუ კომკავშირული პროჟექტორი

თბილისის ცენტრში, პეტრე მელიქიშვილის გამზირზე, სახელმწიფო ფილარმონიის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს 51-ე საჯარო სკოლა. სწორედ ეს სკოლა დაამთავრა საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

1981 წლის 21 დეკემბერს მიხეილ სააკაშვილს 14 წელი შეუსრულდა. გავიდა დაახლოებით ორი თვე და 1982 წლის თებერვალში მოზარდი მიშიკო კომკავშირში მიიღეს, რაც საბჭოთა „კაგებეს“ სასაზღვრო ჯარის სააღრიცხვო ბარათშია ასახული.

**ბატონი მიხეილი სკოლაში აქტიური კომკავშირელი იყო, სკოლის კომკავშირის მდივნის მოადგილის პოსტიც ეკავა და გაზეთ „კომკავშირულ პროჟექტორსაც“ ხელმძღვანელობდა.**

**ცნობისთვის: „კომკავშირული პროჟექტორი“ საკავშირო მასშტაბის პროექტი იყო, რომელიც ნაკლოვანებებს, ბიუროკრატიასა და ყოველივე ანტისაბჭოურს ებრძოდა და ამ ბრძოლის შედეგებს უკლებლივ ყველა სკოლა თუ დაწესებულება თავის კედლის გაზეთში ამხელდა.**

საქართველოს ელჩი დიდ ბრიტანეთში, ბატონი **გელა ჩარკვიანი** საბჭოთა ეპოქაში ინგლისური ენის პედაგოგი და მიხეილ სააკაშვილის რეპეტიტორი გახლდათ. თავის წიგნში **„როგორ ვისწავლე და როგორ ვასწავლიდი ინგლისურს“** ბატონი გელა წერს:

*„გაკვეთილზე მუდმივად ვარჩევდით მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. მიშამ ესეც არ იკმარა და თვითონ დაიწყო გაზეთის კეთება. შინ დაამზადებდა, გაკვეთილზე მოიტანდა და მაჩვენებდა. ზოგ საინტერესო ინფორმაციას სხვა წყაროდან გადმოიწერდა, ზოგ წერილს თვითონ წერდა, მათ შორის ფრანგულადაც. ფრანგულს* ***მარა ჭავჭავაძესთან*** *სწავლობდა. გაზეთის ბოლო გვერდის მარჯვენა ქვედა კუთხეში ამაყად მიაწერდა Editor-in chief Mikheil Saakashvili“.*

თავად მიხეილ სააკაშვილიც ადასტურებს, რომ ინგლისურს მას ბატონი **გელა ჩარკვიანი** ასწავლიდა. ამასთან, ბატონი მიხეილის განცხადებები, ჩვენი აზრით, ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის:

**ბატონი მიხეილი თან ამბობს, რომ საბჭოთა კავშირი ძალზედ არათავისუფალი ქვეყანა იყო და კანადელ ტურისტებთან ინგლისურად გამოლაპარაკების გამო სკოლის მოსწავლე მიშიკო, თურმე, საბჭოთა „კაგებეს“ ლამის დაუპატიმრებია.**

***მიხეილ სააკაშვილი:*** *— სკოლიდან წაგვიყვანეს, 51-ე სკოლიდან ექსკურსიაზე. „ინტურისტის“ სასტუმროში ლენინგრადში „პრიბალტიისკაიაში“, ახლა „ნიუ პეტერბურგში“ და ვიღაც კანადელები დავინახე, პირველად დავინახე ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები. გამოველაპარაკე, იმათაც გაუკვირდათ, ყოჩაღ, ბიჭო, საიდან იცი ენა. და ეგრევე ვიღაცები მოვარდნენ, გამათრიეს რაღაც ოთახში, ჩამიტარეს საუბარი — როგორ ბედავ უცხოელებთან კონტაქტში შესვლას, ვინა ხარ... ეგრევე სკოლაში გამოაგზავნეს წერილი.*

**დაუფიქრდით:** 1985 წლამდე სასტუმროების ქსელი „ინტურისტი“ მხოლოდ უცხოელებს ემსახურებოდა და საბჭოთა მოქალაქეების „ინტურისტში“ განთავსება მხოლოდ საბჭოთა „კაგებეს“ ადგილობრივი სტრუქტურების თანხმობით ხდებოდა. 1985 წლის მარტში კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივნად **მიხეილ გორბაჩოვი** აირჩიეს, რომელმაც ყოვლისმომცველი რეფორმები დაიწყო და ამ რეფორმების ფარგლებში „ინტურისტიც“ ხელმისაწვდომი გახდა საბჭოთა მოქალაქეებისთვის. მიხეილ სააკაშვილმა სკოლა 1984 წელს დაამთავრა და ნაკლებ სავარაუდოა, რომ ლენინგრადის „კაგებემ“ თბილისის 51-ე სკოლის მოსწავლეების მთელ ჯგუფს „ინტურისტში“ განთავსების ნება დართო და არც 51-ე სკოლის არქივში იძებნება წერილი, რომელშიც საბჭოთა „კაგებე“ მიხეილ სააკაშვილის რომელიმე საქციელს გმობს. ვფიქრობთ, ასეთი წერილი ნამდვილად რომ ყოფილიყო, ბატონი მიხეილი ამ წერილს თავისი პრეზიდენტობის პერიოდში სკოლის არქივიდან ამოიღებდა და საკუთარი პიარის მიზნით, საჯარო განხილვის საგნად აქცევდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. არ მოხდა იმიტომ, რომ არანაირი წერილი არასდროს არ ყოფილა და მიხეილ სააკაშვილიც ლენინგრადის „ინტურისტში“, უნდა ვივარაუდოთ, სკოლის დამთავრების, ანუ 1985 წლის შემდეგ ცხოვრობდა.

**მიაქციეთ ყურადღება: ამავდროულად ბატონი მიხეილი გვაუწყებს, რომ იგი გელა ჩარკვიანთან ერთად, თურმე, ანტისაბჭოურ გაზეთს უშვებდა, ამასთან ბატონი მიხეილი გელა ჩარკვიანს კომპარტიის პირველი მდივნის შვილად და სტალინისა და ბერიას ოჯახში აღზრდილ ადამიანად მოიხსენიებს.**

***სააკაშვილი:*** *— ცეკას მდივნის შვილი იყო, ბერიას და სტალინის ახლო მეგობრის და ბერიას და სტალინის სახლში იზრდებოდა გელა და ამავე დროს იყო ღრმა ლიბერალური ფასეულობების მატარებელი საბჭოთა კავშირში. და გელასთან ერთად ჩვენ ვუშვებდით ანტისაბჭოთა გაზეთებს, ჟურნალებს, ხელით ვწერდით.*

მიხეილ სააკაშვილი რომ კედლის „კომკავშირულ პროჟექტორს“ ხელმძღვანელობდა, ეს დანამდვილებითაა ცნობილი. ისიც სიმართლეა, რომ ამ გაზეთის ინგლისურ ვერსიას ამზადებდა და **გელა ჩარკვიანთან** მიჰქონდა, მაგრამ ეს გაზეთი რომ ანტისაბჭოური იყო, ანუ 15 წლის მიშიკო და 43 წლის გელა ჩარკვიანი ანტისაბჭოურ გაზეთს ქმნიდნენ, ეს აშკარად ტყუილია, თუმცა, ბატონ მიხეილს ამ ტყუილის თავად სჯერა და აქ საქმე პარამნეზიასთან გვაქვს.

**პარამნეზია — მეხსიერების დარღვევა და გაუკუღმართება, სხვადასხვა დროის ფაქტებისა თუ ფანტაზიების, რეალური თუ მოჩვენებითი მოვლენების აღრევა და ამაში საკუთარი თავის დარწმუნება, ხშირად ამ აღრეულ ფაქტებსა თუ ფანტაზიებში, რეალურ თუ მოჩვენებით მოვლენებში საკუთარი თავის საკვანძო ფიგურად წარმოჩენა.**

საქმე რომ ნამდვილად **პარამნეზიასთან** გვაქვს, არაერთხელ გამოჩნდება მიხეილ სააკაშვილის სხვა მოგონებებიდანაც, ამჯერად კი მხოლოდ ორი მაგალითით შემოვიფარგლებით.

2010 წელს ბატონმა მიხეილმა საზეიმოდ გახსნა საცურაო აუზი „ოლიმპიკი“ და მისასალმებელ სიტყვაში გაიხსენა, რომ მცირე ხნის განმავლობაში წყალბურთის ნაკრების წევრიც ყოფილა.

**IPN-ის პუბლიკაციის ციტატა: 2010 წლის 13 მაისს მიხეილ სააკაშვილმა 5 დეკემბრის ქუჩაზე მდებარე საცურაო აუზი „ოლიმპიკი“ გახსნა. აუზის გახსნაზე მიხეილ სააკაშვილმა გაიხსენა, რომ ცოტა ხნით წყალბურთის ნაკრების წევრი იყო და ამ სპორტით სერიოზულად იყო გატაცებული.**

წყალბურთის ფედერაციის თავმჯდომარე, ბატონი **დავით რურუა** გვიდასტურებს, რომ სააკაშვილს წყალბურთთან შეხება არ ჰქონია.

***ჟურნალისტი:*** *— თქვენ თუ შეგიძლიათ, გაიხსენოთ, წყალბურთის ნაკრებში ოდესმე მიხეილ სააკაშვილს უთამაშია?*

***დავით რურუა:*** *— წყალბურთის მოთამაშე ეგეთი არ მახსოვს და რა ნაკრებზეა ლაპარაკი? ცხონებული* ***ჟვანია*** *რომ მოდიოდა, იქ მოჰყავდა ჟვანიას სააკაშვილი „ლაგუნაზე“. ისე ეხეთქებოდა წყალში, გეგონებოდა, პირველად იყო ჩამხტარი. ნაკრებში, საერთოდ, რა სისულელეა — ყველა ნაკრები მახსოვს და ეგ არა.*

მეექვსე კლასამდე მიხეილ სააკაშვილი **სანდრო ბითაძესთან** ერთად სწავლობდა. სანდრო ბითაძე ნაკრების წევრიც გახლდათ და ცნობილი წყალბურთელიცაა. უნდა ვივარაუდოთ, რომ



გიული ალასანია და „კგბ“-ს სასაზღვრო ჯარის ეფრეიტორი მიხეილ სააკაშვილი



# სააკაშვილის ПЕРВЫЕ

წყალბურთზე საუბრისას მიხეილ სააკაშვილი თავის თავს სანდრო ბითაძესთან აიგივებდა და წლების განმავლობაში ბატონი მიხეილის პარამნეზიამ თავად ბატონი მიხეილი დაარწმუნა, რომ თითქოს იგი ყოფილი წყალბურთელი და ნაკრების წევრია.

## БУДЬ ВЕРЕН ЛЕНИНСКИМ ПРИНЦИПАМ, ანუ უერთგულე ლენინურ პრინციპებს

სკოლა მიხეილ სააკაშვილმა 1984 წელს დაამთავრა და ამავე წელს МГИМО-ში, ანუ **მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტში** აბარებდა, რაზეც მოგვიანებით უფრო დეტალურად ვისაუბრებთ, ახლა კი აღვნიშნავთ, რომ МГИМО-ში ბატონი მიხეილი ვერ მოხვდა, რასაც МГИМО-ში გამეფებული კორუფციით ხსნის, რაც აშკარა ტყუილია.

***სააკაშვილი:*** *— ბიძაჩემმა დაამთავრა „მგიმო“, მაშინ „მგიმო“, საერთოდ, ოცნება იყო. „მგიმოში“ მე არ მიმიღეს...*

***ჟურნალისტი:*** *— სცადეთ და არ მიგიღეს?*

***სააკაშვილი:*** *— ნუ, იქ ისეთი კორუფცია იყო... კორუფცია იყო, იქ პოლიტიკურიც კი აღარ იყო აღარაფერი...*

საიდუმლო არაა, რომ МГИМО საბჭოთა КГБ-ს ზედამხედველობისა და ყურადღების ცენტრში იყო და 1984 წელს კორუფციას იქ ფართო ხასიათი ვერანაირად ვერ ექნებოდა. უბრალოდ, მიხეილ სააკაშვილმა გამსვლელი ქულა ვერ დააგროვა და ამის აღიარება არ სურს.

რადგანაც ბატონი მიხეილი МГИМО-ში ვერ მოეწყო, წესით, საბჭოთა ჯარში უნდა გაეწვიათ, მაგრამ სრულიად ჯადოსნურად ბატონ მიხეილს ჯარში გაწვევა ერთი წლით გადაუვადეს და იგი კვლავ ჯადოსნურად სამედიცინო **პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის კომკავშირის მდივნად** მოგვევლინა.

ამ ახალ ასპარეზზე ბატონმა მიხეილმა ახალი

## МГИМО და КИМО

წელს 79 წელი შეუსრულდება **იოსებ სტალინის** მიერ დაარსებულ **მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტს,** რომელიც ფართო საზოგადოებისათვის МГИМО-ს სახელწოდებითაა ცნობილი.

МГИМО-ზე მხოლოდ ერთი წლითაა უმცროსი და, შესაბამისად, 78 წელი შეუსრულდება კიევის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტს, რომელსაც საზოგადოება КИМО-ს სახელით იცნობს.

საბჭოთა ეპოქაში МГИМО-ც და КИМО-ც საბჭოთა დიპლომატიის სამჭედლო გახლდათ, ამიტომაც ორივე ინსტიტუტი დასავლეთის სპეცსამსახურების საგანგებო ყურადღების ობიექტი იყო, და ამას საფუძვლად საბჭოთა სახელმძღვანელოებში გაწერილი პოსტულატებიც ედო.

***კერძოდ, დიპლომატიის ისტორიის საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელო გვაუწყებს: „საბჭოთა კავშირის დიპლომატიური უწყებები ახორციელებენ სადაზვერვო საქმიანობას სახელმწიფოს, ან ორგანიზაციის ინტერესებში, რომელსაც ისინი წარმოადგენენ. დიპლომატიური დაზვერვა შეიძლება განახორციელონ: სამოქალაქო უწყების დიპლომატებმა, როგორც წესი, საგარეო საქმეთა სამინისტროს კადრის თანამშრომლებმა, ატაშეებმა ან სამხედრო დიპლომატებმა, ჩვეულებრივ, გენერალური შტაბის ან სხვა ანალოგიური უწყების ოფიცრებმა, სპეციალური სადაზვერვო სტრუქტურის თანამშრომლებმა, რომლებიც დიპლომატიური საფარის ქვეშ მუშაობენ. პირებმა, რომლებიც მასპინძელ ქვეყანაში მიიღეს განსაკუთრებული დიპლომატიური სტატუსი, როგორიც არის პირადი დესპანი ან მთავრობის წარმომადგენელი“.***

МГИМО-შიც და КИМО-შიც, ანუ ორივე ინსტიტუტში დაარსების დღიდანვე ფუნქციონირებდა **სამხედრო თარჯიმნებისა და მესაზღვრეების მოსამზადებელი კათედრები,** ამასთან, ორივე კათედრას საბჭოთა КГБ კურირებდა.

ამ კათედრის სასწავლო კურსს МГИМО-სა და КИМО-ს უკლებლივ ყველა სტუდენტი სატომ გასაკვირი არ არის, რომ КИМО-ს პროფესორ-მასწავლებლებში პოლკოვნიკები სჭარბობდნენ გენერლებს, თუმცა, შემადგენლობა აქაც საკმაოდ შთამბეჭდავია.

თვალსაჩინოებისათვის КИМО-ს პროფესორ-მასწავლებლებს შორის გვინდა გამოვყოთ მიხეილ სააკაშვილის რამდენიმე პედაგოგი:

— **გენერალ-მაიორი გლებ ნიკოლაის ძე ცვეტკოვი** — საბჭოთა უკრაინის წარმომადგენელი იუნესკოს აღმასრულებელ კომიტეტში, საფრანგეთში საბჭოთა რეზიდენტურის წევრი და მიხეილ სააკაშვილის სწავლის პერიოდში КИМО-ს ხელმძღვანელი.

— **გენერალ-მაიორი ნიკოლაი გრიგორის ძე მალომუჟი** — საბჭოთა უკრაინის КГБ-ს დაზვერვა-კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსი, მიხეილ სააკაშვილის პედაგოგი, მოგვიანებით არმიის გენერალი და უკრაინის საგარეო დაზვერ-



სიმონ ტერ-პეტროსიანი, იგივე კამო

საქართველოს განათლების ლიგის თავმჯდომარე **მანანა ნიკოლაიშვილი:**

*„საბჭოთა კავშირში, მთელ რიგ სასწავლებლებში ჩარიცხვა შეუძლებელი იყო, თუკი მომავალი სტუდენტის კანდიდატურა შეთანხმებული არ იქნებოდა კომკავშირულ და პარტიულ სტრუქტურებთან.*

*ცხადია, ასეთი იყო მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი, ანუ МГИМО და ასეთი იყო კიევის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი, დღევანდელი КИМО.*

*მიხეილ სააკაშვილი ვერანაირად ვერ ჩაირიცხებოდა კიევის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე, თუკი მისი კანდიდატურა არ იქნებოდა შეთანხმებული კომკავშირის, კომუნისტური პარტიისა და КГБ-ს სტრუქტურებში.*

*გარდა ამისა, აუცილებელი იყო საბჭოთა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიზნობრივი მიმართვა.*

ყოველივე ამის გარეშე სააკაშვილი „კიმოს“ სტუდენტი ვერ გახდებოდა“!

**ვფიქრობთ ნათელია, რომ მიხეილ სააკაშვილმა კომკავშირისა და კომუნისტური პარტიის თანხმობაც მიიღო და დადებითი დახასიათებაც. ამაში მას 51-ე სკოლის კომკავშირის მდივნის მოადგილეობამაც შეუწყო ხელი,** „კომკავშირული პროჟექტორის“ ხელმძღვანელობამაც და **სამედიცინო პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის კომკავშირის მდივნობამაც.**

ხოლო რაც შეეხება КГБ-ს დახასიათებასა და საბჭოთა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიზნობრივ მიმართვას, ეს საკითხები მისმა ღვიძლმა ბიძამ, ქალბატონი გიული ალასანიას ძმამ, ბატონმა **თემურ ალასანიამ** მოუგვარა, რომელიც იმ დროს საბჭოთა КГБ-ს პოლკოვნიკი გახლდათ და საბჭოთა ხელისუფლების მიერ მივლინებული იყო ნიუ-იორკში, გაეროს განიარაღების კომიტეტში.

ამგვარად 1985 წელს მიხეილ სააკაშვილი КИМО-ში, ანუ კიევის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

# კამოს სტადიამდე

კომკავშირული შემართებით გააგრძელა ანტისაბჭოური პარაზიტების მხილება, რასაც **ირმა ცხორაგაულიც** გვიდასტურებს:

*„1985 წლის გაზაფხული იყო. მე-9 კლასის მოწაფე ვიყავი და ამავდროულად დუშეთის რაიონის კომკავშირულ შტაბს ვხელმძღვანელობდი.*

*თბილისში ვიყავი ჩამოსული კომკავშირული ბანაკის ორგანიზებასთან დაკავშირებით და პირველი მაისის კომკავშირის რაიკომში მომიწია მისვლა. საორგანიზაციო განყოფილების ერთ-ერთ ოთახში ვიყავი, როცა უეცრად დაკაკუნების გარეშე შემოვიდა მიხეილ სააკაშვილი.*

*ცხადია, მაშინ არ ვიცოდი, ვინ იყო, თუმცა, მხოლოდ წლების შემდეგ გავიხსენე, როცა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა.*

*მაშინ ბატონი მიხეილი რომელიღაც ინსტიტუტის კომკავშირის მდივანი იყო და იმ კომკავშირელების სია მოიტანა, რომლებიც, თურმე, აღდგომის დღესასწაულზე ეკლესიაში ყოფილან.*

*მართალია, მაგ დროს ეკლესიაში ხალხი იშვიათად დადიოდა, მაგრამ ეს იყო პერიოდი, როცა ეკლესიაში სიარულს აღარავის უშლიდნენ და კომკავშირი ამგვარ ამოცანებს აღარ სახავდა“.*




საინტერესოცაა და ნიშანდობლივიც, რომ 28 წლისთავზე ბატონი მიხეილი საკუთარ თავს იმ ახალგაზრდების რიგებში ასახელებს, რომლებსაც, თურმე, ეკლესიაში სიარულის გამო იჭერდნენ.

**სააკაშვილი:** — 70-იან წლებში ჩვენ გვიჭერდნენ კომკავშირელები, თუკი ეკლესიაში შევდიოდით...

ნათელია, რომ კვლავ **პარამნეზიასთან** გვაქვს საქმე. მიხეილ სააკაშვილი 13 წლის 1980 წელს გახდა. შესაბამისად, 70-იან წლებში იგი პიონერი იყო და კომკავშირელი მხოლოდ 1982 წლის თებერვალში გახდა. არც პიონერი სააკაშვილი და არც კომკავშირელი სააკაშვილი არავის და არასდროს დაუჭერია ეკლესიაში სიარულის გამო. **ბატონმა მიხეილმა კი ეკლესიაში მოსიარულე კომკავშირელები რაიკომში დაასმინა, თანაც, მაშინ, როცა ამას არავინ მოითხოვდა.**

ვალდებულოდ გადიოდა და, როგორც წესი, ინსტიტუტს, სულ ცოტა, უმცროსი ლეიტენანტის წოდებით მაინც ამთავრებდა.

სწორედ ამიტომ, დასავლეთის სპეცსამსახურებს მიაჩნდათ, რომ:

**ჯერ ერთი, უკლებლივ ყველა საბჭოთა დიპლომატი ერთმანეთს უთავსებდა დიპლომატიურ და სადაზვერვო საქმიანობას და მეორეც, დასავლეთი თვლიდა, რომ თარჯიმნებსა და ტექნიკურ მუშაკებს თითქოსდა შეუმჩნეველი, მაგრამ ფასდაუდებადი წვლილი შეჰქონდათ დაზვერვისა და კონტრდაზვერვის საქმეში.**

ელენე, იგივე **ლიაკა ხოშტარიასადმი** მიძღვნილი ფილმის პირველ სერიაში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ МГИМО-ში ასზე მეტი გენერალი კითხულობს ლექციებს და ათი მათგანი დავასახელეთ კიდეც, რათა მაყურებლისათვის მკაფიო წარმოდგენა შეგვექმნა МГИМО-ზე, როგორც სპეციფიკურ უმაღლეს სასწავლებელზე.

აღსანიშნავია, რომ КИМО პოპულარობითაც და რანგითაც МГИМО-ს ჩამოუვარდებოდა, ამივის ხელმძღვანელი.

— **გენერალ-მაიორი ვასილ აკიმის ძე ტარასენკო** — ამერიკაში საბჭოთა ექსრეზიდენტი, საბჭოთა უკრაინის წარმომადგენელი გაეროს უშიშროების საბჭოში და მიხეილ სააკაშვილის პედაგოგი.

— **კონტრადმირალი გრიგორი ნიკოლაის ძე პერეპელიცა** — წყნარ ოკეანეში საბჭოთა საზღვაო ძალების ოპერატიულ-სტრატეგიული ქვედანაყოფის უფროსის მოადგილე, მიხეილ სააკაშვილის პედაგოგი, მოგვიანებით საგარეო პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი.

— **პოლკოვნიკი ვოლოდიმირ მიხეილის ძე ლიტვინი** — КГБ-ს კონტრდაზვერვის სამსახურის მაღალჩინოსანი, თანამდებობა დღემდე გასაიდუმლოებულია, ატარებდა ოპერატიულ ფსევდონიმს — მოხუცი, სააკაშვილის პედაგოგი, მოგვიანებით უკრაინის მეექვსე მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე. ნიშანდობლივია, რომ **ლიტვინის** ერთი ძმა არმიის გენერალია, მეორე კი — გენერალ-ლეიტენანტი.

# ШАГИ - პირველი ნაბიჯები

## МГИМО-ს ნაცვლად КИМО-ში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, МГИМО-ში მიხეილ სააკაშვილი ვერ მოეწყო და ერთი წლისთავზე, ანუ 1985 წელს მან კიევისკენ აიღო გეზი.

## ეროტიკულ-ბოევიკური ფანჯარა ევროპაში

КИМО-ში სწავლის პერიოდში საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** უკრაინის მომავალი პრეზიდენტი **პეტრო პოროშენკო** გაიცნო.

ბატონი პეტრო უკვე მაშინ იყო გამსჭვალული ბიზნეს-იდეებით და სტუდქალაქში პატარა ვიდეოსალონიც კი მოაწყო. იგი სტუდენტებს თითო მანეთს ახდევინებდა და ვიდეოკასეტებზე ჩაწერილ ეგრეთ წოდებულ ბოევიკებსა და ეროტიკულ ფილმებს უჩვენებდა. ამას თავად მიხეილ სააკაშვილიც გვიყვება.

**სააკაშვილი:** — პოროშენკოს ვიდეოსალონი ჰქონდა ლომონოსოვის პროსპექტზე, სადაც ვიდეოფილმებს უშვებდნენ — **„ემანუელა 2“-სა და „კობრა“-ს.** დიდი ბიზნესი ჰქონდა. ბილეთი მანეთი ღირდა.

ნიშანდობლივია, რომ მიხეილ სააკაშვილმა ეროტიკული ფილმი **„ემანუელა“** და ბოევიკი **„კობრა“** აღიქვა, როგორც ფანჯარა ევროპაში.

**სააკაშვილი:** — მე ვიცნობ პოროშენკოს თითქმის 30 წელიწადია. ჩვენ ერთად ვსწავლობდით კიევის ეროვნულ უნივერსიტეტში. მას შემდეგ, რაც ჩვენ ვესტუმრეთ ვიდეოსალონს, რომელიც ჩვენს საერთო საცხოვრებელში მდებარეობდა, პოროშენკომ გადაწყვიტა თავისი ბიზნესის დაწყება. ეს იყო მიხეილ გორბაჩოვის გარდაქმნების პერიოდი. ეს სალონი იყო ფანჯარა დასავლურ კულტურაში.

ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **ამ ფილმებმა ბატონი მიხეილის ცნობიერება აადუღა და სწორედ ამ დროს, როცა ბატონი მიხეილის ცნობიერება ეროტიკულ-ბოევიკურად დუღდა, ნიუ-იორკიდან ბიძამისი, ბატონი თემურ ალასანია ჩამოვიდა და მიხეილ სააკაშვილს ვიდეოკამერაც აჩუქა.**

ბატონ მიხეილს რომ მსახიობობისა და რეჟისორობისადმი მიდრეკილება ჰქონდა, ამას თავად აცხადებს. ინტერნეტ-მედია გვერდმა „for.ge“ 2012 წელს ბატონი მიხეილის მოგონებანი გამოაქვეყნა, საიდანაც ვიგებთ, რომ მეათეკლასელ მიშიკოს დეპუტატის როლი უთამაშია მხატვრულ ფილმში **„გამოგონილი სამყარო“.**

ჟურნალ „ჯენტლმენს ქვოთერლის“ კი ბატონმა მიხეილმა აუწყა, რომ იტალიურმა ტელესერიალმა „რვაფეხამ“ იგი ძალზედ შთააგონა და მან თავად გადაიღო ფილმი თბილისის მაფიაზე. ამასთან, ბატონი მიხეილი დასძენს, რომ პორნოფილმები მას არასდროს გადაუღია.

**ინტერვიუ ქსენია სობჩაკთან. სააკაშვილი: „პორნო არ გადამიღია, მაფიის მამხილებელ პატიოსან პოლიციელზე კი გადავიღე. იყო**

გაგრძელება 24-ე გვერდზე

დასაწყისი 22-ე გვერდზე

**ასეთიც. კომისარ კატანის შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი“.**

ბატონი მიხეილი სხვა ინტერვიუებშიც გვამცნობს, რომ 17 წლის ასაკში, ანუ 1984 წელს, იგი „რვაფეხას“ მსგავს ფილმებს იღებდა. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც პარამნეზიასთან გვაქვს საქმე.

ტელესერიალი **„რვაფეხა“** იტალიის ეკრანებზე 1984 წელს გავიდა და იმ წლებში არც ინტერნეტი არსებობდა და არც სოციალური ქსელები. ამგვარად „რვაფეხას“ შესახებ საბჭოთა მოქალაქეებმა 1986 წლის 30 ივლისამდე არაფერი იცოდნენ, ვიდრე ეს სერიალი საბჭოთა ეკრანებზე არ გამოვიდა. ეს ინფორმაცია კი ცხადყოფს, რომ ამ ტელესერიალით შთაგონებული სააკაშვილი საკუთარი „ბოევიკის“ გადაღებას 1986 წლის აგვისტომდე ვერ დაიწყებდა. ამ დროს კი იგი უკვე КИМО-დან გარიცხულიც იყო, КГБ-ს სასაზღვრო ჯარში მსახურობდა, სადაც, ცხადია, ვერანაირ ბოევიკს ვერ გადაიღებდა.

არც ისაა სიმართლე, რომ ბატონი მიხეილი პორნოფილმს არ იღებდა. **მიხეილ სააკაშვილი მეგობრებთან ერთად თანაკურსელ გოგონებს ეპატიჟებოდა და იმ დროს მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში ძალზედ პოპულარული საბჭოთა წარმოების ვისკითა და ჯინით უმასპინძლდებოდა, შემდეგ კი ვიდეოკამერის წინ აშიშვლებდა, რასაც მისი თანაკურსელი, ქალბატონი ნადეჟდა საჯაროდ ადასტურებს.**

***ნადეჟდა:*** *— მიშას დარწმუნების უნარი ჰქონდა. როცა მივედი, ვიფიქრე, ბიჭებს ჩემთვის ფოტოების გადაღება უნდოდათ. იყო ვისკი, ჯინი, მოსაწევი ჰქონდათ შეკეთებული. საინტერესო იყო, ახალგაზრდები ვიყავით. მერე კი დაიწყო: შებრუნდი, შემოტრიალდი, ბლუზა გაიხადე, ბიუსტჰალტერი შეიხსენი...*

პორნოგრაფიისადმი პათოლოგიურად მიდრეკილი სააკაშვილი **პრეზიდენტობის პერიოდში პატიმრებს აუპატიურებინებდა და ამის ამსახველი კადრების ვიდეოთეკას ქმნიდა,** რაზეც მომდევნო სერიებში დაწვრილებით ვისაუბრებთ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ინტერნეტ-მედია გვერდმა „for.ge“ მიხეილ სააკაშვილის მოგონებები გამოაქვეყნა და ამ მოგონებებში ბატონი მიხეილი გვაუწყებს, რომ უკრაინაში ჩასვლისთანავე იგი უკრაინის სახალხო მოძრაობა **„რუხში“** გაწევრიანდა და ქართული სათვისტომო დააარსა, მაგრამ არც ეს ამბავია სიმართლე, რამეთუ უკრაინის სახალხო მოძრაობა „რუხი“ დაარსდა 1989 წლის 8 სექტემბერს. მიხეილ სააკაშვილი კი კიევში 1985 წლის ზაფხულში ჩაბრძანდა. არც სათვისტომოების ამბავია სიმართლე. საბჭოთა სახელმწიფო სათვისტომოების ჩამოყალიბებას კრძალავდა და ინიციატორებს КГБ აპატიმრებდა. ამიტომაც სათვისტომოების ჩამოყალიბება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო, უკრაინაში კი სათვისტომოს საფუძველი საერთოდ 1995-96 წლებში ჩაეყარა და მიხეილ სააკაშვილს ამასთან საერთო არაფერი ჰქონდა.

**ვფიქრობთ, ამ ფილმში წარმოდგენილი მასალები ცხადყოფს, რომ მიხეილ სააკაშვილი კიევში 1985 წლის ივლისში ჩაბრძანდა და КИМО-ში მოეწყო, სადაც მან უკრაინის მომავალი პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო გაიცნო.** ბატონი პეტრო კიევში КИМО-ს სტუდქალაქში ფარულ ვიდეოსალონს ამუშავებდა. 1986 წლის 9 იანვარსა და 7 აპრილს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ, ხოლო 1986 წლის 23 აგვისტოს საბჭოთა უკრაინის მინისტრთა საბჭომ არალეგალური ვიდეოსალონების მუშაობა დააკანონა და ბატონი პეტროს ვიდეოსალონიც ლეგალურად ამუშავდა. 1985 წლის შემოდგომაზე ან 1986 წლის დასაწყისში მიხეილ სააკაშვილის ბიძამ, ბატონმა თემურ ალასანიამ მიშიკოს ვიდეოკამერა აჩუქა და მიშიკომ ეროტიკული ფილმის გადაღება დაიწყო.

კინოს საბჭოთა ენციკლოპედიიდან ვიგებთ, რომ 1986, 1987 და 1988 წლებში საბჭოთა ძალოვანები მკაცრად ებრძოდნენ ეროტიკულ და პორნოფილმებს.

***ციტატა:*** *„პორნოზე ნადირობა“ 1985 - 1986 წლებში გაიხსნა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ „პორნოგრაფიული“ ფილმების სია შეადგინა, რომელიც დროდადრო ივსებოდა. „დამნაშავეებს“ ისინი ფაქტზე იჭერდნენ: სადარბაზოში ელექტროენერგიას თიშავდნენ, კასეტა ვიდეომაგნიტოფონში იჭედებოდა და მისი ამოღება მოწმეების თანდასწრებით ხდებოდა. საბჭოთა კავშირში ვიდეოს არსებობის პირველ წლებში რამდენიმე ათასი ადამიანი გაასამართლეს“.*

თავად ბატონი მიხეილი გვიყვება, რომ იგი დისიდენტი არ იყო, თუმცა, КГБ-მ გადაწყვიტა მისი დაპატიმრება და კურსელებიც დაკითხა.

***სააკაშვილი: — მე არაფერი დიდი დისიდენტი არ ვიყავი, თუმცა, რა თქმა უნდა, ბავშვობიდან მაინტერესებდა პოლიტიკა, თავისუფალი ვიყავი და ჩემი პრაქტიკულად დაპატიმრება იყო გადაწყვეტილი.***

ამ დაკითხვების რეალურ მიზეზს ბატონი მიხეილი მალავს, რეალური მიზეზი კი ეროტიკული ფილმის გადაღება იყო. **1986 წლის მარტში პორნოგრაფიული ფილმის გადაღების გამო მიხეილ სააკაშვილი სკანდალში გაეხვა. დაიწყო გამოძიება და მისი თანაკურსელების დაკითხვა.** ამასობაში მიხეილ სააკაშვილმა პირველი კურსი დახურა და მეორეზე გადავიდა, თუმცა, **პორნოსკანდალის გამო მომავალი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კომკავშირიდანაც გარიცხეს და ინსტიტუტიდანაც. გარიცხეს პორნოფილმის გადაღების გამო.** პატიმრობას ბატონი მიხეილი გადაურჩა. გადაურჩა იმიტომ, რომ ბიძამ, ბატონმა **თემურ ალასანიამ** КГБ-ს სასაზღვრო ჯარში გაუშვა.



# КИМО სტუდიიდან



## СОВЕТСКИЙ ПОГРАНИЧНИК, ანუ საბჭოთა მესაზღვრე

საბოლოო ჯამში, კომკავშირიდან და ინსტიტუტიდან გარიცხული და, თავად სააკაშვილის თქმით, КГБ-სგან ვითომ დევნილი სააკაშვილი 1986 წელს სწორედ КГБ-ს სასაზღვრო ჯარში აღმოჩნდა ბიძამისის, КГБ-ს მოქმედი პოლკოვნიკის, ბატონი **თემურ ალასანიას** ხელშეწყობით. ბიძა რომ დაეხმარა, ამას ბატონი მიხეილი თავად ადასტურებს.

***სააკაშვილი:*** *— ვიყავი სასაზღვრო ჯარში, რაც თავისთავად მაღალი... სასაზღვრო ჯარში ისე ვერ მოხვდებოდი. იქაც ნაცნობობით... მოკლედ, შედარებით უკეთესი პირობები იყო.*

1986 წლიდან მიხეილ სააკაშვილი **საბჭოთა უკრაინისა და სოციალისტური უნგრეთის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე** მსახურობდა. რამდენიმე თვეში იგი კომკავშირში აღადგინეს, 1987 წლის 2 თებერვალს კი ეფრეიტორის წოდებაც მიანიჭეს და მალევე კიევის ბორისპოლის აეროპორტის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე გადაიყვანეს. **ბორისპოლის აეროპორტის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე სამსახურისას ბატონი მიხეილი კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატიც გახდა.**

ბატონი მიხეილის ოცმეთაური **ვალერი მაკაროვი** გვამცნობს, რომ სააკაშვილი სპორტულ ღონისძიებებს თავს არიდებდა და ცხვირსახოცის ღეჭვით ერთობოდა. იგი საკმაოდ არაორგანიზებული და მოუწესრიგებელი იყო, თუმცა, გავლენიანი მფარველები ჰყავდა და მათი მფარველობით ეფრეიტორობაც მიიღო.

***მაკაროვი: — შემჩნეული იყო ცხვირსახოცის ღეჭვაში. ფეხბურთის მოედანზე მას ვერასდროს ნახავდით. ასეთი კაცი, საერთოდ, როგორ გამოაგზავნეს? სხვა ჯარისკაცებს ჩამორჩებოდა, მაგრამ მფარველები ჰყავდა და ეფრეიტორის წოდებაც მიანიჭეს“.***

მაყურებლის საყურადღებოდ, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ კომკავშირიდან და ინსტიტუტიდან გარიცხული და КГБ-სგან ვითომ დევნილი სააკაშვილი, სწორედ КГБ-ს ჯარში ყოფნისას კომკავშირშიც აღადგინეს, კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატიც გახადეს და ეფრეიტორის ჩინიც მიანიჭეს.

საინტერესოა, რომ 2020 წელს, უკრაინის მესაზღვრეთა ქუდში გამოწყობილმა მიხეილ სააკაშვილმა უკრაინელ მესაზღვრეებს 28 მაისი მიულოცა, ანუ ძველად **საბჭოთა მესაზღვრის,** ამჟამად კი **რუსი მესაზღვრის** დღე. დამაფიქრებელია ისიც, რომ ფოტოზე ბატონ მიხეილს ხელში ზუსტად ისეთივე სამხედრო ნიჩაბი უჭირავს, როგორითაც 9 აპრილს მომიტინგეები დაჩეხეს.

## ХОЧУ СЛУЖИТЬ КГБ, ანუ მინდა ვემსახურო „კაგებეს“

1988 წელს მიხეილ სააკაშვილი ჯარიდან დაბრუნდა როგორც დაღვინებული კომკავშირელი, დაბრუნდა როგორც კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი, დაბრუნდა როგორც КГБ-ს სასაზღვრო ჯარების ეფრეიტორი და ცხადია, კვლავ ბიძამისის, КГБ-ს პოლკოვნიკის, ბატონი **თემურ ალასანიას** ძალისხმევით იგი КИМО-ს სტუდენტად აღადგინეს.

**ამ პერიოდში სტუდენტებთან, ასპირანტებსა და პედაგოგებთან დაზვერვა-კონტრდაზვერვის კუთხით მუშაობდა საბჭოთა** КГБ-ს **გენერალ-მაიორი ნიკოლაი გრიგორის ძე მალომუჟი, რასაც თავადვე ადასტურებს.**

***გორდონი:*** *საბჭოთა დროს თქვენ საკავშირო „კგბ“-ს ერთ-ერთი წარმომადგენელი იყავით, კიევის უნივერსიტეტში. ეს უკრაინის მთავარი უნივერსიტეტია, ყველაზე პრესტიჟული, ყველაზე ძლიერი და თქვენ იქ კავშირს ამყარებდით სტუდენტებთან და მასწავლებლებთან.*

***მალომუჟი:*** *მიმართულება, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, რა თქმა უნდა, დაზვერვა და კონტრდაზვერვა იყო. იქ 102 ქვეყნის სტუდენტები, ასპირანტები და მასწავლებლები იყვნენ.*

ამ პერიოდში, **ნიკოლაი მალომუჟი** საბჭოთა უკრაინის „კაგებეს“ დაზვერვა-კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსი გახლდათ და, როგორც თავად ამბობს, სტუდენტების შერჩევაც ამ საქმიანობისთვის ხდებოდა. ცხადია, ყველა შერჩეულმა სტუდენტმა მზვერავად ვერ ივარგა, თუმცა, ბევრმა დიდი თანამდებობა დაიკავა, ზოგიერთი კი, მათ შორის სააკაშვილი და პოროშენკო — პრეზიდენტიც გახდა.

***მალომუჟი:*** *ჩვენ ვარჩევდით კადრებს დაზვერვისა და კონტრდაზვერვისთვის წამყვანი უნივერსიტეტებიდან. შევჩენკოს უნივერსიტეტში იყო საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, აი, ეს კონტინგენტი, მათ შორის პოროშენკო, სააკაშვილი და მრავალი სხვა, ჩვენს მიერ განიხილებოდნენ, როგორც დაზვერვის მომავალი ოფიცრები, პირველ რიგში, მუშაობის თვალსაზრისით. არა იმდენად აგენტებად, არამედ სადაზვერვო ან კონტრდაზვერვითი საქმიანობისთვის, მაგრამ უფრო მეტად — დაზვერვისთვის. ამიტომ, ყველას შესწავლა ხდებოდა, ყველამ ვერ ივარგა, ზოგიერთი მათგანი მზვერავად ვერ შედგა, მაგრამ სხვა თანამდებობებზე წავიდნენ, მათ შორის პრეზიდენტის თანამდებობაზე.*

1991 წელს საბჭოთა კავშირი დაიშალა. **გენერალ-მაიორი მალომუჟი** ადასტურებს, რომ მიხეილ სააკაშვილთან ჯერ საბჭოთა КГБ მუშაობდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი უკრაინის უშიშროების სამსახური. მეტიც, **მიხეილ სააკაშვილმა** მომზადების სრული კურსი გაიარა და შესაბამისი რეკომენდაციებიც მიიღო, რათა ისინი საქართველოს უშიშროების კომიტეტში წარედგინა, ეს კი ნიშნავს, რომ სააკაშვილს, სულ მცირე, ლეიტენანტის წოდება მაინც მიანიჭეს, ანუ საქართველოს იგი КГБ-ს ოფიცრად დაუბრუნდა, თუმცა, საქართველოში ამ დროს არეულობა დაიწყო და მიხეილ სააკაშვილმა საზღვარგარეთ გააგრძელა სწავლა.

***გორდონი:*** *მუშაობდა თუ არა „კგბ“ პოროშენკოსთან და სააკაშვილთან?*

***მალომუჟი:*** *თავდაპირველად მათთან საბჭოთა КГБ-ს უკრაინული ქვედანაყოფები მუშაობდნენ. როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, უკრაინის უშიშროების სამსახურმა გააგრძელა. სააკაშვილმა ყველა ეტაპი გაიარა, მიიღო რეკომენდაციები საქართველოს КГБ-სთვის, მაგრამ საბჭოთა კავშირი დაიშალა, საქართველოში არეულობა დაიწყო, სააკაშვილი პოლიტიკაში წავიდა, საზღვარგარეთ გაემგზავრა, იქ ისწავლა და ბოლოს პრეზიდენტი გახდა.*

## ХОЧУ СЛУЖИТЬ И ЦРУ, ანუ მინდა ვემსახურო ამერიკის დაზვერვასაც

1990-1995 წლებზე ბატონი მიხეილი უამრავ ინტერვიუში საუბრობს, და მრავალ ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიას ავითარებს. მოვისმინეთ რა ეს ვერსიები, კვლავ დავრწმუნდით, რომ **პარამნეზიასთან** გვაქვს საქმე.

ერთი მხრივ, ბატონი მიხეილი გვამცნობს, რომ 1990 წელს იგი, თურმე, ჰააგაში მიიწვიეს და

# სააკაშვილის ПЕРВЫЕ

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის ნებართვით გაუშვეს.

*__სააკაშვილი:__ ჰააგაში მოვიგე კონკურსი და იქ გორბაჩოვის ნებართვა... უფრო სწორად, როგორ იყო, იცი, საქმე? „პრავდამ“ გამოაცხადა კონკურსი გაეროს საუკეთესო მცოდნეზე და ისევ არ გამიშვა უკრაინამ, უკრაინის ცეკას უნდა გაეშვი — წარმოიდგინე, რამდენი პროცედურა იყო საზღვარგარეთ გასვლაზე! ერთი წელი უნდა გეგროვებია საბუთები. გორბაჩოვის ნებართვით გამიშვეს, რატომ — იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის გაეროს ასოციაციის თავმჯდომარე იყო არბატოვი და უთხრა, სირცხვილია, ამერიკელებთან ერთად ვართ, ამერიკელების მიწვევაა და ეხლა ატეხავენ ერთ ამბავსო. და გენერალური მდივნის ხელმოწერა დაჭირდა, რომ სტუდენტი გაეშვათ. წარმოიდგინეთ, როგორი ქვეყანა იყო.*

არადა, **გენერალ მალომუჟის** განცხადებები, რაც უკვე მოვისმინეთ, ცხადყოფს, რომ არც 1990, არც 1991 და არც 1992 წლის ზაფხულამდე მიხეილ სააკაშვილი არსად წასულა. ამ პერიოდში იგი КИМО-ში სწავლობდა და, პარალელურად, საბჭოთა უკრაინის КГБ-ს ქვედანაყოფებში სპეცმომზადებას გადიოდა. მეორე მხრივ, **ბატონი მიხეილი გვარწმუნებს, რომ 1992-93 წლებში იგი ტყვეების გაცვლაში მონაწილეობდა და ამის გამო უარი ჰარვარდში სწავლაზეც კი თქვა.** იძულებული ვართ, აღვნიშნოთ, რომ ეს განცხადებებიც აშკარა ტყუილია.

*__სააკაშვილი:__ — პირველად 92 წელს მოვიგე მასკის პროგრამა და უნდა წავსულიყავი ჰარვარდში — ამირჩია ჰარვარდმა. ომი იყო აფხაზეთში, მე დავდიოდი ხშირად __გია ბარამიძესთან__ ერთად და ვმუშაობდი ტყვეების გაცვლაზე. მაშინ მეორე მხრიდან იყო __ანქვაბი, ალიკა ანქვაბი,__ რომელმაც მერე კარიერა გაიკეთა. სხვათაშორის, ალიკა კარგად მახსენდება. ერთხელ საერთოდ გადაგვარჩინა სიკვდილს გუდაურში (?), დაჭერას მინიმუმ... და ბევრი ხალხი გამოვიყვანეთ. __გია ბარამიძე__ იყო ძირითადი, მე ჩემ თავზე ბევრს ვერ ავიღებ, მაგრამ ამ ტყვეების გაცვლაზე*

*__ჟურნალისტი:__ — მიხეილ სააკაშვილი ოდესმე თუ მონაწილეობდა ტყვეთა გაცვლაში?*

*__ილია გუნია:__ — არასდროს მსმენია ამის შესახებ. პირველად მესმის ამგვარი რამ.*

**ამგვარად ნათელია, რომ საქმე მართლა პარამნეზიასთან გვაქვს, სიმართლე კი ისაა, რომ 1993-1995 წლებში, მიხეილ სააკაშვილმა ჯერ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის რამდენიმეთვიანი კურსი გაიარა, შემდეგ ნიუ-ორკში კოლუმბიის უნივერსიტეტის ერთწლიანი მაგისტრატურა დაამთავრა და ბოლოს, ვაშინგტონის უნივერსიტეტში ლექციების კურსი უბრალოდ მოისმინა.**

გენერალი **ნიკოლაი მალომუჟი** ნათლად

## გამოყენებით, მათი დაწინაურება უმაღლეს ეშელონებში.

***მართლაც, ისინი ძალიან მნიშვნელოვან თანამდებობებს იკავებდნენ. ერთი მხრივ, მათ მხარს უჭერენ რუსული სპეცსამსახურები. მეორე მხრივ ამერიკელი პოლიტიკოსები და სპეცსამსახურები ხელს უწყობენ მათ დაწინაურებას უმაღლეს დონეზე, ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, ხელმძღვანელ თანამდებობებზე, სპეცსამსახურებში, თავდაცვის სამინისტროში და დეპუტატთა კორპუსში.*** *ჩვენ სრულად ვაფიქსირებდით ყველა მათ მოქმედებას, მათ შორის, რამდენს უხდიდნენ არა მარტო რუ-*




# კამოს სტადიამდე

*ვმუშაობდი. ამიტომ არ წავედი, მიუხედავად იმისა, რომ ოცნება იყო ჰარვარდი, ვთქვი, რომ ახლა არ შემიძლია ჩემი ქვეყნის დატოვება.*

**მალხაზ თოფურია,** რომელიც მართლაც უშუალოდ მონაწილეობდა ტყვეების გაცვლაში ცალსახად აცხადებს, რომ სააკაშვილი არასდროს მონაწილეობდა ტყვეების გაცვლაში, და საერთოდ არ ჰქონია არანაირი კავშირი აფხაზეთის ომთან.

**ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ექსუფროსი მალხაზ თოფურია:**

*—აფხაზეთში კონფლიქტი 14 აგვისტოს დაიწყო. ორი კვირის თავზე, 28 აგვისტოს პირველად გაიცვალა ტყვეები. მას შემდეგ ეს პროცესი მუდმივად მიმდინარეობდა. ქართული მხრიდან ტყვეთა გაცვლაში მონაწილეობდნენ გენერალი __გიორგი ყარყარაშვილი, პაატა ზაქარეიშვილი, სოსო მარგიშვილი, კიმ ჯაჭვლიანი, აკაკი ბასვიანი, ზვიად მირგატია__ და მე, __მალხაზ თოფურია.__ აფხაზთა მხრიდან, შესაბამისად, __ბესლან კობახია, ალექსანდრე ანქვაბი, ალექსანდრე ზანთარია, ჯემალ სმირი__ და კიდევ სხვა პირები. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ომის არცერთ ეტაპზე, არც ომის შემდგომ, არასოდეს მიხეილ სააკაშვილს ტყვეთა გაცვლაში მონაწილეობა არ მიუღია.*

**ბესლან კობახიას,** რომელიც აფხაზთა მხრიდან ტყვეთა გაცვლას ხელმძღვანელობდა, საერთოდ არ ახსოვს მიხეილ სააკაშვილის რაიმე მონაწილეობა ტყვეთა გაცვლაში.

*__ჟურნალისტი:__ — მიხეილ სააკაშვილი ირწმუნება, რომ ტყვეთა გაცვლაში მონაწილეობდა.*

*__ბესლან კობახია:__ — ჩემს მეხსიერებაში მე არ მახსოვს, რომ მიხეილ სააკაშვილს საერთოდ რაიმე მონაწილეობა მიეღოს ამ საქმეებში.*

ილია გუნიაც მონაწილეობდა ტყვეთა გაცვლაში და არც მას სმენია მიხეილ სააკაშვილის ტყვეთა გაცვლაში რაიმე მონაწილეობის შესახებ.


სიმონ ტერ-პეტროსიანი, იგივე კამო

გვიხსნის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის КГБ თავის პერსპექტიულ აგენტებს ჯერ ანტისაბჭოურ პატრიოტებად წარმოაჩენდა, შემდეგ კი სხვადასხვა გზებით ამერიკის სპეცსამსახურების ყურადღების ცენტრში აქცევდა. როდესაც ამერიკის სპეცსამსახურები ასეთ ხალხს ავებროვკებდნენ, ეს ადამიანები, ფაქტობრივად, ორმაგი აგენტები ხდებოდნენ, თუმცა, მეტ გავლენას რუსეთი ინარჩუნებდა.

*__მალომუჟი:__ — ფარული აგენტურის დიდი ნაწილი შენარჩუნდა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. შენიღბვის მკაფიო გეგმა შემუშავდა: __მაგალითად, თუ სპეცსამსახურში იყო ადამიანი, ან სამხედრო ლიდერი იყო, ან პოლიტიკოსი, როგორ შევნიღბოთ? — როგორ და პატრიოტებად წარვუდგინოთ ჩვენს ამერიკელ კოლეგებს და ამერიკელებიც ამბობდნენ — დიახ, ეს ბიჭები მხარს უჭერენ საკუთარ ქვეყანას, მათ ჩვენ ვაკონტროლებთ და შევძლებთ მათთან მუშაობას.__*

## ეს იყო რუსების ძალიან წარმატებული სქემა – ამერიკელებთან მათი ჩანერგვა და შემდეგ ამერიკელების გავლენის

*სები, არამედ ამერიკელებიც. ისინი ორმაგი აგენტები იყვნენ, რაც ძალიან მოსახერხებელია, თუმცა, მთავარი ფორმატი და ცენტრი მაინც რუსეთში იყო, რადგან ეს მოდელი რუსებმა შეიმუშავეს და ამაში ამერიკელებიც გამოიყენეს, მათი ხელით აკეთებდნენ ამას...*

*__პირველი სქემა, როგორც უკვე ვთქვი, არის აგენტების ამერიკელების გავლენის ქვეშ მოქცევა და შემდეგ მათი პოზიციიდან დაწინაურება — ეს არის ისეთი შენიღბვა, რომ ისინი თითქოს არა პრორუსულები, არამედ პროდასავლურები არიან.__ მეორე სქემით მათი მატერიალური დაინტერესება ხდებოდა. ყველა მათგანის, მათ შორის პრეზიდენტების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელების, მოადგილეების და, რა თქმა უნდა, მინისტრთა კაბინეტისა და სხვა უწყებების მაღალი თანამდებობის პირების უაღრესად სერიოზული დაფინანსება ხდებოდა. პირდაპირ გეტყვით — ფულით ცდუნებას ვერავინ გაუძლო. ვერავინ!*

ამგვარად, **არმიის გენერალი მალომუჟი სრულიად გასაგებად გვიხსნის, რომ მიხეილ სააკაშვილი პროამერიკულად შენიღბული და პრორუსულად მოაზროვნე ორმაგი აგენტია. მას საბჭოთა КГБ-ს ჩინიც აქვს და ამერიკის დაზვერვის ოფიცერიცაა.** ვფიქრობთ, ქალბატონი **ელენე ხოშტარიასადმი** მიძღვნილ ჩვენს ფილმში ჩვენ ნათლად დავანახეთ საზოგადოებას, რომ ქალბატონი ელენე ხოშტარიაც მკაფიოდ ჯდება პროამერიკულად შენიღბული და პრორუსულად მოაზროვნე ორმაგი აგენტის სტანდარტში.

ШАГИ - პირველი ნაბიჯები

# DOUBLE SECRET AGENT ИЛИ ДВОЙНОЙ АГЕНТ, ანუ ორმაგი აგენტი

ბატონი მიხეილი თავად ადასტურებს, რომ კოლუმბიის უნივერსიტეტში მისი უშუალო ხელმძღვანელი **ოსკარ შახტერი** გახლდათ.

*__სააკაშვილი:__ — იქ იყო, მაგალითად __ოსკარ შახტერი,__ ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელმაც დაწერა გაეროს წესდება და რომელიც იყო გაეროს პირველი გენერალური მდივნის მოადგილე იურიდიულ საკითხებში 1946 წელს.*

*__ცნობისათვის:__ ოსკარ შახტერი გაეროში კი მუშაობდა, მაგრამ გენერალური მდივნის მოადგილე არასოდეს ყოფილა და მიხეილ სააკაშვილი, როგორც ყოველთვის, ერთმანეთში ურევს სხვადასხვა ფაქტებს.*

**ოსკარ შახტერი** საბჭოთა კავშირსა და სოციალისტურ პოლონეთში შეერთებული შტატების საგანგებო დავალებებს ასრულებდა და შემდეგ სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი გახლდათ და გაეროშიც მრჩევლისა და იურისტის პოზიციები ეკავა. მაგრამ, რაც მთავარია, ოსკარ შახტერი შეერთებული შტატების დაზვერვის პოლკოვნიკი გახლდათ და ამგვარად ნათელია, რომ მიხეილ სააკაშვილმა ჯერ КИМО-ში გაიარა КГБ-ს სპეციალური კურსი **გენერალ მალომუჟის** კურატორობით, შემდეგ კი კოლუმბიის უნივერსიტეტში პოლკოვნიკ **ოსკარ შახტერის** ხელმძღვანელობით გაიღრმავა მზვერავის უნარ-ჩვევები და ამგვარად, КГБ-ს ლეიტენანტმა **მიხეილ სააკაშვილმა** ამერიკელი მზვერავის ფორმაც მოირგო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ **გენერალ-მაიორი მალომუჟი** არმიის გენერალი გახდა, მოგვიანებით კი დამოუკიდებელი უკრაინის საგარეო დაზვერვას ჩაუდგა სათავეში. გენერალი მალომუჟი გვიხსნის, რომ, როცა ორმაგი აგენტები დიდ თანამდებობებს იკავებდნენ, ცხადია, მათთან აგენტობის კლასიკური ურთიერთობა ვეღარ ნარჩუნდებოდა, მაგრამ გავლენასა და ზეწოლას მაინც ექვემდებარებოდნენ.

რაც მთავარია, **არმიის გენერალი მალომუჟი** საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მაღალ თანამდებობებზე მყოფი აგენტები კრიტიკულ სიტუაციაში რუსეთისთვის სასურველ გადაწყვეტილებებს იღებენ. მალომუჟის თქმით, სწორედ ასე ჩაბარდა ყირიმი.

*__მალომუჟი:__ — ეს კავშირი, ანუ ფორმალური კავშირი, ცხადია, წყდებოდა, მაგრამ იწყებოდა ზეწოლის სხვა, მძლავრი ფორმები და ეს ზეწოლა ვლინდებოდა გადამწყვეტ მომენტებში, როცა შესაბამისი სიტუაცია იქმნებოდა. მაგალითად, თუნდაც ყირიმის მოვლენები და ყირიმის დაკარგვა. ეს კონკრეტული შედეგია.*

**ვფიქრობთ, გენერალ მალომუჟის განცხადებები ფარდას ხდის კოდორისა და ახალგორის ჩაბარებისა და გაყიდვის სცენარს, მაგრამ ამაზე ჩვენ დაწვრილებით მომდევნო სერიებში ვისაუბრებთ.**

ამგვარად,

## 1995 წელს ვითომდა პროამერიკულად მოაზროვნე, სინამდვილეში კი პრორუსულად განწყობილი მიხეილ სააკაშვილი საქართველოში დაბრუნდა და ქართულ პოლიტიკაში შემოიჭრა. ქართველ საზოგადოებას სააკაშვილი ყოველივე საბჭოურთან მებრძოლი პატრიოტის ნიღბით წარუდგა. შინაგანად კი სააკაშვილი მგზნებარე პიონერად, გულმხურვალე კომკავშირელად და კომუნისტური პარტიის მხარდამჭერად დარჩა.

ხელისუფლებაში სააკაშვილი ხალხისთვის მებრძოლი რაინდის ნიღბით მოვიდა, სინამდვილეში კი ერთდროულად **ორ, ერთმანეთის მოძულე სპეცსამსახურთან თანამშრომლობდა.** მიხეილ სააკაშვილი იყო საბჭოთა КГБ-ს ოფიცერი და უნდა ვივარაუდოთ, რომ დღეს, სულ ცოტა, პოლკოვნიკი მაინც არის. ამავდროულად მიხეილ სააკაშვილი იყო შეერთებული შტატების დაზვერვიუს ოფიცერი და უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ სარბიელზეც მომატებული აქვს წოდება. მოკლედ, **მიხეილ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში შემოიჭრა და ამაზე ჩვენ მომდევნო სერიაში ვისაუბრებთ.**

*პირველი სერიის დასასრული*

# რა ღირს კულისებს მიღმა გაყიდული საქართველო?!

რეპორტაჟი ქართული პოლიტიკის ხუხულიდან

*დასაწყისი*
*იხ. „ა-დ“ №18-19, 20-21*

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს პოლიტოლოგ გია ხუხაშვილის ახლახან გამოცემული მემუარული ჟანრის წიგნის — „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ განხილვას. ეს მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორი, როგორც ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი, პირადად მონაწილეობდა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო მასებისთვის დაფარულ მოვლენებში და იმ პერიპეტიებს ეხება, რომლებმაც განსაზღვრეს კიდეც უმძიმესი დღევანდელობა!***






**გია ხუხაშვილი** თავის მემუარებში ხაზგასმით იხსენებს, როგორი შემართებით გეგმავდა **ბადრი პატარკაციშვილი ზურაბ ჟვანიას** მკვლელობის გამო სააკაშვილის ხელისუფლების მხილებას! საამისოდ, **ბადრი პატარკაციშვილი დიდუბის პანთეონში დაკრძალული ჟვანიას ცხედრის ექსჰუმაციის იმიტაციასაც კი გეგმავდა — აქაოდა, ხელისუფლება წამოეგება ამ პროვოკაციას და ღამით ეცდება, თავად ამოთხაროს პრემიერის გვამი მკვლელობის კვალის საბოლოოდ გასანადგურებლად, მე კი ამ ყველაფერს იქ დაყენებული ფარული კამერებით გადავიღებო!**

როგორც მემუარისტი იხსენებს, ის არ უწონებდა **პატარკაციშვილს** ამ გეგმას, ნაცრეჟიმის ლიდერები არც ისე სულელები არიან, ასეთ ბავშვურ პროვოკაციას რომ წამოეგონო... და ერთ-ერთი ასეთი მსჯელობისას პატარკაციშვილი ფიქრებში წასულა და ერთგვარი წინასწარმეტყველებასავით ამოუთხრავს:

> ***„უცებ სახე შეეცვალა, მისთვის უჩვეულო ცივი ნათება ჩაუდგა თვალებში და თითქმის ჩურჩულით მკითხა: „როგორ ფიქრობ, მესვრიან თუ მომწამლავენ?“ რიტორიკული კითხვა, რომელიც პასუხს არ გულისხმობდა და არც საჭიროებდა...“ (გ. ხუხაშვილი, „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“*** *გვ. 28)*

რა თქმა უნდა, მემუარისტი აშკარად არ ცრუობს — **პატარკაციშვილი** ძალიან კარგად გრძნობდა, რომ სადაც პრემიერი მოკლეს, ისიც უდიდესი საფრთხის წინაშე იდგა!

ამის შემდეგ **ხუხაშვილი იხსენებს, რომ პატარკაციშვილთან გახშირებული შეხვედრები მის „არკადიაში“ ხშირად სუფრაზე ბასით გრძელდებოდა მასსა და გურმანობით ცნობილ პატარკაციშვილს შორის.** ჰოდა, თურმე, ბადრის ძალიან უყვარდა ერთი ისტორიის მოყოლა, სუფრასა და სააკაშვილს რომ უკავშირდებოდა:

> ***„ბადრი ყვებოდა, როგორ დაპატიჟა ერთხელ მიხეილ სააკაშვილი თავისთან სტუმრად. რადგან იცოდა, რომ მიშას ძალიან უყვარდა გემრიელი ჭამა და ტრადიციული ჩაქაფულის პერიოდი იდგა, ერთი დიდი ქვაბი ციკნის ჩაქაფული მოამზადებინა.*** *ხატოვნად აღწერდა, როგორი მადის აღმძვრელი ოხშივარი იდგა, მაგრამ, მისი მოლოდინის მიუხედავად, მიშა ძალიან თავშეკავებულად იქცეოდა და არც კი უცდია ჩაქაფულისთვის პირის დაკარება.* ***როგორც მითხრა, თავიდან ძალიან გაუკვირდა, მაგრამ მერე მიხვდა, თუ რაშიც იყო საქმე, და მიშას უთხრა: „მოწამვლის ხომ არ გეშინია?! მე სტუმრად დაგპატიჟე. როგორ გგონია, მე ეგ კაცი ვარ, რამე რომ მინდოდეს, ამას საკუთარ სახლში მოვაწყობდი?!“ და როგორ „ეცა“ ამის მერე მიშა ჩაქაფულს და როგორ შეჭამა თითქმის მთელი ქვაბი“*** *(იქვე, გვ. 30).*

ანუ **ბადრი პატარკაციშვილს** ეს „მოწამვლის თემა“ ლამის ქვეცნობიერის დონეზე ჰქონდა აკვიატებასავით და მისი იდუმალებით მოსილი სიკვდილი ლონდონური ემიგრაციისას, დიდი ალბათობით, სწორედ

## გია ხუხაშვილი: ბადრიმ თითქმის ჩურჩულით მკითხა: „როგორ ფიქრობ, მესვრიან თუ მომწამლავენ?“




სპეცშხამით მოწამვლას უკავშირდება, გულის შეტევა რომ გამოიწვია.

თუმცა, მანამდე პატარკაციშვილსა და **უჟვანიოდ (ანუ უმუხრუჭოდ) დარჩენილ სააკაშვილს** შორის გაჩნდა მოლაპარაკებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების შანსი: ხუხაშვილის გადმოცემით, სააკაშვილის რეჟიმმა **პატარკაციშვილს** ერთობლივი უზარმაზარი ბიზნესიმპერიის შექმნა შესთავაზა — **ამ კონსორციუმში ბადრი შეიტანდა „ტელეიმედს“, ხელისუფლება კი ქვეყნის სტრატეგიულ ობიექტს — საქართველოს რკინიგზას, ანუ მის ფარულ პრივატიზაციას მოახდენდა, რადგან კონსორციუმი მაინც სააკაშვილის მაფიის მიერ გაკონტროლდებოდა და მოგებას მაფია ჩაიჯიბავდა, სახელმწიფო ბიუჯეტს კი კაპიკები ერგებოდა!**

## როგორ შეჭამა პატარკაციშვილთან სტუმრობისას სააკაშვილმა თითქმის მთელი ქვაბი ციკნის ჩაქაფული!

რატომ აკეთებდა ამას სააკაშვილი? მემუარისტის თქმით, ნაცრეჟიმისთვის მთავარი იყო ბადრის კრიტიკული „ტელეიმედის“ განეიტრალება და თანაც, **ეროსი კიწმარიშვილის** ამბიციების დაკმაყოფილებაც — კიწმარიშვილიც თავისი „რუსთავი-2“-ით ნერვებს უშლიდა სააკაშვილს:

> ***„რუსთავი-2“-ის მხრიდან ოპონირებას მიშა აღიქვამდა არა როგორც ობიექტურ და საგნობრივ კრიტიკას, არამედ როგორც ეროსი კიწმარიშვილის ერთგვარ პოლიტიკურ თამაშს...***
>
> ***სააკაშვილი თვლიდა, რომ ეროსი თავს „გადაგდებულად“ აღიქვამდა, რადგან ვერ მიიღო მისი „დამსახურების“ შესაბამისი წილი ძალაუფლების გადანაწილების პროცესში და სარედაქციო პოლიტიკის ცვლილება სწორედ ამას — ერთგვარ ვაჭრობის გახსნას უკავშირდებოდა.***
>
> ***სავარაუდოდ, ამ უდავოდ ძალიან ნიჭიერი ადამიანის ამბიცია მიმართული იყო პრემიერ-მინისტრის სავარძლისკენ და სწორედ აქ დაიწყო ზურაბ ჟვანიასა და მას შორის პოლიტიკური ჭადრაკის პარტია, რომელიც, როგორც იცით, ზურაბის გამარჯვებით დასრულდა.***
>
> *დღევანდელი გადმოსახედიდან ვფიქრობ, რომ ჯობდა, ზურას წაეგო... ამ შემთხვევაში, ის იქცეოდა ნაცმოძრაობის მთავარ ოპონენტად, შეიქმნებოდა გარკვეული პოლიტიკური ბალანსი, რაც ქვეყანას ბევრ რამეს აარიდებდა თავიდან.* ***რაც მთავარია, ცოცხალი იქნებოდა... ცოცხალი იქნებოდა ეროსიც“*** *(იქვე, გვ. 47).*

მოკლედ, სააკაშვილი, ერთი მხრივ, ახდენდა რკინიგზის პრიხვატიზაციას, მეორე მხრივ, ბიზნესპარტნიორებად იხდიდა **პატარკაციშვილსა და კიწმარიშვილს,** რომელთა ტელევიზიები, ხალხის ზურგს უკან და ქვეყნის ბიუჯეტისთვის საზიანოდ დადებული ამ ბიზნესგარიგებით, ხელისუფლებისადმი ლოიალური გახდებოდნენ!

ანუ მარტივად რომ ითქვას, **სააკაშვილი ჩამოაყალიბებდა პოლიტიკურ მაფიას კიწმარიშვილთან და პატარკაციშვილთან ერთად** — ჟვანია ხომ უკვე მოკლული იყო...

როგორც მემუარისტი იხსენებს, ის **ბადრი პატარკაციშვილმა** თავისთან მიიწვია, გაანდო სააკაშვილთან ამ პოლიტიკურ-ფინანსური იმპერიის შექმნის გეგმა და რჩევა ჰკითხა!

**ხუხაშვილმა** პატარკაციშვილს კი უთხრა, უარი ეთქვა ამ ალიანსზე:

> ***„გასაგებია, რომ ხელისუფლების ერთ-ერთი ინტერესი ამ შეთანხმებაში არის ტვ „იმედის“ ნეიტრალიზაცია და, როგორც კი ისინი ამ ამოცანას გადაწყვეტენ, ბადრისაც „მიხედავენ“. ანუ ეჭვი გამოვთქვი, რომ ის ხელისუფლების მხრიდან აღქმულია როგორც სტრატეგიული მტერი და არა როგორც პარტნიორი. „იმედი“ მისთვის არის ერთგვარი დამცავი ფარი ხელისუფლებისგან, რომელიც, ერთი მხრივ, ძალზე აგრესიულია, მაგრამ, მეორე მხრივ, ინარჩუნებს ფასადური დემოკრატიის სურათს. ეს ფარი რომ მოეხსნება, მათ ხელ-ფეხი გაეხსნებათ და პარტნიორობას დიდი დღე არ უწერია“*** *(იქვე, გვ. 55).*

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ სააკაშვილ-პატარკაციშვილის ერთობლივი პოლიტბიზნესიმპერიის შექმნა ჩაიშალა! **პატარკაციშვილმა გაიზიარა ხუხაშვილის არგუმენტები და არ გაყო თავი სააკაშვილის მიერ დაგებულ ხაფანგში!**

რა თქმა უნდა, **სააკაშვილმა** ბოლოს მაინც შეიწირა **პატარკაციშვილი,** მაგრამ მაშინდელი „ტელეიმედი“ რომ გაენეიტრალებინათ, საზოგადოება ვერც **სანდრო გირგვლიანის** მკვლელობის საქმეს გაიგებდა, არც 2007 წლის ნოემბრის პირველი დიდი საპროტესტო გამოსვლები მოხდებოდა და 7 ნოემბერს, მიტინგის უმოწყალო დარბევის შემდეგ, სააკაშვილსაც არ მოუწევდა თანამდებობიდან გადადგომა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა — იმ არჩევნებისა, რომელიც სამარცხვინოდ წააგო (განსაკუთრებით, თბილისსა და დიდ ქალაქებში) და მხოლოდ დიდი გაყალბებით შეინარჩუნა ძალაუფლება!

**ამიტომაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილის რეჟიმის საქმე უკვე წასული იყო და მისი ხელისუფლებიდან გაპანღურება მხოლოდ დროის ამბავი გახლდათ!**

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

# ზურაბ ქუმსიაშვილი: ადრე თუ გვიან, კაცობრიობა იზრუნებს, რომ სოციალური ქსელებით სარგებლობაზე შეზღუდვები დაწესდეს!



***გამოჩენილ რუს ფსიქოლოგს ალექსეი ლეონტიევს ეკუთვნის ცნობილი ფრაზა: „ინფორმაციის სიჭარბე იწვევს სულის გაღატაკებას!“ სწორედ ინფორმაციულ ტერორზე და სოციალური ქსელების მანკიერ როლზე გვესაუბრება ექიმი და ინტეგრალური მედიცინის სპეციალისტი, პროფესორი ზურაბ ქუმსიაშვილი:***

— სოციალურმა ქსელებმა წაშალა ქვეყნებს შორის საზღვრები, შესაძლებელი გახადა ათასობით კილომეტრით დაშორებული ადამიანების ყოველდღიური კონტაქტი. მოსახლეობის სულ უფრო და უფრო მზარდი რაოდენობა ინტერნეტში საქმდება და ახერხებს მატერიალური სახსრების გამომუშავებას. სარგებელთან ერთად ამ პროცესმა წარმოშვა პრობლემები, რომლებიც კაცობრიობისთვის უკვე დილემად იქცა. ამჟამად მეცნიერები უკვე მთელი სერიოზულობით სვამენ კითხვას — ხომ არ აღემატება მიყენებული ზიანი იმ სარგებელს, რასაც საშუალო სტატიკური ადამიანი სოციალური ქსელიდან იღებს?!

**— და მაინც, ყოველდღიურ ცხოვრებაში რა სარგებელი და რა ზიანი მოაქვთ სოციალურ ქსელებს?**

— სოციალური ქსელების დახმარებით ადამიანები პოულობენ ვირტუალურ მეგობრებს, პარტნიორებს, ქმნიან საკუთარ კომფორტულ სივრცეს, რომელშიც თავს რეალიზებულად გრძნობენ. არცთუ იშვიათად, ვირტუალური მეგობრობა რეალურშიც გადაიზრდება ხოლმე. თანამედროვე ადამიანები სოციალურ ქსელებში ცხოვრების მეგზურს და ხშირად ნამდვილ სიყვარულსაც პოულობენ, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში მეგობრული და სასიყვარულო ურთიერთობები ისევ და ისევ ვირტუალურ სივრცეში რჩება, იქ ვითარდება და იქვე სრულდება. ვირტუალურ სასიყვარულო ურთიერთობებში ადამიანები ვირტუალურ პარტნიორზე ზრუნავენ და მასზე ეჭვიანობენ კიდეც, არადა, ვირტუალური პარტნიორი შესაძლოა, რეალურ ცხოვრებაში მათ კრიტერიუმებს არც გარეგნობით და არც ასაკით არ შეესაბამებოდეს. ნელ-ნელა ადამიანები ამ ვირტუალური სივრციდან გამოსვლის სურვილს კარგავენ, რადგან რეალურ ცხოვრებაში მათ უამრავი მოუგვარებელი პრობლემა და კონფლიქტი ელოდებათ. პირად კარიერაში ხელმოცარული ადამიანები ვირტუალურ სფეროში ცდილობენ თავიანთი მნიშვნელობის ხაზგასმას, მაგალითად, თამაშობენ ე.წ. „ფერმას“, სადაც ვირტუალურად მდიდრდებიან და თავს იტყუებენ, თითქოს რეალურ ცხოვრებაში მოიპოვეს მატერიალური კეთილდღეობა. საბოლოო ჯამში, ადამიანი წყდება რეალობას და მის ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს ილუზიური, არარეალური დამოკიდებულებები და ასპექტები, რომლებიც მას, როგორც ინდივიდს, უსპობენ განვითარების შესაძლებლობას. ჩნდება სხვა პრობლემაც — ადამიანები ერთმანეთს სულიერად შორდებიან, იკეტებიან საკუთარ სამყაროში, რაც უკვე სოციუმს უქმნის საფრთხეს.

**— რას გულისხმობთ?**

— რეალობას მოწყვეტილი ადამიანები თანდათან კარგავენ გაჭირვების ჟამს ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობის უნარს, ლხინში სიხარულის გაზიარების სურვილს. ისინი სულ უფრო და უფრო ხშირად სოციალური ქსელებით ულოცავენ ერთმანეთს სასიხარულო მოვლენებს, ახლობლის გარდაცვალების შემთხვევაში, მწუხარების გაზიარებასაც ამავე საშუალებით სჯერდებიან. უფრო მეტიც: თვეობით ერთმანეთის უნახავი ნათესავ-მეგობრები, რომლებიც შემთხვევამ სუფრასთან შეყარა, იქაც კი ვერ იცლიან ერთმანეთისთვის, თითოეული საკუთარ მობილურ ტელეფონს ჩაჰკირკიტებს, სადაც ინდივიდუალური ვირტუალური სივრცე ეგულება!

**საქმე იქამდე მივიდა, ზოგი სასულიერო პირი მრევლისგან ალსარებასაც კი, ფეისბუქის საშუალებით იბარებს და ამას მოძღვარიც და მრევლიც უდროობით ამართლებენ!**

**— რა გავლენას ახდენს სოციალური ქსელები უშუალოდ ოჯახზე?**

— სოციალურმა ქსელებმა თითქმის მოშალა ოჯახური ღირებულებები, განსაკუთრებით დაზიანდა მოზარდი თაობა, რომელმაც დაივიწყა ფიზიკური აქტივობა, აქტიური სპორტი უმოძრაო ცხოვრების რიტმმა შეცვალა, რაც თავის მსახვრალ კვალს უკვე ჯანმრთელობაზე ტოვებს. **სოციალურ ქსელებს მიჯაჭვულ მოზარდებში იმატა ისეთმა პათოლოგიებმა, როგორიც არის ხერხემლის გამრუდება, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, ფსიქიკური აშლილობები.** დიდ დარტყმას იღებს იმუნური სისტემაც, იცვლება ჰორმონული ფონი, ბავშვებს აღარ უვითარდებათ მუსკულატურა, აქვთ მიდრეკილება წონის მატებისკენ. იმ პერიოდშიც კი, როდესაც თანატოლებთან ერთად იმყოფებიან, სირბილის ნაცვლად მესიჯობენ და საკვების მიღების მომენტშიც კი არ თმობენ ტელეფონებს. სოციალური ქსელების გამო ბავშვები ათენებენ ღამეებს, ერღვევათ ძილის რიტმი, რაც უკიდურესად ნეგატიურად აისახება არამხოლოდ შრომისა და სწავლის ნაყოფიერებაზე, არამედ — ფსიქიკაზეც. **როდესაც ცალკეულ შემთხვევებში, მშობლები აცნობიერებენ ინტერნეტის მავნე გავლენას შვილებზე და უზღუდავენ სოციალური ქსელებით სარგებლობის ვადებს, იწყება მძაფრი კონფლიქტი — ბავშვები ავლენენ უფროსების მიმართ დაუმორჩილებლობას, რაც ისტერიკაშიც კი გადადის.** მონიტორთან და სმარტფონებთან მიჯაჭვულობის შედეგად მოზარდებშიც და მოზრდილებშიც ქვეითდება ყურადღების კონცენტრაცია, მონიტორებთან გატარებული ხანგრძლივი დრო გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მეხსიერებასა და მხედველობას. მატულობს სტრესი და დეპრესია, ადამიანები ხდებიან გაღიზიანებულები, რაც სოციუმში ზიზღის ატმოსფეროს, განხეთქილებებს და დაპირისპირებებს განაპირობებს.





**— რა ცვლილება შეიტანა სოციალურმა ქსელებმა განათლებაში?**

— დადებითთან ერთად, უარყოფითი ასპექტები აქაც აშკარაა. ადვილია საჭირო ლიტერატურის ინტერნეტით მოძიება, მაგრამ განათლების ხარისხის მიხედვით, წიგნიდან მიღებული ცოდნა გაცილებით ღრმა და ფუნდამენტურია. წიგნის წასაკითხად ადამიანებს აღარ სცალიათ. ჩვენ თვალწინ ჩამოყალიბდა წიგნს მოწყვეტილი თაობა, რომლის ლექსიკა მწირია და, ძირითადად, კომპიუტერული ტერმინოლოგიით არის დატვირთული. ახალი თაობა აღარ კითხულობს მსოფლიო ლიტერატურას, ეწაფება უამრავ ცრუ ინფორმაციას, ეძალება ასაკისათვის შეუსაბამო კონტენტს, ექცევა „გენდერული იდენტობით“ შეფუთული უზნეობისა და გარყვნილების პროპაგანდის მარწუხებში, რაც მის ფსიქიკას გამოუსწორებელ ზიანს აყენებს.

**— კრიმინალის სტატისტიკა რამდენად არის დამოკიდებული სოციალურ ქსელებზე?**

— ყველას მოგვსვლია შეტყობინება, რომ სადღაც იყიდება ნარკოტიკი... **კრიმინალური მენტალიტეტის ადამიანები მარჯვედ იყენებენ სოციალური ქსელების შესაძლებლობებს ისეთი დანაშაულების ორგანიზებაშიც, როგორიც არის თაღლითობა, გამოძალვა და შანტაჟი.** ახლახან ცნობილი გახდა კეზერაშვილის თაღლითობის შესახებ, რომელმაც სოციალური ქსელების გამოყენებით ევროპელი პენსიონერები გაძარცვა. სოციალური ქსელების საშუალებით განხორციელებული კრიმინალის გაკონტროლება ძალიან ძნელია.

**— რა მოხდება, თუ ოდესმე მსოფლიოში ინტერნეტი გაითიშება?**

— ადამიანები უკვე იმდენად დამოკიდებულები გახდნენ ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებზე, თუ დავუშვებთ, რომ ინტერნეტი ანაზდად გაითიშა, ამას პლანეტის მასშტაბით დიდი ფსიქოლოგიური კატაკლიზმები მოჰყვება. პირდაპირ გეტყვით:

**ბედნიერია ის ადამიანი, ვინც სოციალური ქსელებით მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში სარგებლობს; ვინც ილუზიურს კი არა, რეალურ ადამიანურ ურთიერთობებს და გრძნობებს ეწაფება!**

უკვე აშკარაა, რომ სოციალურ ქსელებზე ნარკომანული დამოკიდებულება მიუახლოვდა ზღვარს, როდესაც ადამიანი კარგავს თავისუფალ ნებას და ექცევა მავნე შეგონებათა მარწუხებში. შესაბამისად, ალბათ, კაცობრიობა ადრე თუ გვიან მიხვდება, რომ კატასტროფისკენ მიექანება და იზრუნებს, რომ სოციალური ქსელებით სარგებლობაზე შეზღუდვები დაწესდეს!

**„თვეობით ერთმანეთის უნახავი ნათესავ-მეგობრები, რომლებიც შემთხვევამ სუფრასთან შეყარა, იქაც კი ვერ იცლიან ერთმანეთისთვის, თითოეული საკუთარ მობილურ ტელეფონს ჩაჰკირკიტებს, სადაც ინდივიდუალური ვირტუალური სივრცე ეგულება!“**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

# „თუ მკერდის არეში ტკივილი მომენტალურია და მცირე ხანს გრძელდება, მას გულთან კავშირი არა აქვს!“



*ნებისმიერი სერიოზული სამეცნიერო კვლევა და სტატისტიკა ადასტურებს, რომ მსოფლიოში გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიები პირველობას არცერთ სხვა დაავადებას არ უთმობს. ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი სწორედ გულთან დაკავშირებულ პრობლემებს მიმოიხილავს და ფართო საზოგადოებისთვის უცნობ იმ არაერთ უმარტივეს წესზე მიგვითითებს, რომლის გამოყენებითაც ექსტრემალურ სიტუაციაში სასიკვდილო საფრთხის თავიდან აცილება შეიძლება:*



## კახა საბახტარიშვილი:

# ვისაც გული აწუხებს, «აშნერის მეთოდის» შესახებ უნდა იცოდეს!

— არაერთგზის გვითქვამს, რომ მთელ მსოფლიოში გულ-სისხლძარღვთა დაავადებები ადამიანის გარდაცვალების ძირითადი მიზეზია. ბევრი ყურადღებას არ აქცევს პულსის აჩქარებას ან შენელებას, არადა, ყველაფერი სწორედ აქედან იწყება. **წყნარ და მოსვენებულ მდგომარეობაში გულის შეკუმშვის მაჩვენებელი წუთში 60-დან 80 ერთეულამდე უნდა მერყეობდეს.** თუ გულის შეკუმშვის მაჩვენებელი სიმშვიდისა და ნორმალური ტემპერატურის პირობებში 80 ერთეულს აჭარბებს, ხოლო ფეხზე დგომისას 100 ერთეულზე მეტია, მაშინ სახეზე გვაქვს **ტაქიკარდია,** ანუ გულისცემის აჩქარება, რასაც საქართველოში ძველთაგანვე **გულის ფრიალს** ან **გულის ამოვარდნას** უწოდებენ... ადამიანი რომ იტყვის — **გული ამომივარდა!** — ე.ი. მას ტაქიკარდია აქვს! ტაქიკარდია ყოველთვის პათოლოგია არ არის, ფიზიკური დატვირთვისა და ნერვული დაძაბულობის დროს გულისცემა შესაძლოა, ბუნებრივად აჩქარდეს და ეს არავითარ დარღვევას არ წარმოადგენს. გარკვეული დროის შემდეგ, როცა ადამიანი მოისვენებს, პულსი ისევ ნორმის ფარგლებს დაუბრუნდება და **გულის ფრიალიც** შეწყდება.

**—თუ პულსი შენელებულია, მაშინ რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე?**

— პულსის შენელება იმას ნიშნავს, რომ გულის შეკუმშვათა რაოდენობა გაიშვიათებულია. ასეთ დროს პულსი წუთში 55 ერთეულზე დაბლა ჩამოდის. ამ მოვლენას **ბრადიკარდია** ეწოდება და ტაქიკარდიაზე არანაკლებ საშიში პათოლოგიაა. ტაქიკარდიაც და ბრადიკარდიაც გულისცემის რითმის დარღვევას, ანუ არითმიას წარმოადგენს და ერთნაირად საშიშია. **ტაქიკარდიის** დროს გული ტვინს სისხლს ვერ აწოდებს, რაც შესაძლოა, გონების დაკარგვით დასრულდეს, ხოლო **ბრადიკარდია** იმით არის სახიფათო, რომ ამ დროს თავის ტვინის სისხლით მომარაგება კიდევ უფრო ჭირს. **ტაქიკარდიაც და ბრადიკარდიაც შესაძლოა, ინფარქტით ან ინსულტით დასრულდეს.**

**— გასაგებია, რომ არითმიის ნებისმიერი გამოვლინებისას კარდიოლოგს უნდა მივაკითხოთ, მაგრამ როგორ მოვიქცეთ, როცა ექსტრემალურ პირობებში გული ამოვარდნაზე გვაქვს, ვგრძნობთ, რომ გონებასაც ვკარგავთ და მოულოდნელად დაგვეწყო სისუსტე და თავბრუხვევა?**

— ასეთ დროს უნდა მოვიქცეთ შემდეგნაირად: 1) გავჩერდეთ, დავითვალოთ სამამდე და ღრმად ჩავისუნთქოთ. 2) დავითვალოთ სამამდე და სუნთქვა შევიკავოთ. 3) დავითვალოთ სამამდე და ძლიერად ამოვისუნთქოთ. **ამ მარტივი პროცედურით ცდომილი ნერვი აქტიურდება და გულისცემა ნორმაში მოდის.** ძლიერი ტაქიკარდიის დროს (როცა პულსი 150 ერთეულსაც კი აღწევს და თუ ასე გაგრძელდა, ინფარქტი ან ინსულტი გარანტირებულად დადგება) თვალები უნდა დავხუჭოთ და თვალის კაკლებზე 20 წამის განმავლობაში თითები ძლიერად დავაჭიროთ. ამ მეთოდს **„აშნერის მეთოდი“** ეწოდება. ვისაც გული აწუხებს, „აშნერის მეთოდის“ შესახებ ყველამ უნდა იცოდეს! ჩემს სამედიცინო პრაქტიკაში არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა ამ მეთოდის გამოყენებით პაციენტს ინფარქტი და ინსულტი თავიდან აუცილებია. საერთოდ, **გულის ფრიალი, გულის ძიგძიგი, გულის ფეთქვა, გულის ამოვარდნა** ძირითადად სწორედ **ტაქიკარდიაზე** მიგვანიშნებს. გვახსოვდეს, რომ მოსვენებულ და მშვიდ მდგომარეობაში ჯანმრთელი ადამიანი თავის გულისცემას არ უნდა გრძნობდეს და გულის ფეთქვის ხმა არ უნდა ესმოდეს! თუ ასე არ ხდება, მაშინ საქმე გვაქვს გულის სერიოზულ პათოლოგიასთან და სასწრაფოდ უნდა მივმართოთ ექიმს!

**— რას ნიშნავს გულის შეწუხება?**

— **გულის შეწუხება, გულის წასვლა, გულის შეღონება და ჰაერის უკმარისობა,** რაც გულს უკავშირდება, ერთადერთ რამეზე მეტყველებს და ეს გახლავთ **გულის უკმარისობა!** ამ დროს გულის კუნთი ვერ ასრულებს ერთგვარი ტუმბოს როლს და სისხლს ჯეროვნად ვერ აწვდის სხვადასხვა ორგანოებს. თუ ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდა, ადამიანის მუცლის ღრუში სითხე დაგროვდება, რასაც **ასციტი** ეწოდება. ეს ერთ-ერთი გამოკვეთილი ნიშანი ქვედა კიდურების, ანუ ფეხების შეშუპებაა. ამ საშიში პათოლოგიის შესახებ საქართველოში უხსოვარი დროიდან იცოდნენ. მაგალითად, მე-11 საუკუნის ქართულ სამედიცინო ტრაქტატში — **„უსწორო კარაბადინი“** ვკითხულობთ — *„...ფერხნი და წვივნი გასივებულნი იყვნენ და სული უგუბდებოდეს...“* ეს სხვა არაფერია, თუ არა გულის უკმარისობა. სხვათაშორის, ძველ საქართველოში ასციტის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა ცნება „ტიკი“... სწორედ აქედან მოდის გამოთქმა **„მუცელი ტიკივით გაუხდა!“**

**— რა ნიშნავს გულყრა?**

— **გულყრა,** მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნებაში გული ფიგურირებს, გულის დაავადებას საერთოდ არ უკავშირდება. იგი უფრო ეპილეფსიისა და მისი მსგავსი დაავადებების ნიშანია. გულყრა შესაძლოა, მცირეწლოვან ბავშვს ჭიების სიმრავლის გამოც განუვითარდეს. ასეთ დროს პრობლემა ის არის, რომ ხშირად ჩემი კოლეგები ცდებიან და იმის ნაცვლად, რომ, პირველ რიგში, ჭიით ინვაზია გამორიცხონ და შემდგომ იფიქრონ ეპილეფსიაზე, მკურნალობას პირდაპირ ანტიეპილეფსიური საშუალებებით იწყებენ, თუმცა, სრულიად უშედეგოდ. არაერთი შემთხვევა მქონია, როცა ასეთი ბავშვები ჩემთან მოუყვანიათ და ჭიის საწინააღმდეგო ბუნებრივი საშუალებების მიღებით მათი „ეპილეფსია“ მომენტალურად დამიმარცხებია.

**— რა არის სტენოკარდია?**

— **სტენოკარდია** ისეთი მდგომარეობაა, როცა მკვებავი სისხლი თვით გულის კუნთსაც კი არ მიეწოდება. სტენოკარდიის დროს პაციენტს გულის არეში ძლიერი ტკივილი აქვს, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში მარცხენა ხელს გადაეცემა და ხშირად ნეკა თითიც ბუჟდება. ბევრი მკერდის არეში ტკივილს გრძნობს და ჰგონია, რომ გული აწუხებს. გვახსოვდეს, თუ მკერდის არეში ტკივილი მომენტალურია და მცირე ხნით გრძელდება, მას გულთან კავშირი არა აქვს. ასეთი ტკივილი უფრო ფიზიკური ტრავმის, გადაღლის ან ნევრალგიის შედეგია. **გულთან დაკავშირებული ტკივილი, როგორც წესი, ხანგრძლივია, რამდენიმე წუთი და უფრო მეტი ხანიც გრძელდება, ერთნაირად ძლიერია და აუტანელი.** გვახსოვდეს: გული უფრო მარცხენა მხარეს კი არა, მკერდის ძვლის, ანუ ე.წ. „გულის ფიცრის“ უკან მდებარეობს. თუ ადამიანი ტკივილს ამ წერტილში იგრძნობს, სწორედ ეს არის საგანგაშო... ეს ტკივილი შესაძლოა, გავრცელდეს მარცხენა ხელზე, მარცხენა მხარზე და თვით მარცხენა ყბა-სახის მიდამოზეც კი... არცთუ იშვიათად ასეთ დროს ზოგიერთი პაციენტი კარდიოლოგის ნაცვლად სტომატოლოგთან მიდის. გამოცდილი სტომატოლოგები ასეთ პაციენტს ურჩევენ, სასწრაფოდ გადაიღოს კარდიოგრამა. თუ ყველა ზემოხსენებულ ნიშანს თან დაერთო ქოშინი და ჰაერის უკმარისობა, დაუყოვნებლივ უნდა გამოვიძახოთ სასწრაფო, რადგან, დიდი ალბათობით, სახეზე გვაქვს გულის ინფარქტის ნიშნები. **ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად ასეთ დროს ექიმებს მაქსიმუმ 60-90 წუთი აქვთ!**

**— რა უნდა გავაკეთოთ, რათა ექიმის მოსვლამდე პაციენტი გადავარჩინოთ!**

— ენის ქვეშ სასწრაფოდ უნდა ამოვუდოთ ნიტროგლიცერინის აბი, რომელიც სისხლძარღვებს მომენტალურად გააფართოებს, წნევას დაბლა დასწევს და ადამიანს ინფარქტისგან იხსნის. **თუ ასეთ დროს წნევა 100 ერთეულზე დაბალია, ნიტროგლიცერინის გამოყენება არ შეიძლება, რადგან წნევას კიდევ უფრო დააგდებს და ინფარქტის ნაცვლად, მწვავე იშემიური ინსულტის დადგომის საფრთხეს გაზრდის.**

**— თუ ნიტროგლიცერინის აბი არ გვაქვს, მაშინ?**

— მაშინ იქნებ კონიაკი მოვძებნოთ და პირში დავიგუბოთ! **ინფარქტის საფრთხისა და სტენოკარდიული შეტევის დროს პირში კონიაკის ან**




## „წესად გავიხადოთ – ჯანმრთელი ვართ თუ არა, სასწაულმოქმედი პრეპარატის – ნიტროგლიცერინის აბი ყველამ ვატაროთ!“

## კვირგვინოსნები

**რეზო ასათიანი**

*თბილისის საპატიო მოქალაქე, ირმა სოხაძის მეუღლე*



ირმას სფეროში იშვიათად მინახავს, **ცოლ-ქმარი ამდენი წელი ერთად იყოს.** ჩვენ ორ წელიწადში 50 წელი გვიხდება. როდესაც შენი საყვარელი ქალაქი **საპატიო მოქალაქეს** გიწოდებს, არ ვიცი, რა უნდა იყოს ამაზე დიდი ბედნიერება?! მე ვგიჟდები ამ ქალაქზე. **თბილისისა და საქართველოს გარეშე ცხოვრება ვერც კი წარმომიდგენია.**

„თბილისელები“

**ნუგზარ რუხაძე**

*ჟურნალისტი, იმპრესარიო, ენის სპეციალისტი*



არ გამომივიდა **კლასიკური, ეროვნული ქართული ოჯახის** აშენება, რომელიც სავსე იქნებოდა ერთი დედის მიერ ნაშობი შვილებით. **ვიტყუებოდი ხოლმე, განსაკუთრებით ხშირად — ცოლებთან.** თუმცა, მავნე ტყუილების მთქმელი კაცი არ ვარ. ახლა, ძალიან რომ დავღვინდი, ტყუილები აღარ მჭირდება. მის გარეშე უკეთ გავდივარ.

„თბილისელები“

**ნანა შონია**

*მსახიობი*



**ჭურჭლის საყიდლად რომ გავიდე,** გზაში აუცილებლად **საყურეს ვიყიდი ან შარფს.**

„სარკე“

**მარიკა კვალიაშვილი**

*კომპოზიტორი*



ერთადერთი დიდი სურვილი მაქვს, რომ **სიმშვიდე იყოს ქვეყანაში,** რომელიც ასე მოენატრათ ქართველებს. ჯერ სიბერემდე ჯვარი მწერია, **მე ბევრ ახალგაზრდაზე უფრო ახალგაზრდა ვარ.**

სარკე“

**ლარა იანი**

*სილამაზის კონკურსების გამარჯვებული, მოდელი*



არავინ იცის, **რომელი ეროვნების ადამიანი შეგიყვარდება,** თუმცა, ყოველთვის მინდოდა, რომ **ქართველი მეუღლე მყოლოდა** და მყავს, უზომოდ მიყვარს და ბედნიერი ვარ.

„თბილისელები“




**არყის დაგუბება სისხლძარღვებს მომენტალურად აფართოებს და სასიკვდილო საფრთხისგან გვიცავს!**

## უამრავი სიცოცხლე გადარჩებოდა, სტენოკარდიული შეტევისა და ინფარქტის საფრთხის დროს ადამიანს ჯიბეში ნიტროგლიცერინის აბი ან სპრეი რომ ჰქონოდა.

ამიტომ წესად გავიხადოთ — ჯანმრთელი ვართ თუ არა, სასწაულმოქმედი პრეპარატის — ნიტროგლიცერინის აბი ყველამ ვატაროთ! **თუმცა, კარგად გვახსოვდეს, რომ ინსულტის საფრთხის დროს ნიტროგლიცერინის გამოყენება კატეგორიულად დაუშვებელია. სტენოკარდიისა და ინფარქტის დროს ნიტროგლიცერინმა შესაძლოა, ადამიანი სიკვდილისგან იხსნას, მაგრამ ინსულტის დროს დაღუპოს!**

**— ცნობილია, რომ სექსუალური აქტის დროს გულით ავადმყოფები ფრთხილად უნდა იყვნენ!**

— სექსუალური აქტის დროს განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ ისინი, ვისაც ჰიპერტონია აქვს, ანუ მაღალი წნევა აწუხებს! ასაკის მატებასთან ერთად ერექციის უნარი კლებულობს. ამიტომ სექსუალური აქტის წინ მამაკაცები ხშირად სვამენ **„ვიაგრას“** ტიპის პრეპარატებს. თუ ასეთ ადამიანებს მანამდე წნევის დამწევი საშუალებებიც აქვთ მიღებული, მაშინ ამ ორი პრეპარატის კომბინაცია შესაძლოა, კატასტროფით დასრულდეს!

ცნობისათვის, „ვიაგრა“ თავიდან წნევის დასაწევად შეიქმნა! აქედან გამომდინარე, **თუ ადამიანს წნევის დამწევი საშუალება მიღებული აქვს და ზემოდან კიდევ „ვიაგრა“ ან მისი ანალოგი დაამატა, მაშინ წნევა შესაძლოა, ისე დავარდეს, რომ სექსისგან სიამოვნების მიღების ნაცვლად ინსულტი მივიღოთ!** სწორედ ჩვენ მიერ აღწერილმა შემთხვევამ და ახალგამოსული „ვიაგრისა“ და წნევის დამწევი პრეპარატის ზედდებამ იმსხვერპლა ცნობილი ნიგერიელი **დიქტატორი აბაჩა,** რომლის მოსაკლავადაც როგორც საბჭოთა, ისე ამერიკის სპეცსამსახურები წლების განმავლობაში თავს იმტვრევდნენ, მაგრამ ვერაფერს ახერხებდნენ. აბაჩა საბოლოოდ მაინც „კაგებემ“ გაასაღა, როცა ულამაზესი უკრაინელი სპეცაგენტები ნიგერიაში გადასხა და ქალების მოყვარულ აბაჩას მიუგზავნა...



**„ახალგამოსული „ვიაგრისა“ და წნევის დამწევი პრეპარატის ზედდებამ იმსხვერპლა ცნობილი ნიგერიელი დიქტატორი აბაჩა, რომლის მოსაკლავადაც როგორც საბჭოთა, ისე ამერიკის სპეცსამსახურები წლების განმავლობაში თავს იმტვრევდნენ, მაგრამ ვერაფერს ახერხებდნენ!“**

**„ინფარქტის საფრთხისა და სტენოკარდიული შეტევის დროს პირში კონიაკის ან არყის დაგუბება სისხლძარღვებს მომენტალურად აფართოებს და სასიკვდილო საფრთხისგან გვიცავს!“**

**— რას ნიშნავს „ხარის გული“?**

— არსებობს გულის ერთი ვერაგი დაავადება — **ჰიპერტროფირებული კარდიომიოპათია,** რომელიც, ფაქტობრივად, უსიმპტომოდ მიმდინარეობს და გულის ზომის თითქმის ორჯერ გადიდებას იწვევს. ასეთ გულს **„ხარის გულს“** უწოდებენ. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მარცხენა პარკუჭის კედლები სქელდება, გულის კუნთის იმპულსაცია ირღვევა, მარცხენა პარკუჭის ღრუ მცირდება, გულს სისხლის გადასროლა უჭირს და ადამიანი შესაძლოა, არითმიის გამო უეცრად დაიღუპოს. ჩემი რჩევაა: **ვინც ფიზიკური დატვირთვისას უეცრად გონებას დაკარგავს და ქოშინი და არითმია დაეწყება, სასწრაფოდ მიმართოს კარდიოლოგს და, პირველ რიგში, ამ მართლაცდა ვერაგი და სასიკვდილო სენის — „ხარის გულის“ პათოლოგია გამორიცხოს!**

**— როგორია წნევიანი გული?**

— როდესაც ადამიანი მაღალ წნევას დიდი ხნის განმავლობაში ატარებს, მაშინ პარკუჭებს მაღალი წნევით უწევთ სისხლის გადასროლა. დროთა განმავლობაში ეს გულის კუნთში ცვლილებებს იწვევს, რაც პარკუჭების, განსაკუთრებით კი მარცხენა პარკუჭის გადიდებით ან ჰიპერტროფიით მთავრდება. ეს უკვე გულის უკმარისობის დასაწყისია.

**— რას წარმოადგენს გულის მანკი?**

— მოგეხსენებათ, გული მარჯვენა და მარცხენა ნახევრებისაგან შედგება. გულის მარჯვენა ნახევარში ვენური სისხლი მოძრაობს, რომელიც შეიცავს ნახშირორჟანგს და ცხოველქმედების შედეგად გამოყოფილ პროდუქტებს, ხოლო მარცხენა ნახევარში — არტერიული სისხლია, რომელიც მდიდარია ჟანგბადით და იმ საკვები ნივთიერებებით, რომელიც სისხლმა ყველა ორგანოს თითოეულ უჯრედთან უნდა მიიტანოს. გულის ორივე ნახევარი შედგება წინა გულისა და პარკუჭისგან. ე.ი. არსებობს მარცხენა წინა გული და მარცხენა პარკუჭი და მარჯვენა წინა გული და მარჯვენა პარკუჭი. წინა გულებსა და პარკუჭებს შორის არის სარქვლები, რომლის ფუნქციაც სისხლის მხოლოდ ერთი მიმართულებით გატარებაა, ანუ სარქვლები სისხლს ატარებენ წინა გულებიდან პარკუჭებისკენ და არა პირიქით. ნიტრალური სარქველი მარცხენა წინა გულსა და მარცხენა პარკუჭს აკავშირებს... როდესაც მარცხენა წინა გული სისხლით აივსება, ნიტრალური სარქველი იხსნება და სისხლი მარცხენა პარკუჭში გადადის. მარცხენა პარკუჭის ავსების შემდეგ ეს სარქველი იხურება და ჟანგბადით მდიდარი სისხლი გადადის ყველაზე მსხვილ არტერიაში, რომელსაც **აორტა** ეწოდება. აორტისა და მისი განშტოებების — არტერიებისა და კაპილარების მეშვეობით ჟანგბადი და საკვები ნივთიერებები მიდის ყველა უჯრედთან... აი, ასე მუშაობს ჯანმრთელი გული, მაგრამ რევმატიზმით გამოწვეული ნიტრალური სტენოზის დროს, სისხლს წინა გულიდან პარკუჭში გადასვლა უჭირს, უკან, ფილტვებში ბრუნდება, იწვევს ფილტვის შეშუპებას და თუ ეს პროცესი გაგრძელდა, მას აუცილებლად მოჰყვება ქოშინი, მძიმე ქოშინი და თუ პრობლემა ვერ გადაიჭრა, ადამიანი დაიხრჩობა. სწორედ ეს არის **გულის მანკი.** ასე რომ, ჩემი რჩევაა: **თუ ორივე ლოყაზე სიმეტრიულ სიწითლეს შეამჩნევთ, დაუყოვნებლივ მიმართეთ კარდიოლოგს!**



**„არაერთგზის გვითქვამს, რომ გულის სამკურნალოდ ნომერ პირველი საშუალება არის კუნელი!“**

**— რა ხალხური საშუალებები არსებობდა ძველ საქართველოში გულის პათოლოგიების სამკურნალოდ!**

— არაერთგზის გვითქვამს, რომ გულის სამკურნალოდ ნომერ პირველი საშუალება არის **კუნელი.** ამ მცენარის თვისებებზე დაკვირვებას მთელი ოცდაათი წელი შევალიე და კატეგორიულად ვაცხადებ, რომ მსოფლიოში არ არსებობს ფარმაცევტული კომპანია, რომლის მიერ წარმოებულ ნატურალურ საგულე პრეპარატებში **კუნელი** არ შედიოდეს! თუმცა, ეს კომპანიები ერთ ფაქტს გულდასმით მალავენ! ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში კურდღლებზე ჩატარდა ექსპერიმენტი. კუნელისგან მიღებული ექსტრაქტი შეიყვანეს საცდელი კურდღლების სისხლძარღვებში, რომლებიც ხელოვნურად გამოწვეული ათეროსკლეროზული ფოლაქებით იყო მოფენილი. **ექსპერიმენტმა დაამტკიცა, რომ კუნელი სისხლში ქოლესტერინის შემცველობას ამცირებს და ქოლესტერინულ ფოლაქებს შლის.** ეს ეფექტი ქიმიურად მიღებულ სტატინებს არ ახასიათებს. სტატინები მართალია, ქოლესტერინის დონეს ამცირებენ, მაგრამ უკვე არსებულ ათეროსკლეროზულ ფოლაქებს ვერ შლიან. ჩემი ღრმა რწმენით, ამის ხაზგასმა იმიტომ არ ხდება, რომ ფარმაცევტულ კომპანიებს სტატინების შემცველი ძვირადღირებული ქიმიური პრეპარატების მრავალმილიარდიანი ბიზნესი არ გაუნადგურდეთ! აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ ჰომეოპათიური წესით დამზადებული კუნელი გულისთვის საერთოდ შეუდარებელია!

**— კიდევ რა საშუალებებს იყენებდნენ გულის სამკურნალოდ?**

— კუნელის გარდა ძველ საქართველოში გულის სამკურნალოდ იყენებდნენ: **ნიორს, კურაგას, ლეღვს, მუმიოს, ზეითუნის ზეთს, ასკილს, კატაბალახას ფესვს, შავბალახას.** გულისთვის ძალიან კარგია **ფეიხოა...** ძველ საქართველოში გულით ავადმყოფებს ასეთ რეცეპტურას სთავაზობდნენ — ერთმანეთში აურევდნენ 5 თავ დასრესილ ნიორს, 10 ცალ გახეხილ ლიმონს და 1 ლიტრ თაფლს. მასას ჩაასხამდნენ ქილაში და ერთი კვირით ბნელ ადგილას ინახავდნენ. მიღებულ ნაზავს დღევანდელი საზომით დღეში ერთჯერ ოთხი ჩაის კოვზის ოდენობით ჭამამდე 20-30 წუთით, ნელა, თითო წუთიანი შუალედებით ღებულობდნენ. სხვა უამრავი საგულე რეცეპტურაც არსებობს, მაგრამ ეს ერთ-ერთი საუკეთესო და გამორჩეულია!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ციცა კაპანაძე**
*ამერიკაში მცხოვრები მსახიობი*



ისევ ის ბინა მაქვს სოლოლაკში, იტალიურ ეზოში, საერთო სამზარეულოთი. **სულაც არ მხიბლავს სრასახლები.** ამქვეყნიდან ვერაფერს წავიღებ, სიყვარულის გარდა, როცა დავბრუნდები და, ვფიქრობ, ეს ოთხ წელიწადში მოხდება, **ჩემს პატარა სახლში გემრიელად ვიცხოვრებ.**

„სარკე“

**თამუნა მუსერიძე**
*ტელეწამყვანი*



მე შემიყვარდა მსახიობი **სანდრო მიკუჩაძე-ლალანიძე** და სრულიად მაკმაყოფილებს მისი ცხოვრების წესი. მე რომ სანდროს ცოლად გავყოლოდი და მერე დაწყებულიყო მისი სამსახიობო კარიერა, **შეიძლებოდა. ძნელი ყოფილიყო თანაცხოვრება,** მაგრამ ვიცოდი, ვის მივყვებოდი ცოლად.

„სარკე“

**მაკა ზამბახიძე**
*მომღერალი*



ჩემ გარეშე ვერავინ ვერაფერს წყვეტს, **ჩემი სიტყვა გადამწყვეტია.** ბებიის სტატუსი მაქვს, თორემ უფრო დედად აღვიქვამ თავს.

„თბილისელები“

**ირუ ხეჩანოვი**
*საქართველოს ხმა „ვოისზე“*



**რამდენ კონკურსზეც მიმიღია მონაწილეობა,** აბსოლუტურად ყველგან მომიგია, **არცერთი კონკურსი არ წამიგია** და ისეთი გეზი მაქვს აღებული, არც წავაგებ.

„თბილისელები“

**ჯენიფერ ლოურენსი**
*მსახიობი*



კარიერის დასაწყისში **ეროტიკულ სცენებში თამაში იოლი არ იყო და ამის გამო რამდენიმე ფილმზე უარიც ვთქვი,** მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ეს უბრალოდ საქმის ნაწილია და ვალდებული ვარ, პროფესიონალი ვიყო.

„სარკე“



# მიხეილ ცაგარელი: მაისი მთლიანობაში უმრავლესობისთვის საკმაოდ დინამიკური, აქტიური და პოზიტიური იქნება

*— მაისის რომელი მონაკვეთი შეიძლება იყოს უჩვეულოდ ენერგიით სავსე და ნაყოფიერი? რომელი ციური სხეულების ზემოქმედება და ადგილმდებარეობა გაზრდის ცხოვრების გაუმჯობესების შანსებს და მოგვცემს იმის შესაძლებლობას, ჩვენში დაფარული ნიჭი აღმოვაჩინოთ? დედამიწის ყოფნა პოზიტიური ვიბრაციების ზონაში რას შეუწყობს ხელს? გამარჯვების მმართველი პლანეტის იუპიტერის (16 მაისს) კუროს ზოდიაქოში გადანაცვლება და მისი ტანდემი პლანეტა ვენერასთან განსაკუთრებით რომელ სფეროებს განავითარებს? თვის რომელი მონაკვეთი შეიძლება აღმოჩნდეს ყველაზე დისჰარმონიული და უარყოფითი? რა და რა თვისებებს გაამახვილებს 21 მაისს მზის გადანაცვლება ტყუპის ზოდიაქოში და პლანეტა მარსთან ერთად სახელდობრ რომელი სტიქიის წარმომადგენლებს აღავსებს ულევი ენერგიით? რა და რა პროცესები შესაძლოა, დამუხრუჭდეს და შეფერხდეს თვის ბოლო კვირაში? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* **მიხეილ ცაგარელი** *გვესაუბრება.*

**— ვარდობისთვე როგორ ჩაივლის, ვარსკვლავები რას გვაუწყებენ?**

— **მაისი მთლიანობაში ადამიანთა უმეტესობისთვის საკმაოდ დინამიკური, აქტიური და პოზიტიური იქნება.** მიუხედავად გონებისა და ინტელექტის მმართველი **პლანეტა მერკურის** რეტროგრადულობისა, რაც 15 რიცხვამდე გაგრძელდება, **9-15 მაისის შუალედი უჩვეულოდ ენერგიული და ნაყოფიერი იქნება.** მოგეხსენებათ, **5 მაისს მთვარის დაბნელებით** დასრულდა დაბნელებათა დერეფნის დამამძიმებელი ზეგავლენა, ნიშანდობლივია ისიც, რომ **7 მაისს** სილამაზისა და სიყვარულის მფარველმა პლანეტა **ვენერამ ტყუპის** ზოდიაქოდან გადაინაცვლა **კირჩხიბის** ზოდიაქოში. გარდა ამისა, **მთვარის ზეგავლენა** მნიშვნელოვნად გაზრდის ცხოვრების უკეთესობისკენ შემობრუნების შანსებს. ამ პერიოდში მოგვეცემა შესაძლებლობა, საკუთარ თავში აქამდე დაფარული ახალი ნიჭი თუ თვისებები აღმოვაჩინოთ და დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება წარმატებულად გამოვიყენოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ **15 მაისიდან პლანეტა მერკური** იმოძრავებს **კუროს ზოდიაქოში,** რამაც შეიძლება ცხოვრების ცვლილებისა და მრავალფეროვანი ურთიერთობების მოთხოვნილება გააძლიეროს. ამავე დროს **7-17 მაისის შუალედში დედამიწა პოზიტიური კოსმოსური ვიბრაციების ზონაში აღმოჩნდება, რაც ამ პერიოდს უფრო მეტად დადებითსა და ნაყოფიერს გახდის.** თვის ამ მონაკვეთში ასევე პლანეტების განლაგება ცის კაბადონზე ხელს შეუწყობს **სასიცოცხლო ენერგიის დაგროვებას, შემოქმედებისა და შრომის ეფექტურობის და პროდუქტიულობის ზრდას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მაისის ეს მონაკვეთი იღბლიანი პერიოდი იქნება დაქორწინებისთვის და მოგზაურობისთვის.** გარდა ამისა, ამ დროს შესაძლებელი იქნება, ასევე **მეგობრული კავშირების, პირადი თუ საქმიანი ურთიერთობების გაუმჯობესება და ინვესტირება,** რამეთუ კოსმოსური ამინდი მსოფლიო ბირჟებსა და სავაჭრო მოედნებზე კაპიტალბრუნვას ხელს შეუწყობს. **16 მაისიდან** გამარჯვების, იღბლიანობისა და წარმატების მმართველი პლანეტა **იუპიტერი** (თითქმის ერთი წლით) **კუროს** ზოდიაქოში გადაინაცვლებს, რაც განავითარებს სასოფლო-სამეურნეო, საბანკო-ეკონომიკურ სფეროებს, არქიტექტურასა და ხელოვნებას, მშენებლობას, ეკოლოგიურ საკითხებს. ამ პერიოდში წარმატების მომტანი იქნება ორგანიზებულობა, დისციპლინა, ერთგულება, პრაგმატულობის, შეუპოვრობის გამოვლენა. ეს მოვლენა ასევე მეტ სტაბილურობას, სიახლეს შემოიტანს ცხოვრებაში, ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებს. ამავდროულად კი სიზარმაცე აიკრძალება. გარდა ამისა, **პლანეტა იუპიტერი, კირჩხიბის ნიშანში მოძრავ ვენერასთან ერთად, ხელს შეუწყობს ახალი ხანგრძლივი სასიყვარულო ანდა მეტად სასიამოვნო რომანტიკული ურთიერთობის ჩამოყალიბებას.** სასურველია, რომ ყველა მნიშვნელოვანი საქმე, წამოწყება და დასახული გეგმის განხორციელება თვის ამ (7-17) მონაკვეთში მოასწროთ, რადგან **18 მაისიდან დედამიწის ბიოსფერო უარყოფითი კოსმოსური ენერგიების ზემოქმედების ზონაში შევა, ხოლო ყველაზე** უარყოფითი, მძიმე და დისჰარმონიული 23-30 მაისის შუალედი შესაძლოა, აღმოჩნდეს. თუმცა, ამის მიუხედავად, **19 მაისის ახალმთვარეობა და 18-27 რიცხვების შუალედში მზარდი მთვარის ენერგიები გაზრდიან და გააძლიერებენ ცხოვრებისეულ რიტმსა და შემოქმედების სურვილს, რაც გვიბიძგებს აღმშენებლობისა და პროცესების გააქტიურებისაკენ.**

**— რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებსა და მოვლენებში მაისის მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება კუროს ნიშნიდან ტყუპის ზოდიაქოს ნიშანში?**

— **მზე 21 მაისს (11.10) გადაინაცვლებს რა ტყუპის ზოდიაქოში, უახლოესი ერთი თვის მანძილზე გააძლიერებს გონებამახვილობას, კომუნიკაბელურობას, სიახლისკენ, დიპლომატიურობისკენ მიდრეკილებას, ცნობისმოყვარეობას, მოლაპარაკების შესაძლებლობას და ასევე გაორება-მერყეობასა და სულსწრაფობასაც.** ნიშანდობლივია ისიც, რომ ტყუპის ზოდიაქოს ნიშანში მყოფი მზე ლომის ზოდიაქოს ნიშანში მოძრავ ქმედითუნარიანობის მმართველ პლანეტა მარსთან ერთად ულევი ენერგიით აღავსებს ცეცხლისა და ჰაერის სტიქიის წარმომადგენლებს, თუმცა, ამავდროულად, **23-30 მაისის ბევრი პროცესი შესაძლოა, დამუხრუჭდეს. ამ პერიოდში შესაძლებელია ადრე გადაუჭრელი პროცესების გამწვავება და დიდი უთანხმოებისა და კონფლიქტის წარმოშობა. გართულდება მოლაპარაკების პროცესი, კომპრომისის მოძიება და საერთო ნიშნულზე შეჯერება, ამიტომ მოსალოდნელია მდგომარეობის დაძაბვა პოლიტიკურ არენაზეც.**

*რუბრიკას უძღვება*
*მარინა მერკვილაძე*

## 8-14 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ადრე დაწყებული და მიტოვებული საქმეები ჩვეულებრივზე ადვილად დასრულდება, ძველი პრობლემებიც მოგვარდება. მეგობრების ან სოციალური ქსელის დახმარებით გაცნობილი ადამიანები მომავალში თქვენი კარგი მეგობრები გახდებიან. შეყვარებულთან გაუგებრობა დროულად გაარკვიეთ, რათა პრობლემა არ შეიქმნას. დაღლისა და პასიურობისკენ მიდრეკილების მიუხედავად, მხოლოდ გართობაზე დროს ნუ დახარჯავთ.

**კურო** (21.04-20.05)
ენერგიული და შრომისუნარიანი იქნებით. შემოქმედებითობა და ორგანიზებულობაც მოგემატებათ. გულღია, მეგობრულ დამოკიდებულებას ადვილად შეუთავსებთ დიპლომატიურობასა და ქედმაღლობას. ნებისმიერ ადამიანთან თუ მაღალჩინოსანთან საერთო ენას გამონახავთ და საწადელს მიაღწევთ. განწყობის ცვალებადობის გამო საკუთარი ქცევები გააკონტროლეთ, განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანი იქნება პარტნიორთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ენერგია და აქტიურობა იკლებს, თუმცა, ამბიციურობა მოგემატებათ. მომავალსა და სამომავლო პერსპექტივებზე იფიქრეთ. ნათესავებისა და ოჯახის წევრთა რჩევებიც გაითვალისწინეთ. კარგი იქნება, თუ ამ პერიოდში გვერდით საყვარელი ადამიანი იქნება და მორალურ დახმარებას გაგიწევთ. შესაძლოა, ადრინდელი დამოუკიდებელი ან ფარული საქმიანობისგან შემოსავალი მიიღოთ. მძიმე საკვებსა და ალკოჰოლურ სასმელს მოერიდეთ, რათა ჯანმრთელობას არ ავნოთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
თავდაჯერება, სიმტკიცე და მომავლის რწმენა დაგეხმარებათ სწორ არჩევანში და წარმატებულ მოქმედებაში, იდეებისა და აზრების კონცენტრირებისთვის ჯობს, განმარტოვდეთ და სამომავლო მიზნები კარგად გაიაზროთ. თავდაჯერებულად აკეთეთ თქვენი საქმე და გარშემო მყოფებზე ნუ გაღიზიანდებით. საჭიროებისას ფარულად იმოქმედეთ, რათა ჩანაფიქრი ბოლომდე მიიყვანოთ. გადაადგილებებისას ემოციურობა აკონტროლეთ, რათა შინაგანი პრობლემები არ შეიქმნას.

**ლომი** (23.07-23.08)
შესაძლოა, სახლის პირობებში შესრულებული სამუშაო შემოსავლის წყაროდ იქცეს. კარგი პერიოდია როგორც დამოუკიდებლად მუშაობისთვის, ისე ახლობლებთან თანამშრომლობისთვის. აზრის გადმოცემა და ადამიანების დარწმუნება გაგიადვილდებათ, მაგრამ ახალი ინფორმაციის ათვისებისა და საჭირო კავშირების დამყარებისთვის ახლობელთა დახმარება დაგჭირდებათ. სასიყვარულო ურთიერთობა უფრო გაძლიერდება და ხანგრძლივ კავშირში გადაიზრდება. მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
ბევრი საქმის გაკეთებას შეძლებთ, ამიტომ ჯობს, დასვენება გადადოთ. თავს სანაქებოდ იგრძნობთ. მდგრადი ჯანმრთელობა კი დაგეხმარებათ აქტიურად მუშაობასა და პირადი თუ ოჯახური პრობლემების მოგვარებაში. დაკვირვების უნარით ბევრ საიდუმლოს ფარდას ახდით. შეყვარებული ბევრ სიყვარულსა და სითბოს გაჩუქებთ. გადაადგილებებისას საბუთებსა და საფულეს გაუფრთხილდით, არაფერი დაკარგოთ.

## 8-14 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
სამუშაოს ადვილად გაართმევთ თავს, მაგრამ ჩანაფიქრის განხორციელებისთვის საჭიროა კვალიფიკაციის ამაღლება და ცოდნის გაღრმავება. სასიყვარულო ურთიერთობა კი შემოქმედებითი ცხოვრების სტიმულად გადაიქცევა. შესაძლოა, ადრე შეწყვეტილი ურთიერთობაც აღადგინოთ. მოინდომებთ მხოლოდ რჩეულ ადამიანებთან კავშირის დამყარებას. გადაადგილებების რაოდენობა მოიმატებს, რაც თქვენს ცხოვრებას უფრო საინტერესოს გახდის.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ხანგრძლივი პროექტები და საქმიანი აქტიურობა მომავალში შემოსავალს განაპირობებს. დროს მარტო გართობაზე ნუ გაფლანგავთ. ეცადეთ, არ გარისკოთ და ყველა ადამიანთან გულღიაობა გამოიჩინეთ. ოჯახშიც სასიკეთო ცვლილებებია მოსალოდნელი, ერთობლივი ღონისძიებები და ბავშვებთან ურთიერთობა მეტად სახალისო იქნება. უცხოელებისგან მიღებულ ინფორმაციას კი შემოწმების გარეშე ნუ გამოიყენებთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ენერგიულობა, აქტიურობა და კომუნიკაბელურობა მოგემატებათ, თუმცა, მეგობრული ურთიერთობანი ხშირ შემთხვევაში საქმეს მოგაცდენთ. ამიტომ ეცადეთ, ცდუნებას არ აჰყვეთ, რათა არაფერი წაახდინოთ. ინფორმაციის მიღებისას და წვრილმანების მიმართ ყურადღება გმართებთ. ოჯახში უთანხმოების ან პრობლემების გამო ნუ ინერვიულობთ, რათა ჯანმრთელობას არ ავნოთ. უცხოეთში მიზნის მიღწევა კი შეუძლებელი იქნება.

**თხის რქა** (22.12-19.01)
წარმატებული ქმედებისთვის აუცილებელია, მიღებული ინფორმაცია შემოწმების გარეშე არ გამოიყენოთ. შემოთავაზებებზე უარს ნუ იტყვით. დახმარებისთვის მხოლოდ პროფესიონალებს მიმართეთ. საჭიროებისას ცოდნის გაღრმავებასა და უცხო ენის ათვისებაზეც იფიქრეთ. შესაძლოა, უცხოელებთან ურთიერთობა და პარტნიორობა აუცილებელი გახდეს. მიუხედავად ამისა, ჯობს, შორეული მოგზაურობა სხვა დროისთვის გადადოთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
მშვიდი პერიოდია, რომელსაც უმეტესად ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ერთად გაატარებთ. ფინანსები მოაწესრიგეთ და ფულსაც ტყუილუბრალოდ ნუ გაფლანგავთ. შეყვარებულთან ტაქტიანობა გამოავლინეთ. მშობლებთან ურთიერთობა თავდაჯერებასა და ენერგიას შეგმატებთ. მეტი ფიქრი მოგინდებათ პირად ცხოვრებაზე, ურთიერთობებსა და სიამოვნებაზე, თუმცა, ჯერჯერობით ვერაფერს შეცვლით. მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.

**თევზები** (19.02-20.03)
გააქტიურება, ბევრ ადამიანთან ურთიერთობა, ახალი კავშირების დამყარება, ორგანიზატორული და ლიდერული თვისებების გამოჩენა მოგიწევთ. მოგზაურობა დროებით გადადეთ, რათა ჯანმრთელობის მდგრადობა შეინარჩუნოთ. სასიყვარულო ურთიერთობა თავდაჯერებულობას შეგმატებთ და სიამოვნებას მოგიტანთ. კარგი პერიოდია ვალების დასაბრუნებლად, დანაპირებისა და მოვალეობების შესასრულებლად და ასევე თვითგანვითარებისა და ავტორიტეტის ასამაღლებლად.



**მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია**
**9, 12, 13 და 14 მაისი**

**5 მაისი – მთვარის დაბნელება, სავსემთვარეობა;**
**19 მაისი – ახალმთვარეობა, პიკი – 19.56 სთ.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 8 მაისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.50 საათზე, ჩადის 20.06 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 23.38 საათზე, ჩადის 9 მაისს 07.19 საათზე (მთვარის მე-18 დღე გრძელდება. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.28 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ნუ გადაიღლებით, სტრესულ სიტუაციებს მოერიდეთ, არტერიული წნევაც აკონტროლეთ. დღეს ახალი იდეები ხელს შეუწყობს პრობლემების გადაწყვეტას. შესაძლებელია, არასანდო, ცრუ მეგობრების ჩამოშორება. კარგი დღეა მგზავრობისთვის, უცხოელებთან საქმიანი კონტაქტებისთვის, იდეოლოგიურ-პოლიტიკური საქმიანობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, ვარჯიშისთვის, ტურისტული ლაშქრობებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, სწავლისთვის, წყლის პროცედურებისთვის, მასაჟისთვის, სუნთქვითი ვარჯიშებისთვის, მხრების, ხელებისა და მეტყველების დეფექტის მკურნალობისთვის. არ არის სასურველი ცხიმიანი კერძების მიღება, სისხლის გადასხმა, მშენებლობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, საფირონი, ლაზურიტი, ქარვა, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 9 მაისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.48 საათზე, ჩადის 20.07 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (03.25) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 10 მაისს 08.13 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 01.55 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 03.35 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ძლიერი ენერგიების დღეა. თქვენი ქმედება, ემოციები, არტერიული წნევა აკონტროლეთ, აქტიურობა გმართებთ, თუმცა, ნუ გადაიღლებით. დღეს და ხვალ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მეტი დრო დაუთმეთ. ხელი შეეწყობა მავნე ჩვევისგან გათავისუფლებას, სახლის კეთილმოწყობასა და უსარგებლო ნივთების მოშორებას. სასიკეთოა და ეფექტური იქნება აბაზანა და საუნა, კუჭ-ნაწლავის, მკერდის, ფილტვების, კანისა და ფრჩხილების მკურნალობა და მოვლა. კარგი დღეა კოლექციის შესავსებად, მშენებლობისა და სარესტავრაციო სამუშაოებისთვის. არ არის სასურველი ფინანსური ოპერაციები, ვაჭრობა, სიმძიმეების აწევა, სტომატოლოგიური პროცედურები, მაღალია აურის ენერგოდაბინძურების, ცილისწამების, სხვის მიერ დაგებულ მახეში გაბმის ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მერწყულისთვის.

## 10 მაისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.47 საათზე, ჩადის 20.08 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 00.41 საათზე, ჩადის 09.19 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 02.56 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** რთული, ერთგვარი კარმული გამოცდის დღეა. ყურადღებით იყავით! შესაძლებელია ურთიერთობის გართულება და ასევე პარტნიორი მეტოქის დამარცხებაც. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, უძრავი ქონების და მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, მშენებლობისა და რესტავრაციული სამუშაოებისთვის, კუჭ-ნაწლავისა და მკერდის სამკურნალოდ, კანისა და ფრჩხილების მოვლისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის (ოთახის მცენარეების გარდა). არ არის სასურველი ქორწინება, ფინანსური ოპერაციები, ახალი კავშირების დამყარება, გავლენიან პირებთან ურთიერთობა, სტომატოლოგიური პროცედურები, სიმძიმეების აწევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, კანი, კბილები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, მარგალიტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 11 მაისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.46 საათზე, ჩადის 20.09 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (06.01) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 01.33 საათზე, ჩადის 10.33 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 03.33 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 03.52 საათიდან 06.01 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს და ხვალ კონფლიქტებს მოერიდეთ და ეცადეთ, საღამო ოჯახში გაატაროთ. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, ინფორმაცია დააზუსტეთ და საცდელი სამუშაოებისთვის მოემზადეთ. არ არის სასურველი ალკოჰოლის მიღება, თვალების გადაღლა, ზედმეტი ლაპარაკი და ფანტაზიორობა, ფორიაქი, ფეხზე დიდხანს დგომა, საიდუმლოს გამხელა. იმატებს შემოქმედებითი და ინტელექტუალური შესაძლებლობები, გამახვილებულია ცნობისმოყვარეობა. კარგი დღეა სამეცნიერო კვლევისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, სესხის ასაღებად, ბინის შესაცვლელად, ელექტრო მოწყობილობების შესაძენად, რეკლამებისათვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, მხედველობა, ვენები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ციტრინი, ცირკონი, ლაბრადორიტი, ამაზონიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.

## 12 მაისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.45 საათზე, ჩადის 20.10 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 02.14 საათზე, ჩადის 11.51 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 03.54 საათზე, მე-4 ფაზა იწყება 18.29 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს წვრილმანს ყურადღება მიაქციეთ, ინფორმაციაც დააზუსტეთ. კონფლიქტს მოერიდეთ და გულს გაუფრთხილდით. სამყაროს მიერ შეთანხმების სიმტკიცე შემოწმდება. ცდუნებებს, ფანტაზიებს არ აჰყვეთ და მხოლოდ რეალურ ფაქტებს დაეყრდენით. ურთიერთობისას იმატებს ნევროზული მიდრეკილება თავისუფლებისკენ. სასიკეთოა სუნთქვითი ვარჯიშები, ცურვა. კარგი დღეა ინტელექტუალური განვითარებისთვის, ნოვატორული საქმიანობისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, ბინის შესაცვლელად, სესხის ასაღებად, სარემონტო სამუშაოებისთვის, ელექტრო და აირ, კომპიუტერული აპარატურის შესაძენად. არ არის სასურველი ზედმეტი ლაპარაკი, საიდუმლოს გამხელა, ფორიაქი. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, მხედველობა, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 13 მაისი, შაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.44 საათზე, ჩადის 20.11 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (08.47) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 02.46 საათზე, ჩადის 13.08 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 04.07 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 07.15 საათიდან 08.47 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს და ხვალ ყურადღება მიაქციეთ იმ ადამიანებს, ვინც გაქებთ, რადგან მათ თქვენი მოტყუების მცდელობა ექნებათ, პროვოკაციებს ნუ აჰყვებით. მოიპოვეთ და დააზუსტეთ ინფორმაცია, რადგან მალე დაგჭირდებათ. მოერიდეთ ანალიზების ჩაბარებას, ექოსკოპიას, ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ პრეპარატებს, ალკოჰოლის მიღებას. არ არის სასურველი საიდუმლო საქმიანობა, ახალი საქმის დაწყება, სესხის აღება ან გაცემა. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, ქველმოქმედებისთვის, საზოგადოების წინაშე გამოსვლისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, ქორწინებისთვის, მგზავრობისთვის, სპონსორის მოძიებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები. **ქვები:** გიშერი, ალექსანდრიტი, მარგალიტი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 14 მაისი, კვირა

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.43 საათზე, ჩადის 20.12 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 03.14 საათზე, ჩადის 14.22 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 04.16 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ სახლის კეთილმოწყობას, ბავშვებს. გამახვილებულია ინტუიცია და მიზნის მიღწევის შესაძლებლობა იმატებს. შესაძლოა, ქრონიკული დაავადება გაგიმწვავდეთ. პარტნიორული ურთიერთობისას მოსალოდნელია, საიდუმლოს ფარდა აეხადოს. კარგი დღეა ქორწინებისთვის, შემოქმედებისთვის, ქველმოქმედებისთვის, მგზავრობისთვის, ტურისტული ლაშქრობისთვის, მოსამზადებელი სამუშაოებისთვის, აბაზანისა და არომათერაპიისთვის. არ არის სასურველი დრო ახალი საქმის დასაწყებად, სესხის ასაღებად, თავის დასაბანად, დაპირებებისთვის, ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მისაღებად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, კანი, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## საეკლესიო კალენდარი

✝ 8 მაისი. ორშაბათი. **წმიდისა დიდებულისა, ყოვლადქებულისა მოციქულისა და მახარებელისა მარკოზისა.**

✝ 9 მაისი. სამშაბათი. მღვდელმოწამისა ბასილისა, ამასიელი ეპისკოპოსისა; მართლისა გლაფირა ქალწულისა; სტეფანესი, ველიკოპერმელი ეპისკოპოსისა; ღირსისა იოანიკე დევიჩენელისა.

✝ 10 მაისი. ოთხშაბათი. **ერგასის განზოგება.** მოციქულისა და მღვდელმოწამისა სვიმეონისა, იერუსალიმელი ეპისკოპოსისა, ნათესავისა უფლისა; მართლისა ევლოგი უცხოთშემწყნარებელისა; წმიდისა სვიმონ ნიგერისა.

✝ 11 მაისი. ხუთშაბათი. მოციქულთა 70-თაგანთა: იასონისა და სოსიპატრესი, კერკირა ქალწულისა და სხვათა, მათთანა ვნებულთა; მოწამეთა: დადასი, მაქსიმესი და კვინტილიანესი.

✝ 12 მაისი. პარასკევი. **წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა, საქართველოში ქრისტეს პირველმქადაგებლისა.** 300-თა მხედართა, მღვდელთა და ყოველთა მართლმადიდებელთა ლაზთა მოწამეთა, ქრისტეს სარწმუნოებისა და საქართველოსთვის დუდიკვათსა და პაპათში მუსლიმთაგან მოწყვეტილთა.

✝ 13 მაისი. შაბათი. **წმიდისა და ყოვლადქებულისა იაკობ მოციქულისა, ძისა ზებედესი და ძმისა წმიდისა იოანე მახარებელისა და ღმრთისმეტყველისა;** დონატესი, ევრიელი ეპისკოპოსისა; პოვნა წმიდათა ნაწილთა მღვდელმოწამისა ბასილისა, ამასიელი ეპისკოპოსისა; მოწამისა მაქსიმესი; ეგნატესი.

✝ 14 მაისი. კვირა. **აღდგომიდან მე-5, სამარიტელის კვირა. წინასწარმეტყველისა იერემიასი; კეთილმსახურისა თამარისა, დიდისა მეფისა ყოვლისა საქართველოისა.**



**„ასავალ-დასავალის“ რედაქცია** ღრმა მწუხარებით იუწყება

**მარინა წულუკიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს

***პანაშვიდი:*** *8 მაისს, ორშაბათს;*
***დაკრძალვა:*** *9 მაისს, სამშაბათს, 2 საათზე;*
***მისამართი:*** *მგალობლიშვილის ქუჩა №1, მე-3 სართული (გაგარინის მოედანთან).*


თამარისი Tamarisi

**დაინახე:**




**ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38**

571 19 93 93   598 79 40 00

www.facebook.com/tamarisioptics

**გთავაზობთ მკურნალობას 100-პროცენტიანი შედეგით ხანმოკლე დროში:**

წამლები მზადდება ფუტკრის პროდუქტებით ინდივიდუალურად.

კუჭ-ნაწლავის წყლულები და ეროზიები **ნებისმიერი სირთულის**, ბუასილი, ფაღარათი, ქოლეცისტიტი, შებერილობა, პირიდან სუნი, ბრონქიტი, სქესობრივი სისუსტე, პენისის ანთება, სპერმის ნაადრევი და უნებლიე გამოყოფა, კონტაქტის შიში, პროსტატიტი, ცისტიტი. **სხვადასხვა მეთოდით პაციენტის გარეშეც** — აგრესია, აკვიატება, უიმედობა, ეჭვიანობა, შებოჭილობა, თვითმკვლელობის სურვილი, კოშმარული სიზმრები, დეპრესია, მოუსვენარი ძილი, მოზარდებში პრობლემები, ალკოჰოლზე და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება.

**ხალხური მედიცინის „იადაგარ დაუდის“ დირექტორი 599-498-423**



**მაღაზია «ბუკვიცა»**

**ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე**

***574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90***

**მისამართი: დ.უზნაძის №15. ქუთაისის №2.**


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: **1. ბასკები; 6. დაშნა; 12. დროგი; 13. ნეკროზი; 14. სანდალი; 15. რომეო; 16. ლეკვი; 17. ნარჩიტა; 18. ოწინარი; 19. ჟღალი; 20. აბანო; 22. მდიდარი; 25. იცინის; 29. რეისი; 31. კულაკი; 33. ბარონი; 34. აფონია; 35. პროზა; 37. ტანძია; 39. სტიქია; 42. მიწური; 45. ნომერი; 47. ვინმე; 49. ბინდი; 50. რეგენტი; 51. ქისტები; 52. ტარას; 53. სეიკო; 55. ადიგენი; 59. ისარა; 61. სილა; 63. ბიზონი; 65. პროცესია; 66. კიმპო; 67. ბალთა; 68. სელაპი; 69. ყირამალა; 70. ანოდი.**

შვეულად: **1. ბოსტონი; 2. სანტიმი; 3. ეპატაჟი; 4. იდილია; 5. კონკია; 6. დირიჟორი; 7. შამპანი; 8. ანონიმი; 9. აკორდი; 10. მოლინა; 11. ხიზანი; 21. ბალანსი; 23. დარდი; 24. რინკი; 26. ციფრი; 27. ნანდუ; 28. სკატი; 30. სნო; 32. კაი; 33. ბასი; 36. რემისია; 38. ანექსია; 40. ქანცი; 41. აყირო; 42. მერია; 43. წიგნი; 44. რენიე; 46. რჩევა; 47. ვიტი; 48. ნარდი; 49. ბისტი; 54. კანაპე; 56. დარკი; 57. გაცლა; 58. ნისია; 60. რემბო; 61. საბა; 62. ლულა; 63. ბოსი; 64. ზოლა; 66. კაა.**

**სანდინობელინიგერილიახვიტიალიანგინაკლინიკა**
**ჩანახიშტილიანაბარიუმიაკიდომრავალიფინინიძე**

| ნიკარაგუის ეროვნული გმირი | იტალიელი კომპოზიტორი | პარტიზანული ომის სახელი ესპანეთში | ა. ფურცელაძე – „მაცი ...“ | ერთად თავმოყრილი ხალხი | წუნი, ზადი | რუსული „ოსკარი“ |
|---|---|---|---|---|---|---|

| ფრანგი მწერალი ქალი | დინამიტის გამომგონებელი | აფრიკის სახელმწიფო | მდინარე საქართველოში | უპატრონო, ოხერი | ხახის ლორწოვანი გარსის ანთება | სამკურნალო დაწესებულება |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. ესპანელი „ქართველები“; 6. მოკლე, სწორი ხმალი; 12. გრძელი, ოთხთვლიანი უძარო საზიდარი; 13. ორგანოს კვდომა ცოცხალ ორგანიზმში; 14. მარადმწვანე ტროპიკული ხე; 15. ჯულიეტას სატრფო (ლიტ.); 16. ძაღლის ნაშიერი; 17. რეზად ნური გუნთექინის რომანი; 18. ჭიდან წყლის ამოსაღები მოწყობილობა; 19. ჭაღარა; 20. ჰიგიენური დაწესებულება; 22. დიდი ქონების პატრონი; 25. ვ. ჰიუგო — „კაცი, რომელიც ...“; 29. გზა, რომელსაც გადის გემი, თვითმფრინავი და სხვა; 31. ბობოლა, მესაკუთრე გლეხი; 33. მიუნჰაუზენის ტიტული; 34. ხმის დაკარგვა; 35. გაულექსავი ლიტერატურა; 37. სოფელი ბოლნისის რაიონში; 39. ბუნების მძლავრი მოვლენა; 42. მიწაში გაკეთებული სადგომი, სახლი; 45. ცალკე ოთახი სასტუმროში; 47. რომელიღაც ადამიანი; 49. დღე-ღამის გასაყარი; 50. სახელმწიფოს დროებითი მმართველი მონარქიულ ქვეყნებში; 51. ჩეჩნებისა და ინგუშების საერთო სახელი; 52. პოეტი ... შევჩენკო; 53. იაპონური საათი; 55. რაიონი მესხეთში; 59. მდინარის ნაპირზე გავრცელებული ისრის მოყვანილობის მცენარე; 61. ალიყური; 63. ჩრდილოეთ ამერიკაში გავრცელებული გარეული ხარი; 65. მრავალრიცხოვანი ხალხის სვლა ; 66. აეროპორტი სეულში; 67. უენო აბზინდა; 68. წყლის მტაცებელი ცხოველი; 69. თავდაყირა; 70. დადებითად დამუხტული ელექტროდი.

შვეულად: 1. ვალსისნაირსახეობა; 2. ფრანკის მეასედი საფრანგეთში, ბელგიაში; 3. საქციელი, რომელიც არღვევს საერთოდ მიღებულ ნორმებს; 4. მცირე ზომის პოეტური ნაწარმოები, რომელშიც ასახულია უშფოთველი ცხოვრება; 5. შ. პეროს ზღაპარი; 6. ორკესტრის ხელმძღვანელი; 7. საფრანგეთის ისტორიული ოლქი; 8. უცნობი ავტორი; 9. სამი ან მეტი მუსიკალური ბგერების ჰარმონიული შეერთება; 10. ესპანელი მწერალი ტორსო დე ...; 11. დროებით სხვას შეკედლებული პირი (ძვ.); 21. შემოსავალ-გასავლის შეფარდებითი ჯამი; 23. სევდა, ნაღვლი; 24. მოედანი გორგოლაჭებიანი ციგურებით სარბენად; 26. რიცხვის აღმნიშვნელი ნიშანი; 27. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული სირაქლემა; 28. ზვიგენისებრთა რაზმის თევზი; 30. საქართველოს პატრიარქის ილიას მშობლიური სოფელი; 32. ვაჟა-ფშაველა — „... ყმა“; 33. კაცის სასიმღერო ხმა; 36. ავადმყოფობის მოვლენათა დროებით შესუსტება; 38. ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიების დაპყრობა; 40. არაქათი, ძალ-ღონე; 41. მწარე გოგრა; 42. მუნიციპალიტეტი; 43. ცოდნის „წყარო“; 44. ფრანგი მწერალი; 46. ჭკუის სწავლება, დარიგება; 47. იტალიელი მსახიობი მონიკა ...; 48. თამაში კამათლებით; 49. ლიბრი; 54. პატარა დივანი; 56. ფრანგი გმირი ქალი ჟანა ...; 57. „საცა არა სჯობს, ... სჯობს (ანდ.); 58. ვალი; 60. ფრანგი პოეტი; 61. ქართული ლიტერატურული პრემია; 62. ცეცხლსასროლი იარაღის მილი; 63. პატრონი, მესვეური; 64. ფრანგი მწერალი; 66. მაუგლის მეგობარი გველის სახელი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ცხვრის ხორცის და ბადრიჯნის კერძი | წყნარი, უქარო ამინდი | ბანკში შეტანილი ფული | ესკიმოსების ნავი | რუსული სიმებიანი საკრავი | დიპლომატიური კურიერის საფოსტო ტომარა | მსახიობი მერაბ... |
|---|---|---|---|---|---|---|

| ქვედა ყბა | წვეტიანი საძგერებელი იარაღი | ხვიარა მცენარე | ქიმიური ელემენტი, ლითონი | ვაზის მოკლედ აჭრილი რქა | ბევრი | რუსი ქიმიკოსი | ვაჟი-შვი-ლი |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

**ასავალ დასავალი**

2023 წლის 8 – 14 მაისი №22 (1486)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოლჲინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: (+995) 32 215-25-25; (+995) 32 215-35-35;
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


